

დიპლომატიური სამართალი

ომარ მთივლიშვილი

## შინაარსი

§1. დიპლომატიური სამართლის წარმოშობა და განვითარების ეტაპები .	4
§2. დიპლომატიური სამართლის ცნება და წყაროები .....	9
§3. სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოები და მათი სისტემა .....	14
§4. დიპლომატიური კორპუსი და მისი ძირითადი ფუნქციები .....	22
§5. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოები .....	26
§6. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა და ამოცანები .....	30
§7. დიპლომატიური თანამდებობებისა და დიპლომატიური რანგების შესაბამისობა.....	34
§8. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება (მუხ. 2) .....	36
§9. დიპლომატიური წარმომადგენლობის ძირითადი ფუნქციები (მუხ. 3.1) .....	44
§10. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულება (მუხ. 3.2).....	50
§11. დიპლომატიური დაწესებულების მეთაურთა კლასები და მათი დაშვება ფუნქციების შესასრულებლად. რწმუნებათა სიგელი. აგრემანი (მუხ. 4, 5, 6, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19).....	54
§12. წარმომადგენლობის მეთაურის აკრედიტაცია .....	56
§13. დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალი; კლასები .....	60
§14. „ <i>persona non grata</i> “-დ გამოცხადება.....	63
§15. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების განსაზღვრება; წარმოშობის თეორიები .....	65
§16. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების არსი; მათი ისტორიული განვითარება .....	68
§17. დიპლომატიური წარმომადგენლობის იმუნიტეტები და პრივილეგიები .....	72
§18. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დროშითა და გერბით სარგებლობის უფლება.....	75

§19. არქივებისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა.....	76
§20. დიპლომატიური ფოსტა და ურთიერთობების თავისუფლება .....	77
§21. დიპლომატიური კურიერის პრივილეგიები და იმუნიტეტები .....	79
§22. იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან .....	80
§23. მოწმის ჩვენების მიცემისაგან გათავისუფლება .....	81
§24. იურისდიქციისაგან იმუნიტეტზე უარის თქმა (დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნა) .....	82
§25. დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრების სამართლებრივი სტატუსი.....	83
§26. დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მომსახურე პერსონალის, დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელთა ოჯახის წევრების პრივილეგიები და იმუნიტეტები .....	86
§27. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების დასაწყისი და დასასრული .....	88
§28. იმუნიტეტები და პრივილეგიები მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე .....	89
§29. დიპლომატიური აგენტის ვადაზე ადრე გამოწვევის მიზეზები .....	90
§30. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ვალდებულებები შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში .....	93
§31. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა.....	95
§32. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შედეგები.....	98

## §1. დიპლომატიური სამართლის წარმოშობა და განვითარების ეტაპები

დღეისათვის აღმოჩენილი წყაროები გვიჩვენებს, რომ უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ეგვიპტის ფარაონები, ბაბილონის, სირიის, ხეთების და სხვა სახელმწიფოების მეფეები აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდნენ მეზობელ ქვეყნებთან. იგზავნებოდნენ ელჩები ხარაჯის ასაკრეფად, მოლაპარაკებისათვის, საზავო, სამოკავშირეო და სხვა სახის ხელშეკრულების დასადებად და ა.შ. პირველ ათასწლეულში აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა თავს იჩენს ინდოეთსა და ჩინეთში. ისტორიამ შემოგვინახა საერთაშორისო სამართლისათვის უმნიშვნელოვანესი ძეგლი - მანუს კანონები, რომლებიც ელჩების რანგებს, მათ ფუნქციებსა და მათ მიმართ დამოკიდებულების წესებს დეტალურად განსაზღვრავდა, ასევე ის გვიქმნის ძველ ინდოეთში ელჩების მდგომარეობასა და გარკვეულ ამოცანებზე წარმოდგენას, „ვინც ხელს აღმართავს ელჩზე ის სიკვდილზე მიდის“ - გვამცნობს მანუს კანონები, რადგან ელჩი და საელჩოს შენობები „ღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა“.

დიპლომატიის მეთოდებისა და ფორმების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ძველმა საბერძნეთმა და რომმა. თვით ტერმინი „დიპლომატია“, „დიპლომატი“ ბერძნული წარმოშობისაა. პირს, რომელიც უცხო სახელმწიფოში ოფიციალური მისიით მიემგზავრებოდა, ეძლეოდა შეტყუპებული სანთლის (შემდგომ ლითონის, უფრო გვიან ორად გაკეცილი ქაღალდი) ფირფიტები. ეს ფირფიტები რწმუნების სიგელის როლს ასრულებდა და მათ „დიპლომა“ („შეტყუპებული“) ეწოდებოდა. აქედან წარმოიშვა ტერმინი „დიპლომატი“ - „დიპლომის მფლობელი“, „დიპლომატია“ და ა.შ.

ძველ საბერძნეთში საგარეო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც უფლება ჰქონდათ ეწარმოებინათ საგარეო ურთიერთობები: „ვესტნიკები“ (ანგელოს, კერუკოს) და „სტარეიშინები“ (პრეების). უნდა აღინიშნოს, რომ „სტარეიშინების“ ინსტიტუტი - ეს არის განსაკუთრებული ქურუმების ინსტიტუტი, რომლებიც საგარეო ურთიერთობების ყველა საკითხით იყვნენ დაკავებული, ამტკიცებდნენ ხელშეკრულებებს ფიცით და აგვარებდნენ დამნაშავეების გადმოცემის საკითხებს.

ძველ რომში ჩამოყალიბდა იურიდიული შეხედულება საელჩოსა და ხელშეკრულების სიწმინდის შესახებ (*jus et sacra legationis*); იქმნება სპეციალური საგარეო ურთიერთობების ორგანოები - ქურუმების განსაკუთრებული კომისია - ფეციალები. საელჩოები ინიშნება სპეციალური სენატის დადგენილებით. როგორც წესი, საელჩო შედგებოდა რამდენიმე ელჩისაგან, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთავარი იყო (*princeps legationis*). რომის დიპლომატიურ პრაქტიკაში განასხვავებენ ელჩებს (*legati caduceatores*), ორატორებს (*oratores*) და ნუნციებს (*nuntii*).

რომის რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდში ინერგება „ლეგატების“

ინსტიტუტი, რომლებიც, „დიპლომატთა“ მსგავსად, ხელშეუხებელი იყვნენ, რეგლამენტირებული იყო მათი მიღებისა და წარგზავნის წესები. ელჩების ინსტიტუტი შემოღებულ იქნა ფეოდალური სახელმწიფოების, ქალაქ-რესპუბლიკებისა და სუვერენ ფეოდალების მიერ, ხოლო შემდგომში, იგი ცენტრალიზებული სახელმწიფოების, საგარეო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა.

საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენისას, აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობებს აწარმოებდა საქართველოც პირველად, დიპლომატთა როლს ქურუმების სპეციალური კოლეგიის წევრები ასრულებდნენ (ძვ. წ. აღ-ით 4-1 ს.). ისინი მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობისა და ომის საკითხებს აგვარებდნენ. შემდგომ, ელჩების ინსტიტუტი დამოუკიდებელ ინსტიტუტად იქცა; დაიხვეწა ელჩების მიღებისა და წარგზავნის წესები, მათი სტატუსი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ელჩის როლს ზოგჯერ მანდილოსნები ასრულებდნენ (მაგ. დედოფალი მარიამი ბაგრატ მე-4-სა და ბიზანტიის იმპერატორს შორის მოლაპარაკების დროს XI ს-ში). ისევე, როგორც ყველგან, უცხო ქვეყნის ელჩი საქართველოში დიდი პატივით მიიღებოდა და სახელმწიფოს კმაყოფაზე გადაიყვანებოდა. განსაკუთრებით უზრუნველყოფილი იყო ელჩების ხელშეუხებლობა.

ნდობის სიგელი, რომლითაც ელჩის ხარისხი დასტურდებოდა, იყო განსაკუთრებული ოქროს ბეჭედი. მისი რაოდენობის მიხედვით, ელჩს შეღავათებისა და პრივილეგიების უფლებები ეძლეოდა. ელჩებს სენატისთვის უნდა ჩაებარებინათ ანგარიში თავისი მოღვაწეობის შესახებ. არსებობდა მეგობარი და მტერი სახელმწიფოების ელჩთა მიღების განსაკუთრებული ცერემონიალი.

საელჩო ატარებდა დროებით მიზნობრივ ხასიათს. იმპერატორობის ეპოქაში შეიქმნა განსაკუთრებული აპარატი, რომელიც დაკავებული იყო საგარეო ურთიერთობებითა და ექვემდებარებოდა იმპერატორს. ელჩებს ნიშნავდა იმპერატორი.

ისევე, როგორც ძველად, ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობები არ ატარებდა ყოვლისმომცველ ხასიათს. დიპლომატიური ურთიერთობები ძირითადად ისაზღვრებოდა გარკვეული რაიონებით (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, შუა და შორეული აღმოსავლეთი), თუმცა, ამავე დროს ლაპარაკი შეიძლება შორეულ რაიონებს შორის ცალკეულ კავშირებზე.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა დიპლომატიური წარმომადგენლობის, როგორც მთლიანის, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის იურისდიქციისაგან ამოღების პრინციპი.

განვითარებადი დიპლომატიური სამართლის ახალ მომენტად შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციების, კომისიების, პერიოდულად ან ყოველწლიურად მოწვეული საერთაშორისო ასამბლეების შექმნა და განვითარება ჩაითვალოს. ჩნდება დიპლომატების ახალი კატეგორია (საერთაშორისო თანამდებობის პირები) და განისაზღვრება მათი რეჟიმი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში უკვე მყარად მოქმედებდა ექსპლუატატორული საზოგადოების

დიპლომატიური სამართალი, რომელიც ძირითადად იმუნიტეტის საკითხებს ეხებოდა, გამოყოფდა პირადსა და წარმომადგენლობითს და წარმომადგენლობის მეთაურების რანგებს (1915 წ. 7 მარტის და 1918 წ. 21 ნოემბრის ვენის ოქმი).

უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური სამართალი წარმოიშვა და განვითარდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც საელჩო სამართალი, ე.ი., როგორც ნორმების ერთობლიობა, რომელიც ელჩის მდგომარეობას განსაზღვრავდა. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში შეგვიძლია ვილაპარაკოთ საელჩო სამართლის დიპლომატიურად გარდაქმნის პროცესზე, ე.ი. ნორმების ერთობლიობა უფრო და უფრო არეგულირებდა სახელმწიფოს ყველა ოფიციალურ ურთიერთობებს. პარალელურად, საელჩო სამართლის წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად, წარმოიშვა და განვითარდა დიპლომატიური სამსახურიც.

XVII-XVIII საუკუნეების დასაწყისამდე, დიპლომატიური სამართალი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა. ყველა საგარეო ურთიერთობები ხელთ ეპყრათ მთავრებს, მეფეებს, იმპერატორებს, რომლებიც თავიანთ ელჩებს მოლაპარაკების საწარმოებლად, ზავის დასადებად ან ომის გამოსაცხადებლად დროდადრო აგზავნიდნენ. არ არსებობდა არც საკონსულო სამსახური. მხოლოდ XVII ს-ის შუა ხნიდან დაიწყო უცხო ქვეყნებში საკონსულოების შექმნა, სადაც ხელმძღვანელებად ადგილობრივ ვაჭრებს ნიშნავდნენ. ისინი დაქვემდებარებული იყვნენ იმ პირებს, რომლებიც ამ ფუნქციებთან ერთად სახელმწიფო მართვის ბევრ სხვა ფუნქციებს ასრულებდნენ (ფინანსები, შიდა ვაჭრობა, გადასახადები და სხვ.).

თითქმის პარალელურად, მეფის პირად კანცელარიაში, რომელიც მეფის საგარეო ურთიერთობებს განაგებდა, დაიწყო ჯერ თანამდებობის, ხოლო შემდეგ კი, სპეციალური ორგანოს შექმნა. აბსოლუტიზმის პერიოდი ხასიათდება სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების ორგანოების განსაზღვრული სისტემების ფორმირებით, ისეთი სამსახურის ჩამოყალიბებით, რომელიც სპეციალურად სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებითაა დაკავებული.

კაპიტალიზმის განვითარებამ და გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა განაპირობა სხვადასხვა საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერისა და განვითარების აუცილებლობა. ამან, თავის მხრივ, მიგვიყვანა მუდმივი საკონსულოების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საგარეო საქმეთა უწყებების, ე.ი. საგარეო ურთიერთობების სამსახურების შექმნამდე. ამ პერიოდში სახელმწიფოებში ადგილი აქვს საკონსულო და დიპლომატიური სამსახურის მკაცრ გაყოფას, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ საზღვარგარეთ და ცენტრალურ აპარატში სამსახურზე; ასე ვთქვათ, არსებობდა ორი კარიერა: საკონსულო და დიპლომატიური. ეს განსხვავება მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო საკონსულო და დიპლომატიური სამსახურის სხვადასხვა ფუნქციებით. საკონსულო სამსახური დაკავებული იყო ვაჭრობის საკითხებითა და მისთვის ხელის შეწყობით. ამიტომ ამ სამსახურში, პირველ რიგში, ღებულობდნენ ვაჭრებსა და სოვდაგრებს. დიპლომატიური სამსახური კი დაკავებული იყო მონარქებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური საკითხებით, და ამასთან დაკავშირებით ამ სამსახურში მხოლოდ თავადაზნაურობის წარმომადგენლებს იწვევდნენ. ასეთი წოდებრივი

ხასიათის სამსახური არ აძლევდა ერთი სამსახურიდან მეორეზე გადასვლის საშუალებას. სახელმწიფოებში დიპლომატიური სამსახური სრულდებოდა საგარეო საქმეთა უწყებაში, ხოლო საკონსულო კი - კომერცკოლეგიაში, ფინანსებისა და ვაჭრების უწყებაში. შეიძლება ითქვას, რომ XIX ს-ში სახელმწიფოთა პრაქტიკაში ჩამოყალიბდა დიპლომატიური და საკონსულო სამსახური, ე.ი. - სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების განხორციელების ორი სისტემა.

ამ პერიოდში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს, რაც უფრო ბევრ ხანს იქნებოდა დიპლომატი თუ საკონსულო საზღვარგარეთ, იქ მიიღებდა საზღვარგარეთ მუშაობის განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, მით უფრო კარგად და ეფექტურად შეასრულებდა თავის ფუნქციებს. თავის მხრივ, საზღვარგარეთის მუშაკების უფრო ეფექტური ხელმძღვანელობისთვის აუცილებელია, რაც შეიძლება დიდ ხანს იყო შენს ქვეყანაში, ცენტრალურ აპარატში, მონარქის კარზე, გამოიცნო და შეასრულო ყველა მისი სურვილი. ამ კონცეფციამ როგორც საზღვარგარეთ, ასევე ცენტრშიც დიპლომატიური და საკონსულო სამსახური დაყოფამდე მიიყვანა. საზღვარგარეთ მომსახურე ჩინოვნიკები წარმომადგენლობაში ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას, გადადიოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში ან იყვნენ ერთ ადგილზე. ცენტრალური აპარატის ჩინოვნიკები კი, როგორც წესი, მუშაობდნენ სულ თავიანთ ქვეყანაში. XIX ს-ის შუა ხანებში და დასასრულს, სახელმწიფოებში ჩნდება ასე თუ ისე უფრო დახვეწილი კანონები და ინსტრუქციები, რომლებიც დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურს ეხება.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფოების დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურის ორგანიზაციულ ფორმებზე დიდ გავლენას ახდენს. როგორც ცნობილია, შიდასახელმწიფოებრივი მართლწესრიგის ფორმირების პარალელურად მიმდინარეობდა საერთაშორისო მართლწესრიგის ჩამოყალიბება, ე.ი. ყალიბდებოდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები და პრინციპები, კერძოდ - დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, რომელიც დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის ორგანიზაციაზე, კანონებზე და პრინციპებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიპლომატიური სამართლის ნორმები და პრინციპები, როგორც საერთაშორისო სამართლის სფერო, ეხებოდა რა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების სამართლებრივ მდგომარეობას, მის ფუნქციებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, არ შეიძლება გათვალისწინებული არ ყოფილიყო ყველა იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც საგარეო ურთიერთობების ორგანიზაციისას საერთაშორისო ურთიერთობებში ღებულობდა მონაწილეობას.

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში იწყება დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის შერწყმის პროცესი. ამ პროცესმა რიგ ქვეყნებში გამოიწვია ერთიანი, ასე ვთქვათ, საგარეო პოლიტიკის სამსახურის შექმნა. დიპლომატიური და საკონსულო კავშირების ორგანიზაცია ხდება ერთად, თუმცა, საკონსულო და დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. მაგრამ უკვე ამ დროს, და განსაკუთრებით შემდგომ პერიოდში,

აღინიშნება საკონსულო და დიპლომატიური წარმომადგენლობების ფუნქციების გაერთიანების ტენდენცია.

შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, დიპლომატიის მნიშვნელოვან ამოცანად იქცა ომის თავიდან აცილება, ყოველი ღონის ხმარება იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზრი მშვიდობის სასარგებლოდ გადახრილიყო.

## §2. დიპლომატიური სამართლის ცნება და წყაროები

მსოფლიოში პირველი სახელმწიფოების შექმნისთანავე დამყარდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი, რომლებიც გარკვეული ქცევის წესებით რეგულირდებოდა. ეს ქცევის წესები, ანუ ნორმები, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად.

ამგვარად, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები ყალიბდებოდნენ, მოქმედებს სათანადო, ამ სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ქცევის წესები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოების ქცევის ყველა წესი არ ატარებს სამართლებრივ ხასიათს და სამართლის განსაკუთრებულ სისტემას და საერთაშორისო სამართალს არ განეკუთვნება. მხოლოდ ნორმებს, ანუ ქცევის წესებს, რომლებიც სახელმწიფოების ან სხვა სუბიექტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება, და რომელთა შესრულების უზრუნველყოფა თვით სახელმწიფოების, ასევე სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ხდება, ეწოდება საერთაშორისო სამართალი.

საერთაშორისო სამართალში უძველესი დროიდან არსებობდა ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების პროცესში წარმომადგენლობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, სახელმწიფოს წარმომადგენლებს ან მათ ორგანოებს შორის ოფიციალურ ურთიერთობებს არეგულირებდა.

საუკუნეების განმავლობაში ამ ნორმებმა თანდათანობით შედარებით მყარი და დამოუკიდებელი საგნობრივი რეგულირების ერთობა შექმნა, რომელიც დღეისათვის, კოდიფიკაციისა და პროგრესული განვითარების თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ მოწესრიგებულ დარგს წარმოადგენს.

დიპლომატიური სამართალი არის საერთაშორისო სამართლის უძველესი დარგი, ეს არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტების დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგი, რომელიც, თავის მხრივ, დიპლომატიური სამართლის საფუძველზე ხორციელდება.

დიპლომატიური მოღვაწეობა წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო ფუნქციების განხორციელების საშუალებას და განსაზღვრავს მის შინაარსს, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

დიპლომატიური მოღვაწეობა არის უფრო ნაკლებსიმომცველი ვიდრე საგარეო პოლიტიკა, რადგანაც დიპლომატიური მოღვაწეობის ქვეშ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მხოლოდ საგარეო ურთიერთობის ორგანოების სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობა იგულისხმება. სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტის არსებობა შეუძლებელია სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან საგარეო კავშირების გარეშე. საგარეო კავშირების აუცილებლობა მოითხოვს ამ კავშირების

აპარატის შექმნას და საერთაშორისო სამართლის მეშვეობით ამ კავშირების რეგულირებას.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტების დიპლომატიური მოღვაწეობის ფორმას წარმოადგენს სხვადასხვა სახის უშუალო მოლაპარაკებები, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების მომზადება და დადება, დიპლომატიური მიწერ-მოწერა, ყოველდღიური წარმომადგენლობა, საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღება, პრესაში ხელისუფლების პოზიციის გამოქვეყნება, ოფიციალური ინფორმაციის პუბლიკაცია, საერთაშორისო აქტებისა და დოკუმენტების ოფიციალური გამოცემა და სხვა.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობების განვითარებით შეიძლება წარმოიშვას დიპლომატიური მოღვაწეობის ახალი ფორმები, ამის შედეგად კი, - ახალი ნორმები, რომლებიც ამ მოღვაწეობას რეგულირებას გაუწევს, თვითონ ნორმების წარმოქმნის პროცესი კი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და მოქმედებდეს დიპლომატიური სამართლის ჩარჩოებში.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური მოღვაწეობის განხორციელებას, პირველ რიგში, მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარებას, მეცნიერების, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში ფართო გაცვლაგამოცვლას. ეს ობიექტური კანონზომიერება განსაზღვრავს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების დიპლომატიურ მოღვაწეობას.

ამრიგად, დასახელებული მიზეზების, საერთაშორისო ურთიერთობების დიდი სირთულეებისა და დიპლომატიური მოღვაწეობის სპეციალიზაციის გამო, დიპლომატიის შინაარსიც იცვლება, რასაც მივყავართ დიპლომატიური სამსახურის ახალი რგოლების შექმნამდე, დიპლომატიისა და დიპლომატიური სამსახურის შინაარსის შეცვლამდე, რომელიც უკვე დიპლომატიურ, საკონსულო, სავაჭრო მოღვაწეობასთან ერთად მოიცავს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს - კულტურის, საგარეო ეკონომიკის, საინფორმაციო და სხვა დარგებში.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ფაქტორის მოქმედებამ, საერთაშორისო ურთიერთობების აქტიურობამ და სირთულემ განაპირობა სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს მეთაურის უფრო აქტიური მონაწილეობა, ვიდრე წარსულში, რამაც ამ ორგანოებთან სპეციალური აპარატის შექმნა განაპირობა (ყველა ქვეყანაში არა), რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საკითხებს წყვეტდა.

სახელმწიფოებში სხვადასხვა კონკრეტულ საფუძველზე, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ხასიათის შედეგად, ჩამოყალიბდა მუშაობის ერთიანი სისტემა საგარეო ურთიერთობების სფეროში, მოცემული სახელმწიფოს დიპლომატიაში, რომელიც სახელმწიფოს საგარეო ფუნქციების რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა.

დიპლომატიური სამართალი არეგულირებს საგარეო ურთიერთობების

სფეროში საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ოფიციალურ მოღვაწეობას. ასეთ საკითხებს განეკუთვნება სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების რეგლამენტაცია, საზღვარგარეთ მათი წარმომადგენლობისა და მოლაპარაკების წარმოების ფორმები, დიპლომატიური სამსახურის ორგანიზაცია, დიპლომატიური ეტიკეტის საკითხები, დიპლომატიური აქტების მომზადება და შექმნა, მათი კლასიფიკაცია, დიპლომატიური კადრების მომზადება და სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის მთელი რიგი საკითხები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიპლომატიური სამართალი უნდა განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

**დიპლომატიური სამართალი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც დაწესებულია შეთანხმებების შედეგად და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიერ, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ურთიერთობებში და მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მხარდასაჭერად და გასაღრმავებლად ამ სუბიექტების საგარეო ურთიერთობების ოფიციალური ორგანოების მდგომარეობასა და მოღვაწეობას არეგულირებენ.**

დიპლომატიური სამართლის საგანს წარმოადგენს დიპლომატიური მოღვაწეობა, საგარეო ურთიერთობების ოფიციალური ორგანოების მოღვაწეობა, რომლის სამართლებრივი რეგულირება, მოიცავს როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ასევე შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების სფეროებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1949 წელს თავის პირველ სესიაზე სხვა საკითხებთან ერთად, რომლებიც კოდიფიკაციას ეხებოდა, დაასრულა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების საკითხი. 1958 წელს, კომისიამ შეადგინა კონვენციის პროექტი დიპლომატიური ურთიერთობებისა და იმუნიტეტების შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო 1961 წლის ვენის კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ და მიღებულ იქნა ვენაში 1961 წელს. კომისიამ შეადგინა კონვენციის პროექტი საკონსულო ურთიერთობებისა და იმუნიტეტის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო კონვენციას და ფორმულირებულ იქნა ვენის კონფერენციაზე 1963 წელს. გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ რეკომენდაცია გაუწია საერთაშორისო გაერთიანებაში სპეციალური მისიების სამართლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფოების წარმომადგენლობის კონვენციას უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში, რომლებიც შესაბამისად 1969 და 1975 წლებში იქნა მიღებული. უნდა აღინიშნოს აგრეთვე 1973 წლის კონვენცია იმ პირების წინააღმდეგ დანაშაულების აღკვეთის და დასჯის შესახებ, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ.

1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ ძირითად დოკუმენტს, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტების დიპლომატიურ მოღვაწეობას არეგულირებს. ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვენის კონვენციის ეფექტურობა სწორად რომ გავიგოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ დათქმები, რომლებიც აღნიშნული სახელმწიფოს ხელისუფლებამ გააკეთა, მისი რატიფიკაციისა და ხელმოწერისას. გარდა ამისა, დიპლომატიურ სამართალს მიძღვნილი ნორმები

შეტანილია ორმხრივ მოლაპარაკებებში, პირველ რიგში, მრავალრიცხოვან საკონსულო კონვენციებში, სავაჭრო მოლაპარაკებებში, დიპლომატიური ან საკონსულო ურთიერთობების დამყარების შეთანხმებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების რეგლამენტებში.

დიპლომატიურ სამართალში შიდასახელმწიფოებრივ კანონებს, როგორც არაპირდაპირ წყაროს, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასე თუ ისე უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების სამართლებრივ სტატუსს ეხება, დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიპლომატიური სამართლის წყაროს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სახელმწიფოებს, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს და თვით ორგანიზაციებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები. ასევე, მხედველობაში უნდა გვქონდეს ურთიერთობების სფეროები, რომლებიც ხელშეკრულებითი ნორმებით დაურეგულირებელი დარჩა და მომავალშიც დარეგულირდება საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმებით. მათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციებზე დელეგაციების სამსახურებრივი შენობების სრული ხელშეუხებლობის პრინციპი.

ჩვეულებით სამართალს უნდა დაემორჩილოს ასევე სახელმწიფოები, რომლებმაც, ამა თუ იმ მიზეზების გამო, დიპლომატიური სამართლის სფეროს დასახელებულ მრავალრიცხოვან ხელშეკრულებებში ვერ მიიღეს მონაწილეობა.

ფაქტობრივად, მთელი საგარეო ურთიერთობების მართვის აპარატი იქმნება და, ასევე მას ენიჭება გარკვეული კომპეტენციები თითოეული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად, ამ სახელმწიფოში არსებული შიდა სამართლის აქტებზე დაყრდნობით. საგარეო ურთიერთობების ორგანოების ფუნქციონირებაში მათი მოქმედებები რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი მითითებებით არა მარტო მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ, არამედ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერაც (მაგალითად, ვალდებულება - დაიცვას ამ სახელმწიფოში მიღებული კანონები და წესები, დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტებისათვის ზიანის მიუყენებლად).

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ აქ მოქმედებს როგორც ნაციონალური, ასევე საერთაშორისო სამართალი.

ამგვარად, მიუხედავად საგარეო ურთიერთობისთვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების დიდი მნიშვნელობისა, ისინი მაინც არ შეიძლება საერთაშორისო დიპლომატიური და საკონსულო სამართლის წყაროდ ჩაითვალოს, რადგანაც ლაპარაკია საერთაშორისო სამართალზე.

საერთაშორისო სამართლის ამ სფეროში გვაქვს ოთხი ზემოთ ხსენებული კოდიფიკაციური ხასიათის უნივერსალური კონვენცია (1961, 1963, 1969 და 1975 წ.წ.), და აგრეთვე არსებული ნორმების შესრულების გარკვეული გარანტიის შექმნის 1973 წლის კონვენცია, იმ პირების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების დასჯისა და აღკვეთის შესახებ, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, მათ შორის არიან დიპლომატიური აგენტებიც.

საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფო გამოდის როგორც ერთი მთლიანი

წარმონაქმნი, სოციალური ორგანიზმი, რომელიც სუვერენიტეტთან ერთად საერთაშორისო სამართლის სუბიექტობას ფლობს, და არ შეიძლება საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გამოვიდეს.

### §3. სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოები და მათი სისტემა

ყოველი სახელმწიფო თავის საგარეო ურთიერთობას სპეციალური ორგანოების მეშვეობით აწარმოებს, ეს ორგანოები სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და ყოველ მათ ნაბიჯზე პასუხისმგებელია მათი სახელმწიფო, ამიტომ სახელმწიფოები ძალზე ფრთხილად უდგებიან საგარეო ურთიერთობების ორგანოების კომპეტენციას, დაკომპლექტებისა და საქმიანობის რეგლამენტაციას.

განასხვავებენ საგარეო ურთიერთობის საზღვარგარეთულ და შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს. უკანასკნელთა კომპეტენცია განისაზღვრება სახელმწიფოს კონსტიტუციით და სხვა ნორმატიული აქტებით. შიდასახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცენტრალური ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ დიპლომატიის ძირითად გეზს, თავისი საქმიანობით უშუალოდ ატარებენ ცხოვრებაში საგარეო პოლიტიკის ამოცანებს, ორგანიზაციას უწყვენ და წარმართავენ დანარჩენი საზღვარგარეთული ორგანოების საქმიანობას.

საგარეო ურთიერთობის ცენტრალურ ორგანოებად ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები გვევლინება.

სახელმწიფოთა უმრავლესობა საგარეო ურთიერთობის დარგში ზოგად ხელმძღვანელობას ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტს მიაკუთვნებს.

ყველა ქვეყნის პარლამენტების კომპეტენციაში მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურთა ანგარიშის მოსმენა, ხელშეკრულების რატიფიკაცია და დენონსაცია, მაღალი რანგის ელჩების დანიშვნის დამტკიცება და გათავისუფლება, სხვა სახელმწიფოების პარლამენტებთან კავშირის დამყარება, მოლაპარაკებაში მონაწილეობა და ა. შ.

პარლამენტი საგარეო ურთიერთობათა დარგში კანონშემოქმედებით საქმიანობას ათავსებს ყოველდღიურ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასთან. პარლამენტის წევრები აქტიურად მონაწილეობენ უცხოეთის ქვეყნებში გაგზავნილი დელეგაციების მუშაობაში, ჩამოსული უცხოეთის ქვეყნების დელეგაციებთან მოლაპარაკებაში.

პარლამენტი იხილავს საკითხებს, რომლებიც ეხება სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციასა და დენონსაციას, ამტკიცებს ელჩის დანიშვნასა და განთავისუფლებას.

საგარეო ურთიერთობების ზოგადი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს უზანესი წარმომადგენლობა სახელმწიფოს მეთაურს (მეფეს, პრეზიდენტს) ეკისრება. ყველა სახელმწიფოს მეთაური, მიუხედავად იმისა, კოლეგიურია იგი თუ ერთპიროვნული, მონარქიულია

(ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, იაპონია) თუ რესპუბლიკური (აშშ, იტალია, საფრანგეთი), შემდეგ ძირითად ფუნქციებს განგებს: ა) წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობაში; ბ) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; გ) იღებს და წარგზავნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; დ) ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას.

საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას სახელმწიფოს მეთაურს არ სთხოვენ არავითარ სპეციალურ რწმუნებას, რადგანაც იგულისხმება, რომ მას გააჩნია ასეთი *ex officio* (თანამდებობის დაკავების ძალით). საზღვარგარეთ ყოფნისას სახელმწიფოს მეთაურს მიენიჭება მთელი რიგი უფლებები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ე. წ. სუვერენულ იმუნიტეტს. ასეთი უპირატესობებია:

ა) პატივისცემის უფლება, ე.ი. უფლება საზეიმო მიღებისა და განსაკუთრებული პატივისა, რომლითაც ხვდებიან სახელმწიფოს მეთაურის ალამს;  
ბ) თავის და სხვა ქვეყნებთან დაკავშირების თავისუფლება (შიფრი, შიკრიკები);  
გ) სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი განუსჯადობა;  
დ) გადასახადებისა და ბეგარისაგან განთავისუფლება;  
ე) პიროვნების, პირადი ნივთებისა და ბინის (სახლი, ვაგონი, ხომალდი) ხელშეუხებლობა.

მთავრობა სახელმწიფო მმართველობის კოლეგიალური უმაღლესი ორგანოა, რომელიც, როგორც წესი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც ხელმძღვანელობს. მთავრობის დეკლარაციები და ღონისძიებები ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს. მთავრობის რწმუნებებსა და აგებულებას განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები.

თანამედროვე საერთაშორისო ჩვეულება, თუ ეს ქვეყნის საშინაო კანონმდებლობით აკრძალული არ არის, ცნობს მთავრობის უფლებას თავისი სახელით დადოს მთავრობებთან ხელშეკრულებანი, რომლებიც დიდმნიშვნელოვან შემთხვევებში რატიციფიცირებული უნდა იქნეს სათანადო უმაღლესი ორგანოების მიერ. მთავრობის მეთაურს ან თავმჯდომარეს უფლება აქვს მიიღოს და მიიწვიოს უცხოეთის დელეგატები და სპეციალური უფლებამოსილების გარეშე აწარმოოს მოლაპარაკება, ჩვეულებრივ საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობით და ზოგჯერ ქვეყნის სპეციალურად მიწვეული პოლიტიკური მოღვაწეების - დეპუტატების, სენატორების, პარტიათა ლიდერების მონაწილეობით. აშშ-სა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოში რესპუბლიკის პრეზიდენტი აერთებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს. საზღვარგარეთ ოფიციალური გამგზავრების დროს მთავრობის მეთაური დიპლომატიური პასპორტითა და იმუნიტეტით სარგებლობს.

საგარეო საქმეთა უწყება, როგორც დამოუკიდებელი უწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრო ისტორიულად ჩამოყალიბდა ჯერ ბიზანტიაში (VI-X სს.), ხოლო შემდგომ (XV-XVII სს.) იაპონიაში, თურქეთში, ვენეციაში, საფრანგეთში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში. საგარეო საქმეთა უწყება ძირითად მუშაობას ეწევა მოცემული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ურთერთობისა და საზღვარგარეთი მის მოქალაქეთა (ან ქვეშევრდომთა) უფლებრივი დაცვის დარგში. ეს უწყება

წარმოადგენს ცენტრალიზებულ აპარატს, რომლის ყველა განყოფილება ქვეყნებისა და ოპერატიული ამოცანების მიხედვითაა დიფერენცირებული (ტერიტორიული და ფუნქციონალური ნაწილები), იგი მუშაობს უწყების მეთაურის ან მისი ოფიციალური მოადგილეების დირექტივებით. უწყებით. უწყების მეთაური (საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მდივანი) ქვეყნის მთავრობაში შედის და საერთაშორისო ურთიერთობაში ითვლება თავისი მთავრობის წარმომადგენლად სპეციალურ რწმუნებათა გარეშე. უწყების განყოფილებათა მეთაურები, დეპარტამენტთა დირექტორების და სხვა თანამშრომლები განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე არ წარმოადგენენ მთავრობას, მაგრამ უცხოეთის დიპლომატებთან სამსახურებრივი ურთიერთობის დროს უწყების მეთაურის დავალებით მომლაპარაკებლად ითვლებიან. საერთაშორისო ჩვეულება ცნობს საგარეო საქმეთა უწყების მეთაურის უფლებას - პირადი ურთიერთობა იქონიოს და მოლაპარაკება აწარმოოს უცხოეთის წარმომადგენლებთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან, დადოს ხელშეკრულებანი, კერძოდ, ნოტების გაცვლისა და ჯენტლმენურ შეთანხმებათა სახით და საერთოდ იმ უფლებას, რომ მიმდინარე ხელმძღვანელობა გაუწიოს საგარეო პოლიკას და მოახდინოს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დემარშები (გამოსვლები).

ხელშეკრულებათა დადებისა და დემარშის დროს ითვლება, რომ საგარეო საქმეთა უწყების მეთაური მოქმედებს „მთავრობის მაგიერ“ ან „მთავრობის უფლებამოსილებით“. ამასთან შეიძლება ჰქონდეს სპეციალური მანდატიც (ჩვეულებრივ კონფერენციებზე), მაგრამ არსებითად ასეთი მანდატი სავალდებულო არ არის, რამდენადაც მეორე მხარისათვის ცნობილი და ნათელია, რომ მოქმედი თანამდებობის პირი გამოდის სწორედ როგორც საგარეო საქმეთა უწყების მეთაური.

საზღვარგარეთ ოფიციალური გამგზავრების დროს უწყების მეთაური, ისევე როგორც მთავრობის მეთაური, დიპლომატიური პასპორტითა და იმუნიტეტით სარგებლობს.

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე ყველა ის ორგანო, უწყება და დაწესებულება, რომლებიც საგარეო ურთიერთობათა სპეციალურ საკითხებს განაგებენ.

განსაკუთრებით გაიზარდა უწყებების სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი (იურიდიული), კულტურული, ტექნიკური, სპორტული, ტურისტული თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაფართოებასთან დაკავშირებით. ყოველი სახელმწიფო თვით გასწავლავს ამ ორგანოთა ორგანიზაციასა და კომპეტენციას.

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე ყველა ის ორგანო, უწყება და დაწესებულება, რომლებიც საგარეო ურთიერთობათა სპეციალურ საკითხებს განაგებენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა უწყებების როლი უკანასკნელ ხანებში, სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი (იურიდიული), კულტურული, ტექნიკური, სპორტული, ტურისტული თანამშრომლობის გაძლიერებასა და გაფართოებასთან დაკავშირებით. ყოველი სახელმწიფო თვით გასწავლავს ამ ორგანოთა

ორგანიზაციასა და კომპეტენციას.

საგარეო ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოთა გარდა არსებობს დიდი ჯგუფი ე. წ. საზღვარგარეთული ორგანოებისა - დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო და ა. შ. რომლებიც იცავენ და ახორციელებენ თავისი სახელმწიფოს ინტერესებს ადგილზე, მის საზღვრებს გარეთ.

საგარეო ურთიერთობების საზღვარგარეთულ ორგანოთა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას უცხო სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ პოლიტიკურ ურთიერთობათა დამყარება, როგორც წესი, იწვევს დიპლომატიური წარმომადგენლობების ურთიერთგაცვლას. დიპლომატიური წარმომადგენლობა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში აგზავნილი ორგანოა, რომლის ამოცანაა განამტკიცოს ამ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა და დაიცვას თავისი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესები.

მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობათა ინსტიტუტი მხოლოდ XV საუკუნეში იდგამს ფეხს. მანამდე ელჩები იგზავნებოდნენ რაიმე გარკვეული ამოცანის შესასრულებლად - ხელშეკრულების დასადებად, დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიების ჩამოყალიბების პერიოდში დროებითი ელჩობა მუდმივ საწყისებზე გადადიან. პირველი ასეთი საელჩო წარიგზავნა ვენეციაში 1455 წელს მილანის ჰერცოგ ფრანჩესკო სფორას მიერ, მაგრამ ამ ინსტიტუტის ფართოდ გამოყენება მხოლოდ XVI საუკუნიდან იწყება. ყოველი დიპლომატიური წარმომადგენლის (დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის) უფლებრივი მდგომარეობა სამ საწყისს ეყრდნობა. ესენია: აკრედიტება (აკრედიტაცია), წარმომადგენლობა და იმუნიტეტი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

აკრედიტება - ყოველი დიპლომატიური წარმომადგენელი აღიჭურვება უფლებამოსილებით, რომელიც რწმუნების სიგელისა ან რწმუნების წერილის სახით ფორმდება და გადაეცემა წარმომადგენლის მიერ ადგილსამყოფელი ქვეყნის სათანადო ორგანოს. ამ მომენტიდან დიპლომატიური წარმომადგენელი აკრედიტებულად ითვლება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

წარმომადგენლობა - აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენელი მოქმედებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში თავისი სახელმწიფოს სახელით ყოველგვარი დამატებითი უფლებამოსილების გარეშე და ყოველ მის ქმედებაზე პასუხისმგებელია მაკრედიტებელი სახელმწიფო. თუ დიპლომატიური წარმომადგენლობის ქმედობა ან განცხადება ეწინააღმდეგება მისი სახელმწიფოს ინტერესებს, უკანასკნელი უფლებამოსილია დაგმოს თავისი წარმომადგენლის ასეთი ქმედობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გამოიწვიოს კიდეც იგი.

იმუნიტეტი - თავისი ფუნქციების ნორმალური შესრულებისათვის ყოველ დიპლომატიურ წარმომადგენელს და მის რეზიდენციას მიეცემა განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ათავისუფლებენ მას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ყველა სახის იურისდიქციისაგან.

დიპლომატიური წარმომადგენლობის პირადი შემადგენლობა სამ ჯგუფად იყოფა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შესაძლებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით:

ა) დიპლომატიურ პერსონალს (დიპლომატიურ აგენტებს), წარმომადგენლობაში, მისი მეთაურის გარდა, მიეკუთვნება ყველა მუშაკი რომელსაც დიპლომატიური რანგი გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი დიპლომატიური ატაშეს გარდა, რომელიც ყველაზე დაბალ რანგს წარმოადგენს, არსებობს ე. წ. სპეციალიზებული ატაშეების ინსტიტუტი. როგორც წესი, ეს მაკრედიტებელი სახელმწიფოს სპეციალური უწყებების (სამხედრო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო, კულტურის და სხვა სამინისტორების) მიერ მიმაგრებული პირებია. სამოქალაქო ატაშეები დიპლომატიური რანგის მქონე პირები და ხშირად მეურნეობის რომელიმე დარგის სპეციალისტები არიან, სამხედრო ატაშეები - გენერლები, ადმირლები და მოქმედი სამსახურის სხვა ოფიცრები მაღალი დიპლომატიური რანგის პირს უთანაბრდებიან და პირველ მდივანზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან წარმომადგენლობაში. ბევრ კათოლიკურ სახელმწიფოს მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ დამყარებული კათოლიკური ეკლესიის ცენტრთან - ვატიკანთან, რომელიც წარმოადგენილია ამ ქვეყანაში ნუნციუსებითა და ინტერნუნციუსებით.

ბ) ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს მიეკუთვნებიან კანცელარიის მუშაკები, ბუღალტრები, თარჯიმნები, მეშიფრეები, მემანქანეები და ა. შ.

გ) მომსახურე პერსონალს მიეკუთვნებიან მძღოლები, შიკრიკები, ლიფტიორები, შვეიცრები და ამ სახის სამუშაოს სხვა შემსრულებლები.

ორი უკანასკნელი ჯგუფის პერსონალი საელჩოს (მისიის) არაოფიციალურ შემადგენლობაში შედის და დამხმარე როლს ასრულებს.

რაც შეეხება დიპლომატიურ წარმომადგენლობათა სტრუქტურას, იგი დამოკიდებულია მაკრედიტებელ სახელმწიფოში მიღებულ ტრადიციებზე. მაგრამ ძირითადად ყველა ქვეყნის საელჩოს (მისიას) სტრუქტურას შორის არსებობს მსგავსება. იგი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: კანცელარია, პოლიტიკური განყოფილება, საკონსულო განყოფილება, ეკონომიკური განყოფილება, ბეჭდითი სიტყვის განყოფილება, კულტურული ურთიერთობის განყოფილება, ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება, ატაშე. ზოგიერთი განყოფილება ქვეგანყოფილებებად და სექციებად იყოფა.

მოცემულ სახელმწიფოში აკრედიტებულ ყველა უცხო დიპლომატიურ წარმომადგენელთა (ე. ი. საელჩოების ან მისიების მეთაურთა) ერთობლიობას დიპლომატიური კორპუსი ეწოდება. დიპლომატიური კორპუსის ამ ვიწრო გაგების აღნიშნულ ტერმინს იყენებენ მოცემულ სახელმწიფოში ყველა საელჩოს მისიის დიპლომატიური პერსონალის ერთობლიობის აღსანიშნავად. ამავე ცნებაში შედიან დიპლომატთა ცოლები, არასრულწლოვანი შვილები, სრულწლოვანი, მაგრამ გაუთხოვარი ქალიშვილები და, იშვიათად, მოხუცებული დედ-მამა.

დიპლომატიური კორპუსის ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და თითქმის ორსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს.

დიპლომატიური კორპუსის მეთაურად (უხუცესად, დუაენად) ინიშნება უმაღლესი დიპლომატიური კლასის მქონე ის პირი, რომელიც ამ სახით ყველაზე დიდხანს მუშაობს მოცემული ქვეყანაში.

დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური ღონისძიებანი ძირითადად ცერემონიულ ხასიათს ატარებს.

თუ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოების წარმომადგენელთა ინსტიტუტი მხოლოდ XX საუკუნეში, ერთა ლიგის შექმნისას ჩამოყალიბდა, ხოლო მისი დეტალიზაცია და დახვეწა თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო როლს ასრულებს სხვადასხვა სახის სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, არაბეთის ქვეყნების ლიგა, აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებანი („იუნესკო“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა. შ.) და სხვ.

ამ ორგანიზაციების აღმასრულებელ ორგანოებთან მჭიდრო და ოპერატიული კონტაქტებისათვის მათი წევრ-სახელმწიფოები აგზავნიან ამ ორგანიზაციების რეზიდენციაში თავისი მუდმივ წარმომადგენლებს, რომლებიც დიპლომატთა სტატუსით სარგებლობენ. რასაკვირველია, მოცულობა იმ იმუნიტეტებისა და პრივილეგიებისა, რომლებიც მიეკუთვნება ამა თუ იმ წარმომადგენლობა, დეტალებში განსხვავდება ერთმანეთისაგან საერთაშორისო ორგანიზაციის ხასიათისა და მნიშვნელობის შესაბამისად, მაგრამ, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოების წარმომადგენლობანი აღიჭურვება ყველა იმ დიპლომატიური იმუნიტეტით, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ თავისი ფუნქციების პირნათლად და შუფერხებლად შესრულებას.

როგორც წესი, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შინაარსი განისაზღვრება თვით აერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ზოგჯერ ორგანიზაციასა (მის აღმასრულებელ ორგანოსა) და დაინტერესებულ სახელმწიფოს შორის იდება სპეციალური შეთანხმება, რომელიც განამტკიცებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული სახელმწიფოების წარმომადგენლობათა სტატუსს. მაგალითად, აშშ-სა და გაერო-ს გენერალურ მდივანს შორის 1947 წელს დადებული შეთანხმება, რომელიც არეგულირებს გაერო-ს შტაბ-ბინის სამართლებრივ სტატუსს, თუმცა წარმომადგენლობის პერსონალის სტატუსი ამ შეთანხმებით დაზუსტებული არ არის. ეს მოხდება მოგვიანებით, ახალი შეთანხმების ძალით, მათ შორის 1946 წლის საერთო კონვენციი გაერო-ს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, რომელიც რატიფიცირებულ იქნა აშშ-ს მიერ 1970 წელს. გაერო-სა და შვეიცარიას შორის 1946 წლის ივნისში დადებული შეთანხმება ეყდნობა აღნიშნული კონვენციის დებულებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოები აგზავნიან ამ ორგანიზაციის რეზიდენციაში (ნიუ-იორკი) და გაერო-ს ევროპულ განყოფილებასთან (ჟენევა, ვენა) თავის წარმომადგენლებს. ეს წარმომადგენლობანი სტრუქტურის

თვალსაზრისით შედგება შემდეგი პირებისაგან: მეთაური, მისი მოადგილეები, მრჩევლები, ტექნიკური ექსპერტები და მდივნები.

ნიუ-იორკში წარმომადგენლობის მეთაურს უფლება ენიჭება წარადგინოს თავისი სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთლიანად, კერძოდ, უშიშროების საბჭოში. მისი მოადგილე და მრჩევლები განაგებენ წარმომადგენლობაში ორგანიზაციის საქმიანობის გარკვეულ დარგებს უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო და ა. შ.

როგორც წესი, წარმომადგენლობის წევრები დიპლომატიური რანგის მქონე პირებია, ხოლო მის სათავეში მდგომ პირს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი აქვს.

რაც შეეხება ტექნიკურ და მომსახურე პერსონალს, ისინი სარგებლობენ იმუნიტეტით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

1975 წელს ჟენევაში მიღებულ იქნა კონვენცია სახელმწიფოთა წარმომადგენლობის შესახებ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, რომელიც ჯერ არ შესულა ძალაში, მაგრამ დიდ როლს ასრულებს ამ დარგის მოწესრიგებაში.

საერთაშორისო ურთიერთობაში ხშირია სხვადასხვა სახის საერთაშორისო თათბირები, კონფერენციები, საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოების სესიები, სახელმწიფოთა ეროვნული დღესასწაულები და სხვ. როგორც წესი, ამ შემთხვევაში იგზავნიებიან სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სპეციალური ხასიათის დროებითი რწმუნებებით. პირველ რიგში აღსანიშნავია დელეგაციები, რომლებიც იგზავნიებიან საერთაშორისო კონფერენციებზე. ეს დელეგაციები შედგება, როგორც წესი, მეთაურის, წევრების, მრჩევლებისა და ექსპერტებისაგან. დელეგაციების მეთაურისა და წევრების რწმუნებანი ხელმოიწერება მთავრობის მეთაურის მიერ და მოწმდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. დელეგაციის ყველა წევრზე ვრცელდება დიპლომატთა დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები, ე. ი. მათ დიპლომატთა სტატუსი მიეკუთვნება.

დელეგაციები, რომლებიც იგზავნიებიან უცხო ქვეყნების ეროვნულ დღესასწაულებზე (დამოუკიდებლობის დღე და ა. შ.), სახელმწიფოს ახალი მეთაურის მიერ თანამდებობის დაკავებასთან, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ა. შ. ატარებენ ცერემონიალურ ხასიათს.

ამ დელეგაციებისაგან უნდა განვასხვავოთ სპეციალური მისიები, ე. ი. ორმხრივი ურთიერთობებში მონაწილე დელეგაცია, რომელსაც აგზავნიან ერთი სახელმწიფო მეორეში, უკანასკნელის თანხმობით. ამ დელეგაციების მიზანია გარკვეული საკითხების მოგვარება, მოლაპარაკება. ამ მისიებს მიეკუთვნება აგრეთვე დროებითი დიპლომატიური წარმომადგენლობა.

დროებით დიპლომატიურ წარმომადგენლობებს მიეკუთვნება ყველა ის დელეგაცია, რომელიც მიდის საზღვარგარეთ გენერალური ასამბლეის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებისა და კომისიების

სესიებზე, სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების სხდომებზე.

და ბოლოს, აღსანიშნავია სავაჭრო დელეგაციები, რომლებიც იგზავნებიან შეთანხმებათა დასადებად. ასეთი დელეგაციების სათავეში დგანან სამთავრობო ჩინოვნიკები ან მთავრობის მიერ სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირები.

არსებობს დროებითი დიპლომატიური წარმომადგენლობის სხვა სახეებიც - სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური დიპლომატიური დავალების შემსრულებლები, სპეციალური საერთაშორისო კომისიების წევრები (მაგალითად, შემთანხმებლები და საგამომძიებლო კომისიები) და ა. შ. ამ პირებზე ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები. ყველა სახელმწიფო თავად განსაზღვრავს ამ უფლებების მოცულობას, მაგრამ ყველა მთავრობა ირჩევს საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული წესების დაცვას, ავრცელებს ზემოხსენებულ პირებზე დიპლომატიურ იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს მათი სრული მოცულობით. გამონაკლისს შეადგენენ პირები, რომლებიც ტრანზიტით გაივლიან. მათ მიენიჭებათ მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო გზის მშვიდობიან გავლას.

#### §4. დიპლომატიური კორპუსი და მისი ძირითადი ფუნქციები

დიპლომატიური კორპუსის ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და თითქმის ორსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. თავდაპირველად ტერმინი „დიპლომატიური კორპუსი“ გამოყენებულ იქნა ვენაში 1754 წელს, როდესაც ვენის საიმპერიო სასამართლომ დანიშნა შეხვედრა ყველა აკრედიტებულ დიპლომატთან, და მას საკმაოდ ირონიული დატვირთვა ჰქონდა. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში შეიძინა ტერმინმა მასპინძელ სახელმწიფოში აკრედიტებული დიპლომატიური პესონალის ერთობლიობის მნიშვნელობა. დღეისთვის, ინსტიტუტები, რომლებიც დიპლომატიურ სამართალს ქმნიდა ისტორიის განმავლობაში, მოითხოვს დიპლომატიური კორპუსებისაგან, იყვნენ სწორად გაგებულნი და იყვნენ სასარგებლონი იმდენად, რომ სახელმწიფოს შეეძლოს თავისი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე მიიღოს ზომები საერთაშორისო საზოგადოების ყველა სხვა წევრის უფლებებისადმი აშკარა პატივისცემის პარალელურად.

დიპლომატიური კორპუსი (diplomatic corps) არ უნდა აგვერიოს ზოგიერთ სახელმწიფოში არსებულ დიპლომატიური თანამდებობის პირთა სპეციალურ გაერთიანებაში (diplomatic career). დიპლომატიური კორპუსი აერთიანებს მოცემულ სახელმწიფოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა მეთაურებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „დიპლომატიურ კორპუსს“ ჰქონდა კიდევ ერთი კონკრეტული ნაკლებად დიპლომატიური მნიშვნელობა, რომელმაც გამოიწვია დაბნეულობა, კერძოდ, აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ტერმინმა მოიცვა საგარეო და დიპლომატიურ სამსახურებში მომუშავე ყველა პირი. საგარეო სამსახური კი არის სახელმწიფოს მუდმივი ორგანო, რომელსაც დიპლომატიური მისიის წინაშე ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს და შეასრულოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გეგმა ძირითადი პრინციპებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. საგარეო სამსახური ჩვეულებრივ შედგება თავად სახელმწიფოს დიპლომატიური აგენტებისა და აგრეთვე საკონსულოს თანამდებობის პირებისაგან. ცნობილი გერმანელი იურისტი ლ. ფ. ოპენჰეიმი, რომელიც მოიხსენიება, როგორც საერთაშორისო სამართლის მამა, ამბობდა: „დიპლომატიური კორპუსი არ არის სამართლებრივად წარმოდგენილი სუბიექტი, ხოლო მისი ფუნქციების შესრულება არ არის მოწესრიგებული სამართლებრივად. თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ ელჩების პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და პატივის დაცვას“.

„დიპლომატიური კორპუსის“ არსი შეიძლება განიმარტოს ორგვარად: ვიწრო გაგებით, დიპლომატიური კორპუსი მოცემულ სახელმწიფოში აკრედიტებულ ყველა უცხო დიპლომატიურ წარმომადგენელთა (ე.ი. საელჩოების ან მისიების წარმომადგენელთა) ერთობლიობას აღნიშნავს. ფართო გაგებით, დიპლომატიური კორპუსი მოცემულ სახელმწიფოში ყველა საელჩოს მისიის დიპლომატიური პერსონალის ერთობლიობის აღსანიშნავად გამოიყენება. ამავე ცნებაში შედიან

დიპლომატთა ცოლები, არასრულწლოვანი შვილები, სრულწლოვანი, მაგრამ გაუთხოვარი ქალიშვილები და, იშვიათად, მოხუცებული დედ-მამა. დიპლომატიური კორპუსის ცნებაში ასევე ერთიანდებიან სავაჭრო მისიების მეთაურები, მათი მოადგილეები - სპეციალური ატაშეები დაოჯახის წევრები.

დიპლომატიური პერსონალისა და მათი ოჯახის დიპლომატიური სტატუსი განისაზღვრება წარმგზავნი სახელმწიფოს მთავრობის მიერ მათთვის დიპლომატიური პასპორტის გადაცემით. ზოგჯერ მასპინძელი ქვეყნის ოფისი უარს ამბობს დიპლომატიური თანამშრომლების სტატუსის აღიარებაზე, თუ მათი მდგომარეობა არ პასუხობს დიპლომატიური პერსონალის საერთო ნომენკლატურას.

საგარეო საქმეთა სამინისტროები რეგულარულად (ჩვეულებრივ ყოველწლიურად) აქვეყნებენ კატალოგ „დიპლომატიურ კორპუსს“. მაგალითად, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო პროტოკოლის ოფისი საგარეო მისიების მომსახურების გენერალურ დირექტორატთან (GDIP) ერთად ყოველწლიურად გამოსცემს სახელმძღვანელო „დიპლომატიურ კორპუსს“, რომელშიც ანბანური თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ თავიანთი დიპლომატიური მისიები კიევში, დიპლომატიური პერსონალის წევრთა და მათი ოჯახის წევრთა სახელები და ბინის ტელეფონის ნომრები. სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია უცხოელ დიპლომატთა დანიშვნის ბრძანებები და იმ ქვეყნების ეროვნული დღესასწაულები, რომლებთანაც მოცემულ სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობები აქვს. თითოეულ სახელმწიფოში ეს პუბლიკაცია ისეთივე დიდ როლს ასრულებს უცხო მისიების მუშაობაში, როგორსაც მასპინძელი ქვეყნის საჯარო ინსტიტუტები.

დიპლომატიური კორპუსი არ არის ინსტიტუტი, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, იგი არ არის პოლიტიკური გაერთიანება ან სამართლებრივი სტატუსის მქონე ორგანიზაცია, მას არ აქვს უფლება ჩაერიოს მასპინძელი ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში. დიპლომატიური სამართლის სპეციალისტები გვაწვდიან „დიპლომატიური კორპუსის“ შემდეგ განმარტებებს: 1. „დიპლომატიური კორპუსი არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური სუბიექტია. ეს ასოციაცია სრულად დამოუკიდებელია ყველა სხვა სუბიექტისაგან“; 2. „დიპლომატიური კორპუსი არ შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც ასოციაცია, რომელსაც აქვს სამართლებრივი უფლებები“; 3. „დიპლომატიური კორპუსი არც სამართლებრივი სუბიექტია და პოლიტიკური ინსტიტუტი“.

დღეისთვის (განსხვავებით წარსულში განხორციელებული მცდელობებისა) არავინ ითხოვს ღიად მასპინძელი სახელმწიფოს მთავრობის ისეთ კოლექტიურ ღონისძიებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა. დიპლომატიურ პრაქტიკაში გვხვდება დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური საზეიმო ღონისძიებები (პროტოკოლი) ისეთი მიზეზით, როგორცაა სახელმწიფოს მეთაურისათვის არჩევნებში გამარჯვების მილოცვა. დიპლომატიური კორპუსი თავისი დუაენის მეშვეობით შეიძლება გამოთქვამდეს უარყოფით დამოკიდებულებას მთავრობის, კერძოდ, სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ყურადღების მიმართ, როდესაც ირღვევა კორპუსის პრივილეგიები და

იმუნიტეტები, მაგალითად, მას-მედიის გზით ვრცელდება არასწორი ინფორმაცია ადგილსამყოფელ სახელმწიფოში აკრედიტებული დიპლომატის შესახებ. მრავალ ქვეყანაში არსებობს დიპლომატიური კორპუსის მაღალჩინოსანთა შეკრებები (მაგალითად, ეროვნული დღესასწაულის ან ახალი წლის შემთხვევაში), რომლებიც ჩვეულებრივ იმართება სახელმწიფოსა თუ მთავრობის მეთაურის ხელშეწყობით და რომლებზეც დიპლომატიური კორპუსის წევრებს ეძლევათ საშუალება გაესაუბრონ მათ. ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს დიპლომატიური კორპუსის არაფორმალური ასოციაცია. ეს ე. წ. დიპლომატიური ასოციაციები სწრაფად ეხმარება სახელმწიფოს გადაჭრას პროტოკოლის სპეციფიკური პრობლემები, ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას სახელმწიფოებში არსებული სოციო-ეკონომიკური და სოციო-პოლიტიკური კურსის მრავალი ასპექტის შესახებ, დაეხმაროს სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და სხვა ოფიციალურ წრეებს ერთმანეთთან კონტაქტის დამყარებაში.

მთლიანობაში დიპლომატიური კორპუსის ფუნქციები შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

ა) დიპლომატიური კორპუსი ესწრება ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას: სახელმწიფოს მეთაურის ინაუგურაციის ცერემონია, საზეიმო კრებები, ალლუმები, პარლამენტის სესიის გახსნა, ეროვნული დღესასწაულები და ა. შ.

ბ) დიპლომატიური კორპუსი ულოცავს სახელმწიფოს მეთაურს თანამდებობის დაკავებას, ხალ წელს, დაბადების დღეს, ეროვნულ დღესასწაულებს და ა. შ.

გ) დიპლომატიური კორპუსი უსამძიმრებს სახელმწიფოს მთავრობის ან საგარეო საქმეთა უწყების მეთაურს, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის სიკვდილის ან რაიმე სტიქიური უბედურების გამო.

დ) დიპლომატიური კორპუსი აწყობს წარმომადგენლობათა მეთაურების კრებას, რომელზეც განიხილება დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური ღონისძიების საკითხი; ამ კრებაზე ისმენენ დუაენის ინფორმაციას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონტაქტის შესახებ დიპლომატიური კორპუსისათვის საინტერესო საკითხების ირგვლივ.

დიპლომატიურ კორპუსს არ აქვს უფლება ჩაერიოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საშინაო საქმეში და შეეცადოს ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ მთავრობაზე. საერთოდ, პოლიტიკური სახის გამოსვლები დიპლომატიური კორპუსისათვის დაუშვებელია.

დიპლომატიური კორპუსის სათავეში დგას დუაენი, რომელიც არათუ აირჩევა, არამედ ინიშნება. მის დანიშვნაზე არავითარ გავლენას არ ახდენს ის გარემოება, თუ როგორი სახელმწიფოს, დიდის თუ პატარის, წარმომადგენელია იგი.

ლათინო-ამერიკულ ქვეყნებსა და პოლონეთში დიპლომატიური კორპუსის დუაენის როლი განისაზღვრება „მისი უწმინდესობის სამოციქულო ნუნციით“ როგორც *ex officio* დუაენისა, 1815 წლის ვენის კონგრესზე მიღებული ჩვეულების შესაბამისად, რომელიც განსაკუთრებით ტრადიციულ კათოლიკურ ქვეყნებში მოქმედებს. თუმცა, სხვა ქვეყნებში დუაენი არის ერთ-ერთი ქვეყნის აკრედიტებული მისიის მეთაური, რომელიც იკავებს პირველ რანგს მისიების მეთაურთა შორის.

ზოგადად, დუაენს თავისი მოვალეობები შესრულებაში ეხმარება ვიცე-დუაენი, რომელიც ასევე იკავებს დუაენის ადგილს მისი არყოფნის დროს. დუაენი რჩევებს იღებს სამი ან ოთხი ელჩისაგან (უპირატესობა ენიჭება სხვადასხვა გეოგრაფიული არეალიდან წარგზავნილ ელჩებს) არაერთი მოქმედების შესახებ.

დუაენს არავითარი უფლება არ აქვს დიპლომატიური კორპუსის წევრების მიმართ. კერძოდ, მის მითითებებს არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი.

დუაენი ასრულებს პროტოკოლსა და საორგანიზაციო ფუნქციებს. საერთო პოზიციაზე შესათანხმებლად დუაენი იწვევს საკონსულტაციო შეხვედრას დიპლომატიური მისიების მეთაურებთან. ამგვარი შეხვედრები არაფორმალურია და საქმიანი ვახშმის ფორმას ატარებს.

დუაენი ასევე ეხმარება მისიის ახლად ჩამოსულ მეთაურს მისი ფუნქციების, ადგილობრივი კანონების, ჩვეულებებისა და ტრადიციების დიპლომატიური კორპუსის ცხოვრების წესებისა და ა. შ. გაცნობაში. მისივე ორგანიზებით იმართება გამოსამშვიდობებელი სადამოები მისიის მეთაურთა გამგზავრების წინ.

დუაენი ესწრება შეხვედრას, რომელსაც იწვევს მასპინძელი ქვეყნის მთავრობა, რათა გამოხატოს შეხედულება პრობლემების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს დიპლომატიურ პრივილეგიებზე ან წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სერიოზულ დარღვევას. დუაენი იცავს დიპლომატიური კორპუსის წევრთა უფლებებს, თუ ისინი დარღვეულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ორგანოების მიერ. იგი ასევე იხილავს და წყვეტს ყოველგვარ ცერემონიალური და ყოფითი ხასიათის დავეებს, რომლებიც დიპლომატიური კორპუსის წევრებს შორის წამოიჭრება.

დუაენი წარმოადგენს შუამავალ რგოლს დიპლომატიურ კორპუსსა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის; აწარმოებს და ინახავს ყველა დოკუმენტს, რომელიც დიპლომატიურ კორპუსს, როგორც მთლიან ერთეულს, ეხება.

## §5. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოები

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი „განსაზღვრავს ... საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას“. შესაბამისად, პარლამენტი საგარეო ურთიერთობათა დარგში კანონშემოქმედებით საქმიანობას ათავსებს ყოველდღიურ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასთან. პარლამენტის წევრები აქტიურად მონაწილეობენ უცხოეთის ქვეყნებში გაგზავნილი დელეგაციების მუშაობაში, ჩამოსული უცხოეთის ქვეყნების დელეგაციებთან მოლაპარაკებაში. საქართველოს პარლამენტი იხილავს საკითხებს, რომლებიც ეხება სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციასა და დენონსაციას.

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; მთავრობასთან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას (საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, „პრემიერ-მინისტრი და მინისტრები საგარეო ურთიერთობებში წარადგენენ საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში“. მთავრობა უფლებამოსილია, თავისი სახელით დადოს მთავრობებთან ხელშეკრულებანი, რომლებიც დიდმნიშვნელოვან შემთხვევებში რატიფიცირებული უნდა იქნეს სათანადო უმაღლესი ორგანოების მიერ. პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს მიიღოს და მიიწვიოს უცხოელი დელეგატები სპეციალური უფლებამოსილების გარეშე აწარმოოს მოლაპარაკება, ჩვეულებრივ საგარეო საქმეთა მინისტრის და ზოგჯერ ქვეყნის სპეციალურად მოწვეული პოლიტიკური მოღვაწეების მონაწილეობით.

აქტიურად არის ჩართული საქართულოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც „ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას“. სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია: ა) საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული და საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმართული საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკურიკურსის კონკრეტულ მიმართულებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და

საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად; ბ) საქართველოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საგარეო ხელშეწყობი პირობების ფორმირება; გ) ერთიანი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის განხორციელების მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფა; დ) მიზანმიმართული საქმიანობა ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოს თანამიმდევრული და სრული ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით; ე) საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება; ვ) საპარლამენტაშორისო, საუწყებთაშორისო და რეგიონთაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობა; ზ) საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისა და პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება; თ) საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უცხოური საინვესტიციო კაპიტალის, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების მოსაზიდად სათანადო ღონისძიებათა განხორციელება; ი) საზღვარგარეთ საქართველოს დადებითი იმიჯის შესაქმნელად ქართული კულტურის, სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენა და საქართველოს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა; კ) საქართველოს სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ წინადადებათა ანალიზი, მათი განხორციელების მიზანშეწონილობის განსაზღვრა და კოორდინაცია; ლ) შესაბამისი უწყებების წინადადებათა გათვალისწინებით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმების მიზანშეწონილობის განსაზღვრა, მათი მომზადების კოორდინაცია და ხელმოწერილი დოკუმენტების დეპოზიტარის ფუნქციის შესრულება; მ) საზღვარგარეთ საქართველოს ინტერესებისა და საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა; ნ) საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან საქართველოს დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობათა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა წარმართვა.

სამინისტროს ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე, რომელთაც მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემა შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფებისა (დიპლომატიური წარმომადგენლობა, საკონსულო დაწესებულება)

და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია: 1. საგანგებო დავალებათა ელჩები; 2. პოლიტიკური დეპარტამენტი; 3. უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი; 4. ევროინტეგრაციის დეპარტამენტი; 5. ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი; 5. ამერიკის დეპარტამენტი; 6. საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი; 7. საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი; 8. საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი; 9. პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი; 10. დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი; 11. საკონსულო დეპარტამენტი; 12. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; 13. ადმინისტრაციული დეპარტამენტი; 14. შიდა აუდიტის სამსახური; 15. დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების დეპარტამენტი; 16. აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი; 17. იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი; 18. მინისტრის სამდივნო; 19. საიდუმლო საქმისწარმოების სამმართველო.

საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფები არიან: ა) დიპლომატიური წარმომადგენლობები; ბ) საკონსულო დაწესებულებები.

დიპლომატიური წარმომადგენლობა არის საზღვარგარეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისას წარმოადგენს საქართველოს. დიპლომატიური წარმომადგენლობებია: ა) სხვა სახელმწიფოში განლაგებული საქართველოს საელჩო; ბ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა; გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობა. დიპლომატიური წარმომადგენლობების ძირითადი ფუნქციებია: ა) საქართველოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს/საერთაშორისო ორგანიზაციას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო, კულტურულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა; ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა და საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, იმიჯის პოპულარიზაცია; გ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში/საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს ინტერესების დაცვა; დ) საქართველოს ოფიციალური დელეგაციების ვიზიტების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, კერძოდ, დახვედრისა და გაცილების ცერემონიების გამართვა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობისათვის ხელის შეწყობა; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

საკონსულო დაწესებულება არის საზღვარგარეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობისას და იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური

ურთიერთობისას, სადაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის დაარსებული, წარმოადგენს საქართველოს. საკონსულო დაწესებულებებია: ა) საქართველოს გენერალური საკონსულო; ბ) საქართველოს საკონსულო; გ) საქართველოს ვიცე-საკონსულო; დ) საქართველოს საკონსულო სააგენტო.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს მმართველობის სფეროში იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირები. სამინისტროს მმართველობის სფეროში შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო. სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია: ა) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო; ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი. კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სახეები და სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

## §6. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა და ამოცანები

საქართველოს დიპლომატიური სამსახურის ორგანიზების სამართლებრივ საფუძვლებს, დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“.

დიპლომატიური სამსახური არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი ქვედანაყოფები ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. დიპლომატიური სამსახური მონაწილეობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაში, უზრუნველყოფს მის განხორციელებას და საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონისა და საქართველოს სხვანორმატიული აქტების შესაბამისად კოორდინაციას უწევს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებს.

დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- ა) დიპლომატიური საშუალებებით საქართველოს სუვერენიტეტის, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა; ბ) საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება;
- გ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა; დ) საქართველოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტატუსის განმტკიცება;
- ე) საქართველოსა და სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და სხვა სახის კავშირების განმტკიცება; ვ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციას; ზ) სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს საკონსულო პოლიტიკის გატარება; თ) საზღვარგარეთ განლაგებული საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა; ი) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; კ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის ხელის შეწყობა; ლ) საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა; მ) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისგანუხრელი დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

დიპლომატიური სამსახურის პრინციპებია: ა) ეროვნული ინტერესების თანმიმდევრულად განხორციელება; ბ) საგარეო პოლიტიკის ქმედებებისა და ინიციატივების მდგრადობა და პროგნოზირებადობა; გ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა; დ) საქართველოს

კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ზუსტი და თანმიმდევრული დაცვა; ე) საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად დიპლომატიურ სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; ვ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; ზ) დიპლომატიური სამსახურის ერთიანობა; თ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

დიპლომატიურ სამსახურს ხელმძღვანელობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებია: ა) საქართველოს საელჩო; ბ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა; გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობა.

დიპლომატიური წარმომადგენლობების ძირითადი ფუნქციებია: ა) საქართველოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს/საერთაშორისო ორგანიზაციას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო, კულტურულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა; ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა და საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, იმიჯის პოპულარიზაცია; გ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში/საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს ინტერესების დაცვა; დ) საქართველოს ოფიციალური დელეგაციების ვიზიტების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, კერძოდ, დახვედრისა და გაცილების ცერემონიების გამართვა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობისათვის ხელის შეწყობა; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები. ოფიციალური შეხვედრებისას (ვიზიტებისას) დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის წესსა და ტიპობრივ დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

საქართველოს საკონსულო დაწესებულებების სახეები და სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

დიპლომატიური თანამდებობის პირი ირიცხება საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. დიპლომატიური თანამდებობის პირის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონითა და საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

დიპლომატიურ სამსახურში თანამდებობების შემდეგი კატეგორიებია: ა) დიპლომატიური თანამდებობა; ბ) ადმინისტრაციულ-ტექნიკური თანამდებობა; გ) მომსახურე პერსონალის თანამდებობა.

დიპლომატიური თანამდებობებია: ა) უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობა; ბ) უფროსი დიპლომატიური თანამდებობა; გ) უმცროსი დიპლომატიური თანამდებობა.

უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილე; ბ) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი; გ) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი; ე) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი; ვ) გენერალური კონსული; ზ) საგანგებო დავალებათა ელჩი.

უფროსი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე; ე) მინისტრის სამდივნოს უფროსი; ვ) სამინისტროს დეპარტამენტში შემავალი სამმართველოს უფროსი; ზ) უფროსი მრჩეველი; თ) კონსული; ი) მრჩეველი; კ) თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი; ლ) პოლიციის/უსაფრთხოების ატაშე და მეკავშირე ოფიცერი; მ) კომერციული ატაშე.

უმცროსი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) ვიცე-კონსული; ბ) პირველი მდივანი; გ) საკონსულო აგენტი; დ) მეორე მდივანი; ე) მესამე მდივანი; ვ) ატაშე; ზ) თავდაცვის ატაშეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებობის პირები; თ) პოლიციის/უსაფრთხოების ატაშესა და მეკავშირე ოფიცრის აპარატების მოსამსახურეები.

დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან პირი წყვეტს ნებისმიერ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობის პერიოდში დიპლომატიური თანამდებობის პირი პოლიტიკურად ნეიტრალურია და არა აქვს უფლება, ეწეოდეს საქმიანობას/პროპაგანდას ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, გაერთიანების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

დიპლომატიური თანამდებობის პირი ვალდებულია: ა) დაიცვას საქართველოს სახელმწიფო ინტერესები; ბ) პატივი სცეს და დაიცვას საქართველოსა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობა და ჩვეულებანი; გ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი.

სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობებზე ინიშნებიან საქართველოს მოქალაქეები. სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება გადაყვანის წესით, კონკურსის წესით ან უკონკურსოდ.

დიპლომატიური თანამდებობის პირებს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაკავებული თანამდებობის, ნამსახურები წლების, პროფესიული მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად ენიჭებათ დიპლომატიური რანგები, უმაღლესი დიპლომატიური რანგების გარდა. დიპლომატიური რანგების მინიჭების წესს განსაზღვრავს მინისტრი.

დიპლომატიური რანგისათვის დაწესებულია შესაბამისი დანამატი, რომლისოდენობას მინისტრის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. დიპლომატიური რანგი ასევე მიენიჭებათ დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში მყოფ პირებს სამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

უმაღლესი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, მინისტრის წარდგინებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც უკავიათ ან ეკავათ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობა.

დიპლომატიურ სამსახურში დაწესებულია დიპლომატიური რანგების შემდეგი კატეგორიები: ა) უმაღლესი დიპლომატიური რანგები: ა.ა) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; ა.ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; ბ) უფროსი დიპლომატიური რანგები: ბ.ა) უფროსი მრჩეველი; ბ.ბ) მრჩეველი; ბ.გ) უმცროსი მრჩეველი; გ) უმცროსი დიპლომატიური რანგები: გ.ა) პირველი მდივანი; გ.ბ) მეორე მდივანი; გ.გ) მესამე მდივანი; გ.დ) ატაშე.

ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო მოხელეთათვის დაწესებული საკლასო ჩინები.

დიპლომატიური თანამდებობის პირს და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს სამსახურიდან ათავისუფლებს მინისტრი. პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები განისაზღვრება „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონით.

## §7. დიპლომატიური თანამდებობებისა და დიპლომატიური რანგების შესაბამისობა

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს; უფროსი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ უფროსი დიპლომატიური თანამდებობის პირებს. უფროსი დიპლომატიური თანამდებობაზე პირველად დანიშნულ პირს ვადაზე ადრე ენიჭება „უმცროსი მრჩევლის“ დიპლომატიური რანგი; უმცროსი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირებს.

უმაღლესი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც უკავიათ ან ეკავათ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობა.

უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილე; ბ) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი; გ) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი; ე) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი; ვ) გენერალური კონსული; ზ) საგანგებო დავალებათა ელჩი. შესაბამისად, ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით ენიჭებათ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის და საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგები.

უფროსი და უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირებს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაკავებული თანამდებობის, ნამსახურები წლების, პროფესიული მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად ენიჭებათ უფროსი და უმცროსი დიპლომატიური რანგები.

უფროსი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე; ე) მინისტრის სამდივნოს უფროსი; ვ) სამინისტროს დეპარტამენტში შემავალი სამმართველოს უფროსი; ზ) უფროსი მრჩეველი; თ) კონსული; ი) მრჩეველი; კ) თავდაცვის ატაშე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

წარმომადგენელი; ლ) პოლიციის/უსაფრთხოების ატაშე და მეკავშირე ოფიცერი; მ) კომერციული ატაშე. შესაბამისად, ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაკავებული თანამდებობის, ნამსახურები წლების, პროფესიული მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად ენიჭებათ უფროსი მრჩევლის, მრჩევლისა და უმცროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგები.

უმცროსი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) ვიცე-კონსული; ბ) პირველი მდივანი; გ) საკონსულო აგენტი; დ) მეორე მდივანი; ე) მესამე მდივანი; ვ) ატაშე; ზ) თავდაცვის ატაშეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებობის პირები; თ) პოლიციის/უსაფრთხოების ატაშესა და მეკავშირე ოფიცრის აპარატების მოსამსახურეები. შესაბამისად, ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაკავებული თანამდებობის, ნამსახურები წლების, პროფესიული მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად ენიჭებათ პირველი მდივნის, მეორე მდივნის, მესამე მდივნისა და ატაშეს დიპლომატიური რანგები.

## §8. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება (მუხ. 2)

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფუძნება ხდება ურთიერთშეთანხმებით“.

კონვენცია არც ტერმინ „დიპლომატიურ ურთიერთობებს“ განმარტავს და არც ტერმინ „სახელმწიფოებს“, რომლებსაც უფლება აქვთ დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობები. ურთიერთობები სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ანდა თავად საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არ განეკუთვნება 1961 წლის ვენის კონვენციის სფეროს. იმის დასადგენად, აქვს თუ არა სუბიექტს „დიპლომატიური მისიის უფლება“ კონვენციის მიზნების შესასრულებლად, საჭიროა განისაზღვროს არის თუ არა ეს სუბიექტი სახელმწიფო. გროციუსმა დაადგინა, რომ „ius legationis“ („დიპლომატიური მისიის უფლება“) სუვერენიტეტის განუყოფელი ნაწილია. დიპლომატიური სამართლის გვიანდელი შემსწავლელი ჯენეტი და უფრო შემდგომი პერიოდის მკვლევარი სელმონი დეტალურად განიხილავდნენ სუბიექტებს, რომლებსაც ის გააჩნდათ და მიუთითებდნენ წმინდა საყდრის მსგავს იშვიათ და სადავო შემთხვევებზე, გადამდგარ მთავრობებზე, ბრიტანული თანამეგობრობის წევრებზე და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებზე.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება უკავშირდება სახელმწიფოს სუვერენიტეტის აღიარებას. შესაძლო გამოწვევისაა წმინდა საყდრის შემთხვევა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. 1924 წელს საბერძნეთის სასამართლომ დაადგინა, რომ ორი მოპასუხე მკვლელობის მცდელობის საქმეზე არ ექვემდებარებოდა ადგილობრივ იურისდიქციას, რადგან ისინი, როგორც სომხეთის დიპლომატიური აგენტები, სარგებლობდნენ დიპლომატიური იმუნიტეტით. თუმცა, სევრის ხელშეკრულების 88-ე-93-ე მუხლები, რომლებიც სომხეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს ადგენდა, არ ყოფილა რატიფიცირებული და, ბრალდების შესაბამისად, არ შეიძლებოდა გამოყენებულ ყოფილიყო სომხეთის მხარეთა დიპლომატიური სტატუსი. 1991 წლის თებერვალში გაერთიანებული სამეფოს მინისტრმა პარლამენტის კითხვას გასცა პასუხი ბალტიის ქვეყნების წარმომადგენელთათვის დიპლომატიური აკრედიტაციის მინიჭებასთან დაკავშირებით: „ბალტიის ქვეყნები არ ასრულებენ პირობებს, რომლებიც საჭიროა სუვერენიტეტის აღიარებისათვის. საკითხი მათი წარმომადგენლების დიპლომატიური აკრედიტაციის შესახებ დღის წესრიგში არ დგას. თუმცა, პირად საფუძვლებზე დაყრდნობით, ჩვენი დიპლომატიური თავაზიანობა კვლავ ვრცელდება ომამდელი ბალტიის ქვეყნების დიპლომატიური მისიების ერთადერთ გადარჩენილ წევრზე“.

იმავე თვეში მოსკოვმა უკან გაიწვია ელჩი ისლანდიიდან ამ უკანასკნელის ბოლო გადაწყვეტილებაზე პროტესტის ნიშნად. ისლანდიის გადაწყვეტილება ეხებოდა ლიტვის აღიარებასა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, მაშინ, როდესაც ლიტვის დამოუკიდებლობის ცალმხრივი დეკლარაცია არ იყო აღიარებული საბჭოთა კონსტიტუციური პროცედურებით. თუმცა, 1991 წლის სექტემბერში ევროპული გაერთიანების სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრებს „ბალტიის ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აღსანიშნავად“. ბალტიის ქვეყნების ხსენებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სსრკ-ის სახელმწიფო საბჭოს მიერ. მხარეთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა იყო მათ შორის „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების დასტური“. 1992 წლის თებერვლისთვის ათმა პოსტ-საბჭოურმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა გაერთიანებულ სამეფოსთან. მხოლოდ საქართველო არ იყო აღიარებული სახელმწიფოდ მასში სტაბილურობის არარსებობის გამო, ხოლო რუსეთი მიიჩნეოდა „ყოფილი საბჭოთა კავშირის გამგრძელებლად“. აშშ-მა - მიუხედავად იმისა, რომ არასდროს უღიარებია 1940 წლის ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ანექსია საბჭოთა კავშირის მიერ - ხაზგასმით აღინიშნა პოლიტიკური მნიშვნელობა 1991 წლის სექტემბერში ლიტვასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა მემორანდუმის დასკვნით, რომელშიც ასახულიყო მხარეთა სამომავლო ურთიერთობები. 1992 წლის თებერვლისთვის თეთრი სახლის პრეს-ცენტრის განცხადებაში აღინიშნა, რომ აშშ-ს „ახლა უკვე თორმეტი პოსტ-საბჭოური სახელმწიფოდან თერთმეტთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა“ - ის ერთი გამონაკლისი კი კვლავ საქართველო იყო.

იმავე საფუძვლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს გაუჩინარება გულისხმობს მისი დიპლომატიური ურთიერთობების დასასრულს. მაგალითად, 1989 წელს გერმანიის გაერთიანებამ მოიწვია აღმოსავლეთ გერმანიის საზღვარგარეთ არსებული საელჩოებიდან დროშების ჩამოხსნა. 1976 წელს ჩრდილოეთი და სამხრეთი ვიეტნამის ფორმალურმა გაერთიანებამ გამოიწვია საიგონში საფრანგეთის საელჩოს გარდაქმნა გენერალურ საკონსულოდ ჰანოიში საფრანგეთის ელჩის მეთვალყურეობით. კუვეიტის მიერ ერაყის ანექსიის მიუხედავად 1990 წელს სხვა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ერაყის მოთხოვნის შესრულებაზე, რომელიც მოუწოდებდათ, შეეწყვიტათ მათი დიპლომატიური მისიების კუვეიტთან, როგორც ცალკე სუვერენულ სახელმწიფოსთან, დიპლომატიური ურთიერთობების დასასრულისა და ერაყის ანექსიის აღიარების ნიშნად.

საერთაშორისო სამართლის კომისიის სხდომასა და ვენის კონფერენციაზე წარმოიშვა კამათი იმის შესახებ, უნდა ყოფილიყო თუ არა დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-2 მუხლში მითითება დიპლომატიური მისიის უფლების საკითხზე. საერთაშორისო სამართლის კომისიისადმი სპეციალური მომხსენებლის მიერ შემოთავაზებულ მუხლის პროექტში ეწერა შემდეგი: „თუ ორი სახელმწიფო ფლობს უფლებას, დაამყარონ ერთმანეთთან მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობა, მათ ასევე შეუძლიათ

დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა სხვა სახელმწიფოსთანაც“. კომისიის წევრებმა ორჯერ გამოხატეს პროტესტი მუხლის პროექტში დიპლომატიური მისიის უფლების შესახებ მითითების არსებობის წინააღმდეგ. პირველი კონტრარგუმენტი იყო მითითების უფუნქციობა დიპლომატიური მისიის უფლების განმარტებამდე. ეს უკანასკნელი კი საჭიროებდა დიპლომატიური სამართლის მიღმა არსებული სფეროების ჩართვას, რათა განსაზღვრულიყო სუვერენული სახელმწიფოსა და ფედერალური ქვეყნების კონსტიტუციებისა მნიშვნელობა, ასევე დადგენილიყო დიპლომატიური მისიის უფლების შესახებ მითითების არსებობის რელევანტურობა. მეორე კონტრარგუმენტს კი წარმოადგენდა „დიპლომატიური მისიის უფლების“ უშინაარსობა და არასავალდებულობა, რადგან ამით არავითარი ვალდებულება არ წარმოეშობოდა ადგილსამყოფელ სახელმწიფოს. მეცნიერთა ნაწილი თვლიდა, რომ დიპლომატიური მისიის უფლება მოიცავდა წარმომადგენლობის ყოლის უფლებას და რომ არსებობდა სახელმწიფოს ვალდებულება, მოესმინა მათთვის. მაგალითად, ვატელი ამბობს, რომ *ad hoc* ემისრებს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისას მხოლოდ მაშინ შეიძლება არ უსმინონ, როდესაც საამისოდ საკმარისი მიზეზები იქნება მოყვანილი, მიუხედავად იმასა, ემისრებს არ სჭირდებათ აღიარება და მათი შეხედულების მოსმენა საზღვარზეც შესაძლებელია. თუმცა, თანამედროვე ავტორთა შეხედულებები მეტად საეჭვოდ გამოიყურება, რადგან თანამედროვე ურთიერთობების კონსტექსტში ემისრისგან რჩევის მოსმენა საზღვარზე გარკვეულწილად არარეალურია. ოპენჰეიმი თავისი კვლევის მეცხრე გამოცემაში წერს: „საკამათოა წარმდგენი და ადგილსამყოფელი სახელმწიფოები დასთანხმდებიან მკაცრად განსაზღვრულ სამართლებრივი ხასიათის უფლების არსებობას, თუ დატოვებენ მას კომპეტენციის საკითხად“. სელმონი ამბობს: „თუ სახელმწიფოებს აქვთ უფლება შეინარჩუნონ დიპლომატიური ურთიერთობები, როგორც მათი ქმედუნარიანობის ნაწილი, აღნიშნული მოითხოვს თანხმობას პარტნიორებისაგან“. მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური დიპლომატიური მისიების შესახებ ნიუ-იორკის კონვენციის მე-2 მუხლის განსაზღვრავს: „სახელმწიფომ შეიძლება წარგზავნოს სპეციალური დიპლომატიური მისია სხვა სახელმწიფოში მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით, რომელიც წინასწარაა მიღებული დიპლომატიური ან სხვა ორმხრივი ურთიერთობის გზით“.

მანამ, სანამ არსებობდა ექვი იმის თაობაზე, გამოდგებოდა თუ არა დიპლომატიური მისიის შესახებ მითითება სასარგებლო მიზნით, მომზადდა ტექსტი, საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრების შეთანხმებისა და ვენის კონფერენციის მიერ შეტანილი ცვლილებების გამოკლებით. განახლებული მცდელობა მომდინარეობდა 1958 წლის კომისიის შეკრების ჩეხოსლოვაკი წევრისა და ვენის კონფერენციის ჩეხოსლოვაკიის დელეგაციისაგან და მიმართული იყო დიპლომატიური მისიის უფლების შესახებ დათქმის შემოღებისაკენ. თუმცა, საბოლოო შეხედულებით, აღნიშნული საკითხი წარმოშობდა პოლიტიკურ პრობლემებს და პრეამბულა იქნებოდა შესაბამისი კონტექსტი ამაზე საკამათოდ.

ამიტომ მე-2 მუხლი თავისი საბოლოო ფორმით შემოიფარგლებოდა ხელახალი ფორმულირებით პრინციპისა, რომელიც მტკიცედ დაეფუძნებოდა საერთაშორისო

ჩვეულებით სამართალს და მთლიანად იქნებოდა უდავო. ეს მოსაზრება გაჟღერდა საერთაშორისო სამართლის კომისიის სხდომაზე და იმდენად აშკარად წარმოაჩენდა წესს, რომ არ არსებობდა მისი ხელახალი ფორმულირების საჭიროება, მაგრამ პასუხად ითქვა, რომ კოდიფიკაციის პროცესი მოიცავდა ყველასთვის ნათელი ნორმების ხელახალ ფორმულირებასაც და რომ სასურველია მუხლები იწყებოდეს ამგვარი ძირითადი და ზოგადი წინადადებით.

შეიძლება ითქვას, რომ მცირეა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე უარის თქმის საჯარო მაგალითები, რადგან მოლაპარაკება ხშირ შემთხვევაში კონფიდენციალურად რჩება. თუმცა, 1990 წელს გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ პარლამენტს განუცხადა: „ადრეულ 90-იანებში გარე სამყაროს მიმართ, რომელიც ჩვენ განვაახლეთ 20 აპრილს 1980 წლის ჩვენი ჩემოთავაზებით, დაგვემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ალბანეთის დამოკიდებულებაში აშკარა დათბობა შეინიშნება“. მრავალი წელი გავიდა ლონდონსა და ტირანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენამდე. 1973 წელს აშშ-მა ასევე საჯაროდ განაცხადა, რომ სურდა ალბანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელება, ხოლო შეთავაზება უარყოფილ იქნა საჯაროდ ალბანეთის მთავრობის მიერ. 1980 წელს აშშ-მა ვანუატუს აღიარების საფუძველზე გამოხატა იმედი, რომ ორ სახელმწიფოს შორის დამყარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები. სასურველი პასუხი მიღებულ იქნა მხოლოდ 1986 წელს ვანუატუს მიერ თავისი დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოების კონტექსტში.

იტალიასთან დადებული 1929 წლის ლატერანის ხელშეკრულების შემდეგ წმინდა საყდარი შეიძლება განვიხილოთ როგორც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლით აღიარებული კრიტერიუმების მქონე სუბიექტი, ხოლო საერთაშორისო საზოგადოების მიერ მისი აღიარების შემდეგ - როგორც სპეციალური შემთხვევა სუბიექტისა, რომელსაც საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათი და დიპლომატიური მისიის აქტიური და პასიური უფლება აქვს. კარდინალი განმარტავს, რომ „პაპს ორი სუვერენიტეტი აქვს - ერთი, სულიერი, რომელიც ეკლესიის ფარგლებში ვრცელდება, და მეორე, ტერიტორიული, რომელიც პაპისტურ სახელმწიფოებზე ვრცელდება. ეს უკანასკნელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულნი არიან როგორც მკაფიო სუბიექტები. ამ ორიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი სუვერენიტეტია, რომელიც წმინდა საყდრის მართვაში ვლინდება. ეჭვგარეშეა, რომ ეს უკანასკნელი არ იმყოფება იმ გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ტერიტორიული სუვერენიტეტის ანგარიშზე, რომელიც პაპს გადაეცა იმპერიისა და ერების მმართველთა ლიდერობისათვის“. პოზიცია ნათლად იქნა წარმოჩენილი იმ სახელმწიფოების მხრიდან, რომლებთანაც წმინდა საყდარს დიპლომატიური მისიის უფლება ჰქონდა მას შემდეგ, რაც იტალიის მიერ დაპყრობილ პაპისტურ სახელმწიფოებში პაპს ჩამოერთვა ტერიტორიებზე სუვერენულობის უფლება.

ყოველივე ეს ხდებოდა იმ სულიერი სუვერენიტეტის აღიარების გამო, რომელიც წმინდა საყდარსა და გარკვეულ არაკათოლიკურ სახელმწიფოებს შორის

არსებულ ურთიერთობას უზვეულო ფორმას ანიჭებს. მაგალითად, წმინდა საყდარში არ არის არცერთი აკრედიტებული მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი შვეიცარიიდან ფედერალური სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის მაკომპრომეტირებელი პოლიტიკური საქმიანობის მიზნით. ბრიტანეთს თავისი კონსტიტუციური ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც თარიღდება 1559 წლის უზენაესობის შესახებ აქტითა და 1689 წლის უფლებათა საყოველთაო ბილით, 1923 წლამდე არ ჰყოლია წმინდა საყდართან დიპლომატიური წარმომადგენლობა. 1923 წელს ცალმხრივ საფუძვლებზე დაყრდნობით წმინდა საყდარში ბრიტანეთიდან გაიგზავნა დიპლომატიური მისია მინისტრის მეთაურობით. 1938 წელს სამოციქულო დელეგატი აკრედიტებულ იქნა ბრიტანეთის კათოლიკურ იერარქიაში, თუმცა მას არ ენიჭებოდა დიპლომატის სტატუსი. სამოციქულო დელეგატს დიპლომატის სტატუსი 1979 წელს მიენიჭა, თუმცა იგი მაინც არ ითვლებოდა დიპლომატიური მისიის მეთაურად. მხოლოდ 1982 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები ჩვეულებრივი ფორმით. აშშ-ში კონსტიტუციური დაბრკოლება ჩვეულებრივი დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ იქცა კონსტიტუციის პირველი ცვლილების მიზეზად, რამაც გავლენა მოახდინა ურთიერთობაზე ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. 1848 და 1867 წლებს შორის აშშ-ის მთავრობამ გაგზავნა დიპლომატიური მისია წმინდა საყდარში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ თავის თავს წმინდა საყდართან დიპლომატიური ურთიერთობის ჭრილში განიხილავდა, არავითარი საპასუხო რეაქცია წმინდა საყდარისგან არ ყოფილა. ბოლო წლებში ზედიზედ ნიშნავდნენ პრეზიდენტები პირად და სპეციალურ წარმომადგენლებს ოფიციალური დიპლომატიური წოდებებისა და სტატუსების გარეშე. თუმცა, 1984 წელს დიპლომატიური ურთიერთობები ნორმალურ რეჟიმში ჩადგა და აშშ-ის პრეზიდენტმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება წმინდა საყდარში საკუთარი პერსონალური წარმომადგენლის ელჩად დანიშვნის შესახებ.

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-2 მუხლმა მოლაპარაკების მონაწილეთა თავშეკავების გამო რამდენიმე ფუნდამენტალური პრობლემა დატოვა კონვენციის დასკვნითა და ჩვეულებითი სამართლით მოწესრიგებულ საკითხთა შორის. პირველი მათგანი არის სახელმწიფოდ აღიარებისა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოდ აღიარება არის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წინაპირობა. მაშასადამე, იკვეთება ორი სამართლებრივად გამოკვეთილი ნაბიჯი. 1994 წლის 1 სექტემბერს ყირგიზეთმა შეადგინა იმ 128 სახელმწიფოსაგან შემდგარი სია, რომლებმაც ის სახელმწიფოდ აღიარეს და იმ 82 სახელმწიფოსაგან შემდგარი სია, რომლებთანაც ამავდროულად აკავშირებდა დიპლომატიური ურთიერთობები. იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანა ორივე სიაში იყო, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თარიღი გარკვეულწილად გვიანდელი იყო.

თუმცა, თანამედროვე პრაქტიკა დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად აწესებდა სახელმწიფოდ აღიარებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულებას ან სახელმწიფოდ აღიარების პროცესზე მკაცრად მიდევნებას. სელმონს

მოჰყავს მაგალითები, რომლებშიც ბელგიის მიერ სუბიექტის სახელმწიფოდ აღიარების პირველი ინდიკატორი ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების ერთობლივად აღიარება იყო. აშშ-მა ანგოლის რესპუბლიკის მთავრობა აღიარა 1993 წლის 19 მაისს, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება შესთავაზა 1993 წლის 8 ივნისს. აშშ-მა ანგოლის მთავრობისაგან პასუხი შეთავაზებაზე მიიღო 1993 წლის 17 ივნისს. როდესაც ერიტრეამ გამოაცხადა ეთიოპიისაგან დამოუკიდებლობა 1993 წლის 27 აპრილს, აშშ-მა იმავე დღეს აღიარა ერიტრეა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მეორე დღეს კი გამოთქვა სურვილი მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა. აშშ-სა და ერიტრეას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალურად დამყარების თარიღად 1993 წლის 3 ივნისი ითვლება. უაღრესად გამონაკლის შემთხვევად მიიჩნევა, როდესაც გაერთიანებული სამეფო აღიარებს სუბიექტს სახელმწიფოდ და მასთან არ ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობებს. 1995 წლისთვის მხოლოდ ოთხი ქვეყანა არსებობდა, რომლებიც გაერთიანებულმა სამეფომ სახელმწიფოდ აღიარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნების გარეშე. ოთხიდან ორი სახელმწიფო იყო ბჰუტანი და ჩრდილოეთ კორეა - ქვეყნები, რომლებთანაც გაერთიანებულ სამეფოს არასდროს ჰქონია დიპლომატიური ურთიერთობები. აშშ-ის 1995 წლის პოზიცია ბრიტანეთის პოზიციის ანალოგიური იყო. სახელმწიფოთა სრული სიის მიხედვით, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის გეოგრაფიის სამსახურის მიერ იქნა შედგენილი, მხოლოდ ბჰუტანსა და ჩრდილოეთ კორეას აღიარებდა აშშ სახელმწიფოებად მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების გარეშე. მთლიანობაში ურთიერთობები გაწყვეტილ იქნა სამ ქვეყანასთან.

ერთი ქვეყნის მიერ მეორის ფორმალურად აღიარების იშვიათობა მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების გარეშე მიზეზი გახდა ცნებებს შორის რამდენიმე სამწუხარო გაუგებრობისა. ევროპული საზოგადოების სახელმძღვანელო პრინციპებმა აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ახალი სახელმწიფოების აღიარების შესახებ შექმნა წინაპირობები სახელმწიფოთა ისეთი ტიპის აღიარებისათვის, რომელიც დაკავშირებულია გაერთიანებული ერების ქარტიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პატივისცემასთან, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტიებთან, საზღვრების პატივისცემასთან, შევიწროებაზე უარის თქმასა და დავის მოგვარების მშვიდობიანი გზების გამოყენებასთან. ყველაფერი კარგად წარიმართა იმ კრიტერიუმების მიღმა, რომლებსაც იურისტები ჩვეულებრივად იყენებენ იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა სუბიექტი სახელმწიფოს და რამდენად რელევანტურია მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ევროპული საზოგადოების დადგენილება, რომ „ამ პრინციპების დაცვა ევროპულ საზოგადოებასა და მის წევრებს სუბიექტის სახელმწიფოდ აღიარებისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საშუალებას აძლევს“, გვაფიქრებინებს, რომ ორ ცნებას - სახელმწიფოდ აღიარებასა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას - შორის აშკარა განსხვავება არ არსებობს.

მეორე განსხვავება, გამომდინარეობს ვენის კონვენციის მე-2 მუხლის ტექსტის

დასკვნიდან და საერთაშორისო სამართლის სამართლის კომისიის მსჯელობიდან, რომელიც წინ უძღოდა მის მიღებას, არის განსხვავება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასა და მუდმივი დიპლომატიური მისიის წარგზავნას შორის. დასკვნა ზემოთ მოყვანილი პრაქტიკისა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოდ აღიარების თითქმის ყოველთვის თანმხლები ან შემდგომი პროცესია დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, არის ის, რომ აუცილებელი არაა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას მოჰყვეს მუდმივი დიპლომატიური მისიის წარგზავნა. მე-2 მუხლის ტექსტი უნდა გავიგოთ, როგორც ნებართვა სახელმწიფოებისათვის, დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ არ წარგზავნოს მუდმივი დიპლომატიური მისია. მსგავსი შემთხვევები გვხვდება გასულ საუკუნეებშიც. მაგალითად, სატოუ ამბობს, რომ უარი საელჩოსთვის რეზიდენციის უწყვეტად გადაცემაზე „ძველ პრაქტიკას წარმოადგენს შორეული აღმოსავლეთის ხალხთათვის, რომლებიც ამგვარ ქმედებას ევროპის სახელმწიფოთა მიმართ ახორციელებდნენ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე, ხოლო შემდეგ უკვე გვხვდება 1883 წლის კორეის საქმე“. მაგრამ ხანგრძლივი ტრადიციის გადმოსახედიდან, უარი მუდმივ დიპლომატიურ მისიაზე „მოითხოვს აუხსნელ მიზეზებს გასამართლებლად“. ჯეიმსი ასევე ამბობს, რომ „ჩვეულების პოზიციას ინარჩუნებს სახელმწიფოს მიერ იმ სახელმწიფოს მიმართ უარის თქმა მუდმივ დიპლომატიურ მისიაზე, რომელთანაც იგი დიპლომატიურ ურთიერთობებში იმყოფება“. საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციაში უფრო ნათლადაა წარმოჩენილი განსხვავება საკონსულო ურთიერთობების დამყარებასა და საკონსულო დაწესებულებათა გახსნას შორის, კერძოდ, დიპლომატიური მისიის პერსონალის საკონსულო ფუნქციების შესასრულებლად ავტორიზაციისას, უარი ცალკე საკონსულო დაწესებულების გახსნაზე საკმარისად საერთო და მთლიანად თავსებადი უწყვეტ საკონსულო ურთიერთობებთან.

მართალია ჩვეულებრივი შემთხვევა არ არის მუდმივი დიპლომატიური მისიის წარგზავნაზე უარის თქმა, მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო არც იძებნება. უახლეს პერიოდში საელჩოები ფინანსდება წარმდგენი სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ამავედროულად აკონტროლებენ საელჩოების ხარჯებსა და დიპლომატიური აგენტების საექვო ქმედებებს. არა მხოლოდ ახლად წარგზავნილი, არამედ დიდი ხნის წარგზავნილი მუდმივი დიპლომატიური მისიებიც, რომლებშიც საჭიროება იკვეთება, და თანხის დაზოგვის მრავალი მეთოდი - არაერთგზის აკრედიტაცია, ინტერესების დაცვა მესამე სახელმწიფოს მისიის მიერ, იმედების დამყარება შემთხვევით სპეციალურ მისიასა თუ გაეროსთან კონტაქტებზე - თანდათან უფრო მოდური ხდება. იაფი დიპლომატიის ზოგიერთი ფორმა რეგულირდება დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-5, მე-6, 45-ე და 46-ე მუხლებით.

ყირგიზეთმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1994 წელს დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 82 სახელმწიფოსთან, მაგრამ მხოლოდ 32 მათგანის დიპლომატიური მისია მიიღო და 10 ქვეყანაში წარგზავნა თავისი დიპლომატიური მისიები, რომელთაგან 6 რუსეთსა და მის მეზობელ პოსტ-საბჭოურ სახელმწიფოებში

გადანაწილდა. გაერთიანებულმა სამეფომ 1994 წელს 47 ქვეყანასთან, რომლებთანაც დიპლომატიურ ურთიერთობებში იმყოფებოდა, უარი თქვა მუდმივი დიპლომატიური მისიების წარგზავნაზე. 1968-94 წლებში სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებშიც გაერთიანებულმა სამეფომ დიპლომატიური მისიები წარგზავნა, გაიზარდა 136-დან 183-მდე და მოიცავდა 22 ახალ სახელმწიფოს, რომლებიც წარმოიშვა ცივი ომის დასრულების შემდეგ. თუმცა, 243-დან 215-მდე შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც გაერთიანებულ სამეფოში ჰქონდა დიპლომატიური წარმომადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრმა პარლამენტის წინაშე დაიცვა ბრიტანეთის მიერ განხორციელებული ქმედებები: „ჩვენი დიპლომატიური მომსახურება არის მოსახერხებელი, სანდო და გამოცდილი. იგი მუშაობს სწორად დასახული მიზნებისათვის, რათა ემსახუროს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს გეგმაზომიერი და ხელშესახები გზებით“.

დიპლომატიურ ურთიერთობებსა და მუდმივ მისიებს შორის არსებული განსხვავების ხაზგასმა გვხვდება სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ განმარტებაში, რომ მთელი თავისი დიპლომატიური მისიის უკან გაწვევა არ წარმოადგენს ან არ გულისხმობს დიპლომატიური ურთიერთობების დარღვევას. მაგალითად, აშშ-მა 1973 წლის 10 ნოემბერს დახურა თავისი საელჩო კამპალაში და უკან გაიწვია ყველა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენელი კამპალადან. მაგრამ აშშ-მა უგანდის მთავრობისადმი მიწერილ წერილში განაცხადა: „აშშ-ის მთავრობა არ აპირებს მოსთხოვოს უგანდის მთავრობას იმავე ქმედების განხორციელება აშშ-ში თავისი დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების მიმართ და, შესაბამისად, არ აპირებს ამ ქმედებით დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას ორ სახელმწიფოს შორის“. 1981 წლიდან აშშ-სა და ლიბიას შორის არსებული ურთიერთობები სახელმწიფო დეპარტამენტმა მოიხსენია, როგორც „ყველაზე დაბალ დონეზე მყოფი დიპლომატიური ურთიერთობები“, რის შემდეგაც მისიათა გაცვლა აღარ შემდგარა. იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე აშშ-ისა და სომალის ურთიერთობების შემთხვევაშიც 1991 წლიდან. 1991 წელს, რამდენიმე თვის შემდეგ ერაყში შეჭრიდან, როდესაც მოკავშირეებმა უკან გაიწვიეს თავიანთი მისიები კუვეიტიდან, მათ განმარტეს, რომ დროებითი გაწვევის მიზეზი მისიების მიერ ფუნქციების შესრულების შეუძლებლობა გახდა. აღნიშნული არავითარ კავშირში არაა დიპლომატიური მისიების კუვეტში დახურვისა და ბალდადში გადატანის შესახებ ერაყის მთავრობის გადაწყვეტილებასთან, რომლის გაუქმებაც ბრძანა გაეროს უშიშროების საბჭომ. დიპლომატიური ურთიერთობების სრულად გაწყვეტის გარეშე შესუსტების რამდენიმე ფორმის შესახებ საუბარია ვენის კონვენციის 45-ე და 46-ე მუხლებში.

## §9. დიპლომატიური წარმომადგენლობის ძირითადი ფუნქციები (მუხ. 3.1)

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ფუნქციებია: ა) მაკრედიტებული სახელმწიფოს წარმომადგენლობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; ბ) მაკრედიტებული სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საერთაშორისო სამართლით დაშვებულ ფარგლებში; გ) მოლაპარაკება ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მთავრობასთან; დ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პირობებისა და ამბების გამორკვევა ყოველგვარი კანონიერი საშუალებებით და მაკრედიტებული სახელმწიფოს მთავრობისათვის მათი შეტყობინება; ე) მაკრედიტებული სახელმწიფოს და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის წახალისება და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობის განვითარება“.

დიპლომატიური მისიის ფუნქციები თავის ფართო ჩარჩოებში საოცრად შეიცვალა უკანასკნელი ოთხასი წლის განმავლობაში. დიპლომატიური სახელმძღვანელოების ავტორები აღნიშნავენ სამ ტრადიციულ ფუნქციას: წარმგზავნი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას, მოლაპარაკებებსა და დაკვირვებას. სატოუ ამბობს: „დიპლომატიური მისიის ფუნქციები არის წარმგზავნი სახელმწიფოს წარმოდგენა, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების დაცვა, მოლაპარაკება იმ სახელმწიფოს მთავრობასთან, რომელშიც აკრედიტებულია, წარმგზავნი სახელმწიფოს მთავრობისათვის ანგარიშის გაგზავნა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა. იგი ასევე უნდა შეეცადოს თანამშრომლობის განვითარებას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობასთან სავაჭრო, ფინანსური, ეკონომიკური, შრომითი, სამეცნიერო კვლევითი და თავდაცვის კუთხით, იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელსაც წარმდგენი სახელმწიფოსაგან იღებს“.

წარმომადგენლობა ითვლება დიპლომატიური მისიის ძირითად ფუნქციად. საელჩოს მთელი მოღვაწეობა - ეს არის წარმომადგენლობა - ე.ი. ორ სახელმწიფოს შორის ოფიციალური ურთიერთობის ყველა საკითხთან დაკავშირებით თავისი სახელმწიფოს სახელით გამოსვლა. არსებითად ამ ფუნქციიდან გამომდინარეობს ყველა დანარჩენი. წარმოუდგენლად გაიზარდა სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის საინფორმაციო ფუნქციის როლი. საელჩოები და მისიები ყოველთვის იყვნენ სხვა სახელმწიფოების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების ცოდნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი არხები. მაგრამ ამ დინამიურ და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მომთხოვნ დროში მკვეთრად აიწია საელჩოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფასმა. დიპლომატიური წარმომადგენლობის საინფორმაციო ფუნქცია ხორციელდება ორი მიმართულებით.

ერთი მხრივ, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მიღება, მეორე მხრივ კი, ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ჩვენამდე მაკრედიტებელი სახელმწიფოს საელჩოდან მოვიდა, ამასთანავე, ეს უნდა კეთდებოდეს მხოლოდ კანონიერი საშუალებებით. დიპლომატიური წარმომადგენლობები ფართოდ იყენებენ ისეთ ლეგალურ, ინფორმაციის მოპოვების ყველგან აღიარებულ საშუალებებს, როგორებიცაა ღია გაყიდვაში და ბიბლიოთეკის საკითხავ დარბაზებში არსებული ლიტერატურის, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასალების გადამუშავება. ვინაიდან საელჩოების მოღვაწეობის სფერო, საკონსულოებისგან განსხვავებით, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, დიპლომატებს ამ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება აქვთ. ეს აუცილებელია არა მარტო ადგილსამყოფელი ქვეყნის პირობების შესწავლისთვის, რომლებიც საელჩოების საინფორმაციო ფუნქციების ძირითად შინაარსს შეადგენს, არამედ იმ აქციების შესრულებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია წარმომადგენლობის დიპლომატიური დაცვის ფუნქციასთან და ა. შ. უფლებები და შესაძლებლობები, რომლებიც დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ეძლევა, ერთდროულად ვარაუდობს მათ ვალდებულებას კეთილსინდისიერად ისარგებლოს თავისი უფლებებით, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს უფლებებისა და ინტერესებისთვის ზიანის მიუყენებლად. კავშირგაბმულობის უახლესი საშუალებების არსებობისდა მიუხედავად, დიპლომატიური ფოსტით დოკუმენტების გაგზავნა კვლავ წარმოადგენს კავშირის უმთავრეს საშუალებას. ოდითგანვე არსებობდა საერთაშორისო სამართლის ნორმები (ძირითადად ჩვეულებითი), რომლებიც ამ სფეროს რეგულირების პრინციპულ საფუძველს ქმნიდა: ფოსტაც, რომელიც სახელმწიფოებს შორის ოფიციალური ურთიერთობებისთვის გამოიყენებოდა და პირებიც, რომლებიც ფოსტის თანმხლები არიან, ხელშეუხებელი არიან და იმყოფებიან საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ. დაწერილი, ამასთანავე უნივერსალური ხასიათის ნორმები გაჩნდა 1961 წლის ვენის კონვენციის მიღების შემდეგ, რომელიც განამტკიცებს დიპლომატიური ფოსტის აბსოლუტური ხელშეუხებლობის პრინციპს.

დიპლომატიური მისიის ფუნქციები უნდა გავარჩიოთ დიპლომატიის ფართო მიზნებისაგან, რომელთაც სატოუ შემდეგნაირად განმარტავს: „... დამოუკიდებელი სახელმწიფოების მთავრობებს შორის ოფიციალური ურთიერთობებისას ცოდნის გამოყენება და ქცევის ტაქტი ... ან, უფრო კონკრეტულად, საქმიანი მოქმედება სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი გაგებიანი“.

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის შექმნამდე არ არსებობდა დიპლომატიური მისიის ფუნქციების ჩამონათვალი არცერთი ფორმალურ სამართლებრივ ინსტუმენტში. ჰავანაში დიპლომატიური თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ 1927 წლის კონვენციაში (ჰავანას კონვენციაში) სათაურ „დიპლომატიური თანამდებობის პირთა მოვალეობების“ ქვეშ არ არის ჩამოთვლილი ფუნქციები, მხოლოდ დათქმია გაკეთებული ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის აკრძალვისა და მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციის ვალდებულების შესახებ.

საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1957 წელს გადაწყვიტა, დაეწყო პროექტის სამუშაო ვერსია დაეწყო დიპლომატიური ფუნქციების ჩამონათვლით, რომელიც შეასრულებდა წინასიტყვაობის როლს და მკითხველს დაეხმარებოდა შემდგომი მუხლების ინტერპრეტაციაში. მუხლების უმეტესობა შეიცავდა მითითებებს დიპლომატიური მისიის ფუნქციებისა თუ მისიის წევრების შესახებ. ამ უკანასკნელთა მსგავსი მითითებები მართლაც შევიდა კონვენციაში მე-3 და 1-ლი (i) (რომელიც წარმომადგენლობის კარ-მიდამოს განმარტავს, როგორც „წარმომადგენლობის მიზნებისათვის საჭირო“ კარ-მიდამოს), 25-ე (რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ყოველგვარი პირობების შექმნას წარმომადგენლობისათვის „თავისი ფუნქციების შესასრულებლად“), 38-ე და 39-ე (რომელიც წარმომადგენლობას ანიჭებს იმუნიტეტებს იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი მოქმედებს თავისი ფუნქციების შესასრულებლად, როგორც წარმომადგენლობის წევრი) და 41-ე (რომელიც კრძალავს წარმომადგენლობის კარ-მიდამოს გამოყენებას „იმ ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით“) მუხლების სახით.

პროექტის სამუშაო ვერსიის ორიგინალი მომზადდა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ და მასში ჩამოთვლილი იყო სამი ტრადიციული ფუნქცია: დაცვა, მოლაპარაკება და დაკვირვება. მანამდე პირველ მუხლში განთავსებული იყო წარმგზავნი სახელმწიფოს წარმომადგენლობის ფუნქციები, რომლებიც კომისიამ მოიხსენია, როგორც „წარმომადგენლობის მოქმედებათა საერთო მახასიათებელი ამოცანები“. ფილიპინების, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მთავრობათა წინადადებით კომისიამ 1958 წელს პროექტის სამუშაო ვერსიაში დაამატა შემდეგი დებულება: „... წარმდგენ და ადგილსამყოფელ სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა და ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთერთობების განვითარება“.

ვენის კონფერენციაზე გაგრძელდა მსჯელობა იმის შესახებ, უნდა დაკვალიფიცირებულიყო თუ არა „ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეების დაცვის“ ფუნქციები საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმაზე მითითებით. ამგვარი მითითების გაკეთების შესახებ მოთხოვნა წარმოიშვა სახელმწიფოებისაგან, რომელთა წინააღმდეგაც უფრო ხშირად ისმოდა დიპლომატიური პრეტენზიები და რომელთა დიპლომატიური უფლებებიც სისტემატურად იზღუდებოდა პოლიტიკური მიზეზებით. საერთაშორისო სამართლის კომისიამ განხილვას ნაადრევად დაუსვა წერტილი თავის კომენტარში იმ მუხლის ჩასმით, რომელმაც განსაზღვრა, რომ დამცავი ფუნქციების ჩამატება არ შეეწინააღმდეგებოდა არც მოგვიანებით ჩასამატებელ დათქმას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის აკრძალვის შესახებ და არც ადგილობრივი საშუალებების ამოწურვის მომთხოვნ წინააღმდეგ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს. თუმცა, ინდოეთმა, მექსიკამ და ცეილონმა კონფერენციას შესთავაზა ტექსტში გაკეთებულიყო ექსპრეს კვალიფიკაცია საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმაზე მითითებით. სხვა სახელმწიფოებმა ეჭვი შეიტანეს ნებისმიერი სახის დამატების საჭიროებაზე, იმ საფუძველით, რომ წარმომადგენლობის ყველა ფუნქცია შეიძლებოდა

გამოვლინდეს მხოლოდ იმ ნებადართული ლიმიტის ფარგლებში, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი აწესებდა და რომ მთელი კონვენცია უნდა მუშაობდეს ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩარჩოში მანამდე, სანამ ცვლილებები მიმდინარეობს. ამ დებულების ჩასმა ერთი მუხლის სუბ-პუნქტში გამოიწვევდა არასწორ კონსტრუირებას ან, მინიმუმ, ზედმეტი იქნებოდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, დელეგაციების უმეტესობა დასთანხმდა ამ კონკრეტული კონტესტის დამაჯერებლობის საჭიროებას და სიტყვები „იმ ნებადართული ლიმიტის ფარგლებში, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი აწესებდა“ დამატებულ იქნა კონვენციის მიერ საერთაშორისო სამართლის კომისიის პროექტის სამუშაო ვერსიაში.

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის საზღვრები განიხილება კონვენციის მთელი რიგი სხვა მუხლების კონტექსტში. გარდა საკონსულულო ფუნქციების შესრულების კერძო საკითხისა, საზღვრები განხილულ იქნა სამი სახის შემთხვევაში:

1. როდესაც სახეზეა განსხვავება წარმომადგენლობის ფუნქციებსა და მისი წევრების პირად საქმიანობას შორის. ეს ასპექტი განიხილა ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Heires of Pierre S v. Austria*. ავსტრიის ელჩმა იუგოსლავიაში ოფიციალური ნადირობისას, რომელზეც დიპლომატები მიწვეულნი იყვნენ იუგოსლავიის პრეზიდენტის მიერ, შემთხვევით მოკლა ფრანგი ელჩი. ფრანგი ელჩის ქვრივისა და შვილისადმი მიყენებული ზიანის შესწავლისას ავსტრიის სასამართლომ განმარტა, რომ წარმომადგენლობის ფუნქცია და წარმგზავნი სახელმწიფოს ინტერესების დაცვა ხორციელდება მოქმედებებით, რომლებიც ხელს უწყობს პირად კონტაქტებს. „ამგვარი კონტაქტებისათვის ხელის შეწყობა არის ელჩის სამსახურის განხორციელებისა და ოფიციალური ვალდებულებების შესრულების პირობა“. უზენაესმა სასამართლომ ავსტრიას დააკისრა ზიანის კომპენსაციის პასუხისმგებლობა. ავსტრიის სასამართლოს მიდგომა განსხვავდება ნიუ-იორკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისაგან საქმეზე *Fidelity Bank NA v. Government of Antigua and Barbuda*, რომელშიც ანტიგუასა და ბარბუდას ელჩმა ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად აიღო სესხი და მოიხსნა თავისი მთავრობის იმუნიტეტი, რათა გაეგრძელებინა ფულის ინვესტირება კაზინოში. უმრავლესობამ გაანალიზა სესხის კანონიერების საკითხი და უარის თქმა არა იმ თვალსაზრისით, რომ ელჩი ახორციელებდა დიპლომატიურ ფუნქციებს, არამედ იმიტომ, რომ მას ჰქონდა აშკარა ძალაუფლება ნიუ-იორკის კანონმდებლობით.

2. როდესაც სახეზეა განსხვავება დიპლომატიურ ფუნქციებსა და კომერციულ საქმიანობას შორის. პრაქტიკაში მიღებულია, რომ „ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების“ ფუნქცია წარმდგენ და ადგილსამყოფელ სახელმწიფოებს შორის განსხვავდება ხასიათით კომერციული საქმიანობისაგან, რომლის მიზანიცაა მოგების მიღება. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა უმეტესობა დაკავებულია ვაჭრობითა და საზღვარგარეთ კომერციული საქმიანობით, ეროვნული პარლამენტები და პრესა კი დიპლომატიური წარმომადგენლობებისგან მოელიან თავიანთი ფასების გამართლებას წარმგზავნი სახელმწიფოს ბიზნეს-

საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანის თვალსაზრისით. ეს განსხვავება არის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი მნიშვნელობისა და სირთულის. იგი ხშირ შემთხვევაში უნდა ვრცელდებოდეს კარ-მიდამოს გამოყენების განსაზღვრაზე, მაგალითად, როგორც ტურისტული ოფისები „გამოიყენება წარმომადგენლობის მიზნებისათვის“ და, კონვენციის 1-ლი (i) მუხლის შესაბამისად, მათ შეიძლება მიენიჭოთ წარმომადგენლობის კარ-მიდამოს სტატუსი. გაერთიანებული სამეფოს მიერ 1985 წელს გამოქვეყნებულ დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის მიმოხილვაში დადგენილია, რომ კარ-მიდამოს დიპლომატიურ სტატუსს არ უნდა განსაზღვრავდეს წარმომადგენლობის ლეგიტიმურ ფუნქციებთან თავსებადი მიზნებით, რომლებითაც გამოიყენება კონკრეტული კარ-მიდამო. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ასევე განსაზღვრა განცალკევებული ტურისტული ოფისების დიპლომატიური სტატუსი და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამგვარი მიზნები შეიძლება იყოს ლეგიტიმური და სამთავრობო, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი არ არის დიპლომატიური, ტერმინის ვენის კონვენციისეული გაგებით.

3. როდესაც განსახილველი ფუნქცია ახალია. საქმეში *Propend Finance Property v. Sing and The Commissioner of the Australian Federal Police*, მოსარჩელები უთითებდნენ, რომ პირველი მოპასუხე, ავსტრალიის უმაღლესი კომისიის დიპლომატიური პერსონალის წევრი, ეხმარებოდა პოლიციას დანაშაულის გამოძიებაში, როგორც პოლიციის ოფიცერი, და მოქმედებდა თავისი ოფიციალური დიპლომატიური ფუნქციების მიღმა, ამიტომ კონვენციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „c“ ქვეპუნქტის თანახმად, მას არ ჰქონდა უფლება ესარგებლა დიპლომატიური იმუნიტეტით, ხოლო 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მან დაკარგა ყოველგვარი იმუნიტეტი, როდესაც მისი ფუნქციები გაერთიანებულ სამეფოში დასრულდა. ინგლისისი უმაღლესმა სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე სინგი პირდაპირ იყო პასუხისმგებელი ავსტრალიის ფედერალური პოლიციის მიმართ, როგორც ავსტრალიის დიპლომატიური მისიის მეთაური, „იმ ამოცანების განხორციელება, რომლებიც მან განახორციელა ავსტრალიის ფედერალური პოლიციის სახელით, იყო მისი დიპლომატიური ფუნქცია“. გადაწყვეტილება ნათლად გვიჩვენებს, რომ, სადაც დიპლომატიური თანამდებობის პირთა საქმიანობა არის წმინდად ოფიციალური, და არ არის კომერციული მოგების ელემენტები, სასამართლოები იხრებიან დიპლომატიებისა და მათი ტრადიციული ფუნქციებისაკენ. რიხტსტეიგი მას შემდეგ რაც განსაზღვრავს, რომ დიპლომატიური ფუნქციების საზღვრები არ არის სრულად დადგენილი მე-3 მუხლის ტერმინოლოგიით, მოჰყავს საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევა ნარკოტიკული საშუალებების ტრანსსასაზღვრო მიმოქცევასთან ბრძოლის საკითხებში, ისევე როგორც პოლიციასთან თანამშრომლობის ფორმა, რომელიც ახალი დიპლომატიური ფუნქციის სახით წარმოიშობა საერთაშორისო შეთანხმებების შედეგად.

კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გაეთებულია შემდეგი დათქმა: „მაკრედიტებული სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში...“. ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ

ხელშეკრულების 23-ე მუხლისა და ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის 46-ე მუხლის მიხედვით, კავშირის მოქალაქის (პირის, რომელსაც აქვს ერთ-ერთი წევრ-სახელმწიფოს მოქალაქეობა) უფლებების დაცვა იმ მესამე სახელმწიფოში, რომელშიც თვით ამ პირის მოქალაქეობის სახელმწიფოს დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა არ გააჩნია, ხდება ევროპული კავშირის სხვა ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიერ, იმ პირობებით, რა პირობებითაც ეს სახელმწიფო საკუთარი მოქალაქის ინტერესებს იცავს. დაცვა ვრცელდება პირის გარდაცვალების, სერიოზული ავადმყოფობის, დაკავებისა და დაპატიმრების, ძალადობრივი ქმედებით დაზიანების და რეპატრაციის შემთხვევებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი დებულებები ვერ დაავალდებულებს მესამე სახელმწიფოებს, დაუშვან ევროპული კავშირის ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ მეორე წევრი სახელმწიფოს მოქალაქის დიპლომატიური დაცვა. შესაბამისად, ეს საკითხი შესაბამის მესამე სახელმწიფოსთან მოლაპარაკების საგანი. რაც შეეხება საკონსულო დაცვას, ამ შემთხვევაში, საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, საკმარისია მესამე სახელმწიფოს საქმის კურსში ჩაყენება. ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე სახის მითითება წინააღმდეგობის შესახებ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ საფუძველით, რომ ამგვარი საქმიანობა რჩება დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლში ნახსენები დაცვის ფუნქციის მიღმა. ჯერჯერობით არ ყოფილა საწინააღმდეგო მითითება სხვა სახელმწიფოთა მხრიდან, იმ მოტივით, რომ ამგვარი საქმიანობა სცდება დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლს. დახმარების უფრო ფორმალური ასპექტები, როგორცაა საჩივრები არასათანადო მოპყრობის შესახებ და პეტიციები შეწყალების ან ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ ექვემდებარებიან წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სირთულეების აღკვეთა ვენის კონვენციების შესაბამისად. რაც შეეხება სათანადო დიპლომატიური საქმიანობის ფარგლებს, ამ საკითხს აწესრიგებს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-9 და 41-ე მუხლები.

## §10. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულება (მუხ. 3.2)

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი დაბრკოლებას უქმნიდეს დიპლომატიურ წარმომადგენლობას საკონსულო ფუნქციების შესრულებაში“.

მეორე საკითხი, რომელმაც გამოიწვია დისკუსია კონვენციის მე-3 მუხლის მიღებისას, იყო დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულების საკითხი. რამდენიმე კომუნისტურ სახელმწიფოს შორის წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, რაც დასრულდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის საკონსულო ფუნქციების განხორციელების უფლების გადაცემით. აღნიშნული უფლებით სარგებლობისათვის არ იყო საჭირო თანხმობა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მხრიდან, სხვა ქვეყნების მხრიდან, რომელთა კანონმდებლობაც კრძალავდა აღნიშნული ფუნქციით სარგებლობას, ანდა მათი მხრიდან, ვინც ითხოვდა, ჰქონოდა უფლება თანხმობა გაეცა დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების განხორციელებისათვის.

სირთულე პირველად წარმოიშვა საერთაშორისო სამართლის კომისიის 1958 წლის სხდომაზე, როდესაც ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ზოურეკმა შესთავაზა შეკრებილ საზოგადოებას პროექტის სამუშაო ვერსიაში ჩაემატებინათ დებულება იმ ეფექტის შესახებ, რომელსაც დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარება გულისხმობს: „დღეიდან დიპლომატიური ფუნქციები მოიცავს საკონსულო ფუნქციებსაც“. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ტუნკინმა სანამ დასთანხმდებოდა შემოთავაზებას, დაინახა პრაქტიკული პრობლემები წინადადებაში, ხოლო გაერთანებული სამეფოს წარმომადგენელმა ჯერალდ ფიცმაურისმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დიპლომატიური და საკონსულო ფუნქციები მაშინ იქნებოდა მკაფიო, როდესაც მათ ერთი პირი განახორციელებდა. დიპლომატიური წარმომადგენლობა ვერ შეძლებდა საკონსულო ფუნქციების განხორციელებას ეგზეკვატურის პრობლემის გამო.

ვენის კონვენციაზე ესპანეთმა სხდომას შესთავაზა დაემატებინათ დიპლომატიური ფუნქციების ჩამონათვალი პროექტის სამუშაო ვერსიის მე-3 მუხლში შემდეგი სიტყვებით: „შეასრულოს საკონსულო ფუნქციები, თუ ადგილსამყოფელი ქვეყანა პირდაპირ უთითებს ხსენებულისკენ“. ამ დამატების მიზანი ფაქტობრივად იყო იმ ქვეყნებისათვის შანსის მიცემა, რომელთა დიპლომატიური და საკონსულო პერსონალი საზღვარგარეთ მცირე იყო მცირე იყო. ქვეყნები, რომლებიც მოითხოვდნენ დიპლომატიური წარმომადგენლობის საკონსულო ფუნქციების შესრულების უფლებას საერთაშორისო ჩვეულებითი

სამართლის საფუძველზე, განმარტავდნენ, რომ აღნიშნული დამატებით, ადგილსამყოფელ სახელმწიფოებს უფლების შეზღუდვის ძალაუფლება მიენიჭებოდათ. დელეგატების უმეტესობა დაეთანხმა აზრს, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის ჩვეულებას წარმოადგენდა საკონსულო ფუნქციების შესრულება და რომ კონფერენციას უნდა მოეგვარებინა საკითხი, ნაცვლად მისი განსახილველად დატოვებისა საკონსულო ურთიერთობების მომწესრიგებელი საერთაშორისო სამართლის კომისიისათვის. შეთანხმების არარსებობის გამო მექსიკამ წარადგინა კომპრომისული წინადადება, რომელიც გახდა მე-2 პუნქტის საფუძველი.

კონფერენციის პლენარულ სესიაზე ვენესუელამ, ერთ-ერთმა იმ სახელმწიფოთაგანმა, რომლებიც არ იზიარებდნენ დიპლომატიური და საკონსულო ფუნქციების კომბინირებას, აღნიშნა, რომ კომპრომისული სიტყვები შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო, როგორც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ვალდებულება, დასთანხმებულიყვნენ ფუნქციათა კომბინირებას. დისკუსიის დროს სხვა დელეგაციებმა ვენესუელას შესთავაზეს ალტერნატიული გზები, მაგრამ მხარდაჭერა ვერცერთმა ვერ მოიპოვა მხარდაჭერა. მე-2 პუნქტი საბოლოოდ მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ იმ საფუძველებით, რომლებიც საერთოდ არ ახდენს არსებულ პრაქტიკაზე.

საკონსულო ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის მე-2, მე-3 და 70-ე მუხლები გარკვეულწილად განმარტავს პრობლემურ საკითხს. კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: „ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობა, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ნიშნავს საკონსულო ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობას“. ეს დებულება შეესაბამება პრაქტიკას, რომელშიც საკონსულო ურთიერთობების განხორციელება დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე დასაშვებია მაშინ, როდესაც არსებობს პოლიტიკური სირთულეები, ხოლო საპირისპირო სიტუაცია წარმოუდგენელია, იმდენად, რომ ფაქტობრივი მაგალითი არც კი იძებნება. საკონსულო ურთიერთობების შსახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს, რომ: „საკონსულო ფუნქციებს საკონსულო დაწესებულებანი ასრულებენ. მათ დიპლომატიური წარმომადგენლობანიც ასრულებენ ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად“. აღნიშნული ცხადყოფს, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი ასრულებს კონკრეტულ საკონსულო ფუნქციებს, იგი ამ დროს იმყოფება საკონსულო ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის და არა დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის რეგულირების ქვეშ. 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „1. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულოს ფუნქციების შესრულების შემთხვევაში ამ კონვენციის დებულებები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს გამომდინარეობს კონტექსტიდან. 2. დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელთა გვარები, რომლებიც დაინიშნენ საკონსულო განყოფილებაში ან რომლებსაც სხვაგვარად დაევალათ საკონსულო ფუნქციების შესრულება, ეცნობება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან იმ ორგანოს, რომელსაც მიუთითებს ეს სამინისტრო. 3. საკონსულოს

ფუნქციების შესრულებისას დიპლომატიურ წარმომადგენლობას შეუძლია მიმართოს: ა) საკონსულო ოლქის ადგილობრივ ხელმძღვანელობას; ბ) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, თუ ამის უფლებას იძლევა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები და წეს-ჩვეულებები ან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები. 4. დიპლომატიური წარმომადგენლობის იმ თანამშრომელთა პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომელთა შესახებაც ლაპარაკია ამ მუხლის მე-2 პუნქტში, რეგულირდება საერთაშორისო სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც დიპლომატიურ ურთიერთობებს შეეხება“.

სამართლებრივი წესების განსაზღვრისას, როდესაც ვხვდებით დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების განხორციელებისას, უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს გამყოფი ხაზი დიპლომატიურ და საკონსულო ფუნქციებს შორის. საკონსულო ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ფუნქციებიდან უმეტესი განიხილება, როგორც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ასპექტები, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებში შედის. ძირითადი ფაქტორები, ჩვეულებრივ, არის ფუნქციის განხორციელების ბუნება და ის, თუ რა სახის კონტაქტებით იქნა განხორციელებული კონკრეტული ფუნქცია - ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონტაქტებით თუ ცენტრალური მთავრობის რომელიმე მინისტრთან, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა მინისტრთან, კონტაქტებით. ხშირ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელოვანია მომსახურების მიმღებისათვის თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის, როგორ განხორციელდება კონკრეტული ფუნქცია. ქვემოთ მოყვანილი წესები გამომდინარეობს ვენის ორივე კონვენციის დებულებებისა და კონკრეტული ქვეყნების პრაქტიკათა შეჯერებით:

1. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური და საკონსულო მომსახურების გაერთინება არის ჩვეულებრივი მოვლენა ეკონომიკური და ეფექტურობის მიზეზებით, წარმდგენი სახელმწიფოს სამართალი და პრაქტიკა შეიძლება კრძალავდეს მას ან უზრუნველყოფდეს, რომ განსაზღვრული ფუნქციები შესრულდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტების ან მხოლოდ კონსულების მიერ;

2. ბევრი ადგილსამყოფელი სახელმწიფო შეეგუა საკონსულო ფუნქციების შესრულებას დიპლომატიური აგენტების მიერ, მაგრამ ქვეყნების ნაწილი ჯერ კიდევ კრძალავს ან ზღუდავს მას ადგილობრივი სამართლით;

3. აუცილებელი არაა დიპლომატიური აგენტისათვის მიიღოს ეგზეკვატურა საკონსულო ფუნქციების შესასრულებლად შემთხვევითი ან რეგულარული საფუძვლებით, რადგან ის ფაქტობრივად არ არის საკონსულო დაწესებულების მეთაური. იმ დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრთა სახელები, რომლებიც ახორციელებენ საკონსულო ფუნქციებს რეგულარულად, უნდა ეცნობოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს;

4. რაიმე შესაძლო სირთულის თავიდან ასაცილებლად, დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, რომელიც რეგულარულად ახორციელებს საკონსულო ფუნქციებს, უმჯობესია დაინიშნოს საკონსულო თანამდებობაზეც. პირი ორმაგი

დანიშნით, ჩვეულებრივ თანამშრომლობს ადგილობრივ ან ცენტრალურ ხელისუფლებასთან იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა მოქმედებისათვის;

5. დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, რომელიც ახორციელებს საკონსულო ფუნქციებს საკონსულო თანამდებობაზე დანიშნვის გარეშე, კონვენციის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უნდა მიმართოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, თუ ამის უფლებას იძლევა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები და წეს-ჩვეულებები ან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები;

6. დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, რომელიც ახორციელებს საკონსულო ფუნქციებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის დამატებით დანიშნული საკონსულო თანამდებობაზე, მას უფლება აქვს ისარგებლოს დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციით გათვალისწინებული იმუნიტეტებით.

**§11. დიპლომატიური დაწესებულების მეთაურთა კლასები და მათი დაშვება ფუნქციების შესასრულებლად. რწმუნებათა სიგელი. აგრემანი (მუხ. 4, 5, 6, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19)**

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები იყოფებიან სამ კლასად, კერძოდ:

ა) ელჩებისა და ნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებული არიან სახელმწიფოთა მეთაურებთან, და ექვივალენტური რანგის სხვა წარმომადგენლობათა მეთაურები;

ბ) დესპანებისა და ინტერნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებული არიან მთავრობის მეთაურებთან;

გ) საქმეთა რწმუნებულები, რომლებიც აკრედიტებული არიან საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

უფროს-უმცროსობისა და გათვალისწინებული ეტიკეტის გარდა არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს წარმომადგენლობის მეთაურთა მიმართ დამოკიდებულებაში იმის გამო, რომ ისინი ამა თუ იმ კლასს განეკუთვნებიან.

კლასს, რომელსაც უნდა მიეკუთვნონ წარმომადგენლობათა მეთაურები, განსაზღვრავს სახელმწიფოთა შეთანხმება.

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად წარმომადგენლობის მეთაური თავისი ფუნქციების შემსრულებლად ჩაითვლება ან თავისი რწმუნებათა სიგელების წარდგენის მომენტიდან ან თავისი ჩამოსვლის შეტყობინებისა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის (ან სხვა სამინისტროსათვის, რომელიც შეთანხმებითაა გათვალისწინებული) რწმუნებათა სიგელების დამოწმებული ასლების წარდგენის მომენტიდან. წარმომადგენლობის მეთაურისათვის არსებობს თანამდებობის დაკავების მკაცრად განსაზღვრული ნაციონალური და საერთაშორისო სამართლის წესი, რომელსაც აკრედიტაცია ეწოდება და რომელიც შედგება რამდენიმე სტადიისაგან: ელჩის კანდიდატურების შერჩევა, აგრემანის მოთხოვნა, დამნიშნავი სახელმწიფოდან შიდა სამართლებრივი აქტის გამოცემა, რწმუნების სიგელების გადაცემა, ოფიციალური ცერემონიის დროს სახელმწიფო მეთაურისათვის სიგელების გადაცემა, როგორც აკრედიტაციის პროცესის დასასრული და მოცემული დიპლომატიური წარმომადგენლობის მისიის დასაწყისი.

რწმუნების სიგელების გადაცემის აქტი წარმოშობს მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგს, როგორც წესი ამ მომენტიდან იწყება წარმომადგენლობის მეთაურის დიპლომატიური მისია და უკვე ითვლება, რომ იგი შეუდგა თავისი უფლება-მოვალეობების ოფიციალურად შესრულებას.

რწმუნების სიგელი არის დოკუმენტი, რომელსაც დიპლომატიური

წარმომადგენლობის ხელმძღვანელი წარუდგენს მიმღები სახელმწიფოს მეთაურს ან საგარეო საქმეთა მინისტრს მიმღებ სახელმწიფოში მისი აკრედიტაციის მიზნით. ჩვეულებრივ, წმუნების სიგელს ხელს აწერს წარმგზავნი სახელმწიფოს მეთაური და მას ადასტურებს წარმგზავნი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი. რწმუნების სიგელში აღნიშნულია დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, მისი დიპლომატიური კლასი, ასევე გამოთქმულია თხოვნა, რომ მიმღები სახელმწიფო ენდოს დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განცხადებებს. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის მიერ მიმღები სახელმწიფოს მეთაურისათვის ან საგარეო საქმეთა მინისტრისათვის რწმუნების სიგელის ჩაბარება ხდება ოფიციალურ ცერემონიაზე.

აგრემანი არის მიმღები სახელმწიფოს თანხმობა წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად ამა თუ იმ პირის დანიშვნაზე. „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, მაკრედიტებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო დათანხმდა იმ პირს, რომლის აკრედიტებასაც აპირებს, ამ სახელმწიფოში წარმომადგენლობის მეთაურად. ადგილსამყოფელ სახელმწიფო ვალდებული არ არის ამცნოს მაკრედიტებელ სახელმწიფოს თანხმობაზე უარის თქმის მიზეზი.

## §12. წარმომადგენლობის მეთაურის აკრედიტაცია

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ შესახებ ვენის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, „1. მაკრედიტებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო დათანხმდა იმ პირს, რომლის აკრედიტებასაც აპირებს, ამ სახელმწიფოში წარმომადგენლობის მეთაურად. 2. ადგილსამყოფელ სახელმწიფო ვალდებული არ არის ამცნოს მაკრედიტებელ სახელმწიფოს თანხმობაზე უარის თქმის მიზეზი.“

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოსაგან წარმდგენი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პირის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურად კონფიდენციალური გზით დამტკიცების მოლოდინი ძირითადი პრაქტიკიდან ჩვეულებითი სამართლის ნორმად გარდაიქმნა. დიპლომატიური თანამდებობების შესახებ ჰავანას 1928 წლის კონვენციაში განისაზღვრა, რომ: „არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სხვა ქვეყანაში თავისი დიპლომატიური თანამდებობის პირის აკრედიტება მოახდინოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე“. ამასთანავე, სახელმწიფოები არ იყვნენ ვალდებული, განემარტათ თავისი გადაწყვეტილება აგრემანის შესახებ.

მეტად თვალსაჩინო გადახვევა გვხვდება პრაქტიკიდან აშშ-ის შემთხვევაში. 1885 წელს აშშ-მა პირველად ბ-ნ. კეილი დანიშნა მინისტრად რომში, სადაც იტალიის მეფემ უარი განაცხადა მის გამოსვლაზე რომელი კათოლიკეების შეკრებაზე ვირჯინიაში, სადაც აპროტესტებდნენ პაპის ტური ქვეყნების ანექსიას. მას შემდეგ ბ-ნ. კეილი დაინიშნა ვენაში, ხოლო ავსტრია-უნგრეთის მინისტრს ვაშინგტონში განუმარტეს: „იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ მას შემდეგ რაც რომში გაჩნდა ექვი ამ არჩევანის საწინააღმდეგოდ, მას უნდა გაემახვილებინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება იმაზე, რომ მეგობრული, დიპლომატიურ პარტიკაში დამკვიდრებული ჩვეულების შესაბამისად, საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნამდე, იმ მთავრობისაგან უნდა მიეღოთ თანხმობა, რომელშიც ეს საგარეო საქმეთა მინისტრი იქნებოდა დანიშნული. ასევე განსაზღვრეს, რომ იმ უცხოელი წარმომადგენლის მდგომარეობა, რომელიც იმყოფება ევროპულ სამოქალაქო ქორწინებაში, არ იქნება მყარი და დაცული ვენაში“.

ავსტრია-უნგრეთის მთავრობა ასევე აპროტესტებდა ბ-ნ. კეილის საჯარო განცხადებებს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი არ დაეთანხმა ავსტრია-უნგრეთის მთავრობის პოზიციას, რადგან ეს უკანასკნელი დიპლომატიური წარმომადგენლობის დანიშვნისათვის წინასწარი თანხმობისთვის დაცდას მოიაზრებდა და საფუძველს უქმნიდა ავსტრია-უნგრეთის მთავრობის მხრიდან ბ-ნ. კეილის დანიშვნაზე პოტენციურ უარს, რის შედეგადაც აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობა გარკვეული დროით სახელმწიფო სამდივნოს ხელში დარჩებოდა, როგორც დიპლომატი, რომელიც ხელმძღვანელობს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, მეთაურის არყოფნის დროს (chargé d'affaires).

მეოცე საუკუნის დასაწყისში აშშ-მა დაასახელა თავისი დიპლომატიური

წარმომადგენლობა და დაიწყო აგრემანის მოლოდინი წარმომადგენლობის დასანიშნად. 1932 წლის ჰარვარდის კონვენციის სამუშაო ვერსიაში მიღებულ იქნა დიპლომატიური მეთაურის დასანიშნად საჭირო აგრემანის მოთხოვნის პრინციპი, რაც ნიშნავდა როგორც თანამედროვე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წერილობით დოკუმენტში ასახვას, ისე დიპლომატიის გამარტივებულად ფუნქციონირების ხელშეწყობას. თუმცა, იქვე გაკეთდა დათქმა: „პრაქტიკაში ჩართულობის პარალელურად, რაც ამჟამად მიიჩნევა უნივერსალურ მიდგომად, აშშ-ს არასდროს მოუთხოვია ის, როგორც უფლება და არც უღიარება ის, როგორც ვალდებულება“.

ადრეულ წლებში გაერთიანებული სამეფო ასევე არიდებდა თავს აგრემანთან დაკავშირებულ პრაქტიკას. 1832 წელს რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-მა უარი თქვა მიეღო სტრატეგორდ კანინგი, როგორც ბრიტანეთის ელჩი იმ საფუძველით, რომ მისი დანიშვნა განახორციელა ლორდმა პალმერსტონმა, ხოლო ოფიციალურად გასაჯაროვდა ამ ფაქტის რუსეთის ლონდონში არსებული საელჩოსათვის შეტყობინებამდე რამდენიმე დღით ადრე. ბრიტანეთის მთავრობამ მოითხოვა თავისუფლება ელჩების არჩევისას და რუსეთის უარის საპასუხოდ სამი წლით ვაკანტურად დატოვა ელჩის თანამდებობა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ბრიტანეთი შეეწყო აგრემანთან დაკავშირებულ პრაქტიკას, იგი მაინც მოელოდა იმ მიზეზების დასახელებას, რომლებიც უარის თქმის საფუძველი გახდა. 1917 წელს სატოუმ აღნიშნა: „სადავოა საკითხი, უნდა ახლდეს თუ არა უარის თქმა თან განცხადება იმ მოტივების შესახებ, რომლებმაც იგი განაპირობა, მაგრამ ფრთხილად უნდა აღინიშნოს, რომ თუ სახელმწიფო მოითხოვს მიზეზებს და ამ მიზეზებს ვერ იღებს, ანდა მიზეზებს იღებს, მაგრამ ეს მიზეზები არაადეკვატური აღმოჩნდება, უარი მისიის მეთაურის დანიშვნაზე მაინც ძალაში რჩება და დიპლომატიური წარმომადგენლობა *chargé d'affaires*-ს პრინციპის იმედად რჩება“.

განსხვავება საერთაშორისო სამართლის კომისიასა და ვენის კონფერენციას შორის თავს იჩენს არა თანამედროვე პრაქტიკის არსთან დაკავშირები, არამედ მისი კოდიფიცირების მიმართებით. კომისიის მომხსენებლის ტექსტში არ არის დაკონკრეტებული, რომ ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ არ უნდა მისცეს განმარტებები აგრემანზე უარის თქმის შემთხვევაში, მაგრამ იმავე ტექსტით განისაზღვრება, რომ წარმომადგენლობის მეთაურის *persona non grata*-დ გამოცხადება ყოველგვარი მიზეზების გარეშე შესაძლებელი. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მომხსენებლის მიერ წარდგენილი ტექსტი გულისმობდა აგრემანზე უარის თქმის შემთხვევაში განმარტებების მოთხოვნას. მოგვიანებით კომისიამ პასუხი გასცა ამ კრიტიკას სიტყვების „მიზეზების მოყვანის გარეშე“ ამოღებით ნორმიდან, რომელიც დაკავშირებული იყო *persona non grata*-დ გამოცხადებასთან.

ვენის კონფერენციაზე არგენტინამ წამოაყენა შემოთავაზება პრინციპის დამატების შესახებ, რომლითაც განისაზღვრებოდა, რომ სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება, განმარტოს მიზეზები აგრემანზე უარის თქმის შემთხვევაში. აღნიშნული დამატება უსარგებლოდ მიიჩნია დიდმა ბრიტანეთმა იმ საფუძველით, რომ ამით შეიძლებოდა ნაგულისხმევი ყოფილიყო უარის თქმის დროს მიზეზების

განმარტების ვალდებულება კონვენციის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების შემთხვევაში. თუცა, ნათელია, რომ კონვენციაში ასეთი შინაარსის გატარების შესახებ კონფერენციაზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ, რაც აიხსნება კონვენციის პრემბულაში გაკეთებული დათქმით: „ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმები კვლავაც დაარეგულირებენ საკითხებს, რომლებსაც უშუალოდ არ ითვალისწინებს ამ კონვენციის დებულებანი“.

ზოგიერთი სახელმწიფო კონფერენციაზე ცდილობდა, დაეკისრებინა მიმღები სახელმწიფოსათვის გადაწყვეტილების „გონივრულ ვადაში“ შეტყობინების ვალდებულება. ჯენეტი 1931 წელს აღნიშნავდა, რომ პასუხის ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ წარმდგენი სახელმწიფო უფლებამოსილი იყო ევარაუდა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეიძლება ყოფილი შეთავაზებული პირის მიმართ და დანიშნავდ შეიძლება განხორციელებულიყო. ვარაუდის დონეზე, ახლა საპირისპირო მნიშვნელობით უნდა იყოს წარმოდგენილი მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი. სწორი პოზიცია იქნა დაფიქსირებული იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მიერ. მათი აზრით, წარმდგენმა სახელმწიფო „დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს“ ხანგრძლივ დუმილს და მიიღოს იგი, როგორც თავაზიანი უარი.

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ შესახებ ვენის კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, „1. მთავრედიტებელ სახელმწიფოს, შესაბამისი ადგილსამყოფელ სახელმწიფოსათვის სათანადო შეტყობინების შემდეგ, შეუძლია წარმომადგენლობის მეთაური, ან დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი წევრი, გარემოებათა მიხედვით, დანიშნოს ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში, თუ რომელიმე ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ იქნება. 2. თუ მთავრედიტებელი სახელმწიფო წარმომადგენლობის მეთაურს ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოში ნიშნავს, მას შეუძლია ყოველ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობის მეთაურს მუდმივი ადგილსამყოფელი არა აქვს, დააფუძნოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან დროებითი საქმეთა რწმუნებულები. 3. წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი წევრი შეიძლება მოქმედებდეს როგორც მთავრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში.“

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ შესახებ ვენის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შეუძლია ერთი და იგივე პირი დანიშნოს სხვა სახელმწიფოში წარმომადგენლობის მეთაურად, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ იქნება“.

„მრავლობით“ აკრედიტაციას დიდი ხნის ისტორია აქვს დიპლომატიურ ურთიერთობებში. ექსპერტები ასახელებენ არაერთ შემთხვევას, როდესაც ერთი დესპანი აკრედიტებული იყო ორი სუვერენული სახელმწიფოს მიერ, ან ერთი სახელმწიფოს/სუვერენის მიერ ეს დესპანი წარგზავნის იყო ორ ან მეტ სახელმწიფოში. 1825 წელს დიდმა ბრიტანეთმა უარყო არგენტინის შეთავაზება, აკრედიტაცია მიეცა მინისტრისათვის, რომელიც აკრედიტებული იყო ასევე პარიზში. ბრიტანეთმა მხოლოდ მიზეზთა ნაწილი დაასახელა, ხოლო უარყოფის სხვა

შემთხვევები შენიღბულად დატოვა, გამომდინარე იქიდან, რომ აგრემანის მისაღებად გაგზავნილი შეტყობინება ძირითადად კონფიდენციალურ ხასიათს ატარებდა. როგორც ჩანს, უარი ამგვარ შეთავაზებებზე უჩვეულო იყო და ძირითადად ისეთ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი, როდესაც ორ პოტენციურ მიმღებ სახელმწიფოს ერთმანეთთან პოლიტიკური შეუთავსებლობა ჰქონდა. ამკარა განსხვავება არ არის გამოკვეთილი იმ შემთხვევებში, როდესაც 1) დესპანის დანიშვნა მესამე სახელმწიფოს სასარგებლოდ სხვასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის ხარჯზე ხდება და 2) როდესაც ფორმალური აკრედიტაცია ხდება ორი სახელმწიფოს მიერ. მოტივი ასეთ შემთხვევებში ეკონომიკურ ხასიათს ატარებს წარმგზავნი სახელმწიფოების მხრიდან.

ჰავანის 1928 წლის კონვენციის მე-5 მუხლში მრავლობით აკრედიტაციაზე ასეთი პოზიცია გამოხატული: „ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია ერთ დიპლომატიურ წარმომადგენელს დაავალოს სახელმწიფოს წარმოდგენა ერთი ან მეტი მთავრობის წინაშე. რამდენიმე სახელმწიფოს შეუძლია მათ ნდობა გამოუცხადოს“.

ამ ფორმულირებაში პრინციპის არც არც უარყოფასა და არც დადასტურებაზე არ ჩანს ჩანს მკვეთრი პოზიცია. მეორე შემთხვევაში, როცა მეორე თანხმობა ნაგულისხმევია, აგრემანის პროცედურა მიმღებ სახელმწიფოს აძლევს სრულ შესაძლებლობას მიიღოს ან უარყოს ორმაგი აკრედიტაცია. მეორე მხრივ, პირველ შემთხვევაში, მეორე სახელმწიფოს, რომელთანაც დესპანი გაგზავნილია, შესაძლოა არ ჰქონდეს შესაძლებლობა სხვის დანიშვნაზე, როცა აგრემანს გასცემს და როცა პირველი სახელმწიფო არ არის ინფორმირებული მეორე დანიშვნის შესახებ. ჰავანის კონვენციის მიხედვით, ერთადერთ გზად რჩება დედაქალაქიდან ელჩის გამოხმობის მოთხოვნა.

### §13. დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალი; კლასები

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა საზღვარგარეთულ ორგანოს, რომელიც არსდება მიმღება სახელმწიფოს დედაქალაქში, წარმგზავნ სახელმწიფოსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის შეთანხმების საფუძველზე, დიპლომატიური წარმომადგენლობა ეწოდება. დიპლომატიური წარმომადგენლობის მოვალეობა არის, წარმოადგინოს წარმგზავნი სახელმწიფო თავის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; დაიცვას წარმგზავნი სახელმწიფოსა და მის მოქალაქეთა ინტერესები თავის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; აწარმოოს მოლაპარაკება ამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან; მიაწოდოს ინფორმაცია წარმგზავნ სახელმწიფოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის შესახებ; ხელი შეუწყოს წარმგზავნ სახელმწიფოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას. დიპლომატიური წარმომადგენლობა სარგებლობს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები არიან წარმომადგენლობის მეთაური და წარმომადგენლობის პერსონალის წევრები. დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალი შედგება დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მომუშავე პირთა სამი კატეგორიისაგან - დიპლომატიური პერსონალის წევრები, დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და მომსახურე პერსონალისაგან.

დიპლომატიური პერსონალის წევრები არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებსაც აქვთ დიპლომატის რანგი. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელებაში. დიპლომატიური პერსონალის ფუნქციებში შედის: წარმგზავნი სახელმწიფოს წარმოდგენა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; წარმგზავნი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებათა წარმოება; წარმგზავნი სახელმწიფოს ინფორმირება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის შესახებ; ადგილსამყოფელ სახელმწიფოსა და წარმგზავნ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

დიპლომატიური პერსონალის წევრებსა და წარმომადგენლობის მეთაურებს დიპლომატიურ აგენტადაც მოიხსენიებენ. დიპლომატიური დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციაში ჩამოთვლილია დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურის (დიპლომატიური აგენტის) სამი კლასი: ა) ელჩებისა და ნუნციების (რომის პაპის ელჩები); ბ) დესპანებისა ინტერნუნციების (რომის პაპის დესპანები); გ) საქმეთა რწმუნებულთა. პირველი ორი

კლასის წარმომადგენლებს სახელმწიფოს მეთაური გზავნის უცხო სახელმწიფოების მეთაურთან, ხოლო საქმეთა რწმუნებულებს - საგარეო საქმეთა მინისტრი შესაბამისი შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან. სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, სამივე კლასის დიპლომატები თანასწორუფლებიანი არიან და რაიმე დისკრიმინაცია რომელიმე კლასის მიმართ დაუშვებელია. თუმცა, უფროსობისა და დიპლომატიური ეტიკეტის სფეროში ეს კლასები, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისამებრ, დიპლომატიურ იერარქიებში მარეგულირებელ როლს არსრულებენ, რაც ოდნავადაც არ ლახავს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა კლასის დიპლომატი უნდა ჩაუდგეს სათავეში დიპლომატიურ წარმომადგენლობას, წყდება წარმგზავნი და ადგილსამყოფელი სახელმწიფოების შეთანხმებით. ჩვეულებრივ, დიპლომატიური რანგი შეესაბამება იმ კლასს, რომელიც მას მიენიჭება საზღვარგარეთ გაგზავნისას, მაგრამ დასაშვებია გამონაკლისებიც.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი არის დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც არ მიეკუთვნება დიპლომატიურ აგენტთა რიცხვს, მაგრამ მნიშვნელოვანი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარებლობს. ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს მიეკუთვნებიან კანცელარიის მუშაკები, ბულატრები, თარჯიმნები, მეშიფრეები, მემანქანეები და ა. შ. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი ან მუდმივად არ ცხოვრობენ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. მათზე დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები შედარებით შეზღუდული სახით ვრცელდება, სახელდობრ: ა) იმუნიტეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციიდან ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებზე ვრცელდება მხოლოდ იმ ქმედებათა მიმართ, რომლებიც მათ მიერ ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს; ბ) საბაჟო პრივილეგიებიდან მათზე ვრცელდება მხოლოდ ის პრივილეგიები, რომლებიც დაწესებულია პირველადი მოთხოვნილების საგნების მიმართ. მაგრამ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ნაცვალებს საფუძველზე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი იმუნიტეტებისა და პრივილეგიების მხრივ გაუთანაბრონ დიპლომატიურ აგენტს. ეს პრინციპი ჩამოყალიბდა უკანასკნელ ხანებში ჯერ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკითა და ორმხრივი შეთანხმებით, შემდგომ კი დიპლომატიური ურთერთობების შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციით.

დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალი დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის ერთ-ერთი კატეგორიაა (მძღოლები, შიკრიკები, ლიფტიორები, შვეიცრები და ამ სახის სამუშაოს სხვა შემსრულებლები), რომელიც არ მიეკუთვნება დიპლომატიურ აგენტთა რიცხვს და რომელიც შეზღუდული დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ ქმედებათა

მიმართ. მომსახურე პერსონალის წევრები თავისუფლდებიან ყველა პირადი ბეგარისაგან, აგრეთვე გადასახადებისა და გამოსაღებისაგან მათი ხელფასის მიმართ. ამასთან როდესაც მოსახურე პერსონალის წევრი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, ის არავითარი იმუნიტეტით არ სარგებლობს, გარდა იმისა, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფო თავს იკავს წარმომადგენლობის შენობაში მისი დაპატიმრებისა ან მის მიმართ სხვა რაიმე რაიმე იძულებითი ზომების გამოყენებისაგან. მომსახურე პერსონალის ოჯახის წევრები სარგებლობენ მხოლოდ იმ უფლებებით, რომლებსაც მათ ადგილსამყოფელი სახელმწიფო მიაჩნებს. დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენცია არ ითვალისწინებს მომსახურე პერსონალზე სხვა დიპლომატიური იმუნიტეტებისა და პრივილეგიების გავრცელებას, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოს ეს შესაძლებლად მიაჩნია ნაცვალებების საფუძველზე.

## §14. „*persona non grata*“-დ გამოცხადება

ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად ამცნოს მაკრედიტებელ სახელმწიფოს, რომ წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის რომელიმე წევრი „*persona non grata*“-ა, ან წარმომადგენლობის პერსონალის ნებისმიერი სხვა წევრი მისთვის მიუღებელია. მაშინ მაკრედიტებელი სახელმწიფო მოვალეა, შესაბამისად გაიწვიოს აღნიშნული პირი ან შეწყვიტოს მისი ფუნქციები წარმომადგენლობაში. ესა თუ ის პირი შეიძლება „*persona non grata*“-დ ან მიუღებლად გამოცხადდეს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლამდე. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური აგენტის „*persona non grata*“, ანუ არასასურველ პიროვნებად გამოცხადება შეიძლება არ იყოს მოტივირებული, სამაგიეროდ მაკრედიტებელმა სახელმწიფომ მაშინვე უნდა გამოითხოვოს თავისი წარმომადგენლობის თანამშრომელი. თუ ეს არ მოხდება, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობას შეუძლია უარი განაცხადოს მისთვის არასასურველი ან მითითებული პიროვნების წარმომადგენლობის თანამშრომლად ცნობაზე და ძალით გააძევოს ის ქვეყნიდან. ხოლო, პირს, რომელსაც დიპლომატიური რანგი არ გააჩნია, სახელმწიფოს შეუძლია, მიუღებელ პიროვნებად გამოაცხადოს. დიპლომატიური აგენტის „*persona non grata*“-დ გამოცხადების ძირითადი მიზეზებია: 1) ჯაშუშობა; 2) ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, მუხმობხეთა მხარდაჭერა ან სხვა რაიმე სახით სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის მიმართ უპირატესობის გამომჟღავნება, ადგილსამყოფელი მთავრობის პოლიტიკის უხეში კრიტიკა და ა. შ. იშვიათ შემთხვევაში, დიპლომატიური წარმომადგენლობის მისია მთავრდება დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტის გამო, რაც ომის გამოცხადებით ან სახელმწიფოს შორის პოლიტიკური ურთიერთობის მკვეთრი გაუარესებით გამოიწვევა. ამ შემთხვევაში უკან ბრუნდება დიპლომატიური წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა. მაკრედიტირებელი სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, არსებობის შეწყვეტის შემთხვევაში უქმდება დიპლომატიური წარმომადგენლების უფლებამოსილებაც. მაკრედიტირებელ სახელმწიფოში რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს, რასაც პოლიტიკური რეჟიმის ან სახელმწიფოს წყობის მთლიანად შეცვლა მოჰყვება, ახალ მთავრობას შეუძლია გადასინჯოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შემადგენლობა და გამოიწვიოს არასასურველი პირები ან პირიქით, გაანახლოს მისი უფლებამოსილება. ასევე ექცევა მაკრედიტირებელი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოში თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, თუ ამ სახელმწიფოში ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ასევე გვხვდება დიპლომატიური აგენტების მიერ მაკრედიტირებელ სახელმწიფოსთან კავშირის გაწყვეტის და მისი ადგილსამყოფელ ან სხვა უცხო სახელმწიფოში თავშესაფრის ფაქტები. დიპლომატიური აგენტის ფუნქციების შეწყვეტა ხდება გამოწვევის სიგელით ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურისათვის ჩაბარებით, რითაც იურიდიულად

ფორმდება დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ თავისი ფუნქციების შესრულების შეწყვეტა.

საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ადგილსამყოფელი სახელმწიფო უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან მის რომელიმე წევრს „*persona non grata*“-დ ან „მიუღებელ პირად“ აცხადებს. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

- 2009 წელს ისრაელის მიერ დაზას სექტორში შეჭრის გამო ვენესუელადან ისრაელის დიპლომატიური წარმომადგენლობის გაძევებას მოჰყვა ვენესუელის დიპლომატიური წარმომადგენლობის ისრაელის მიერ „*persona non grata*“-დ გამოცხადება.
- 2009 წელს რუსეთმა „*persona non grata*“-დ გამოაცხადა ფინეთის ელჩი, რადგან იგი დაეხმარა ფინეთის მოქალაქეს, უკანონოდ გაეყვანა თავისი შვილი რუსეთიდან, ბავშვის რუსი დედის ნებართვის გარეშე.
- 2011 წელს ქუვეითის საგარეო საქმეთა მინისტრმა სამი ირანელი დიპლომატი, მათ შორის ელჩი, გამოაცხადა „*persona non grata*“-დ სავარაუდო ჯაშუშობის გამო. ქუვეითის ემირის ბრძანებით სამივე დიპლომატი გაძევებულ იქნენ ადგილსამყოფელი ქვეყნიდან.
- 2011 წელს საფრანგეთმა გამოაცხადა 14 ლიბიელი დიპლომატი „*persona non grata*“-დ გაეროს 1973 წლის რეზოლუციისა და ლიბიელი მოქალაქეების დაცვის წინააღმდეგ წასვლის გამო.
- 2012 წელს აშშ-მა „*persona non grata*“-დ გამოაცხადა ვენესუელის დიპლომატი, რომელსაც ბრალად ედებოდა ირანისა და კუბის დიპლომატებთან ერთად კიბერთავდასხმის მოწყობა აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებებზე. დიპლომატები შეთანხმებული იყვნენ მექსიკელ ჰაკერებთან. დანაშაული დროულად იქნა გამოძიებული FBI-ს მიერ, ხოლო დიპლომატი - ქვეყნიდან გაძევებული.
- 2016 წელს 35 რუსი დიპლომატი გამოცხადდა „*persona non grata*“-დ აშშ-ის მიერ, რადგან არსებობდა ვარაუდი, აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მათი კრემლის სასარგებლოდ მუშაობის შესახებ.

## §15. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების განსაზღვრება; წარმოშობის თეორიები

დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის განსაზღვრების არსი, რომელიც დიპლომატიურ და საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში არსებობს, მდგომარეობს განსაკუთრებული შეღავათების, უფლებებისა და უპირატესობების ერთობლიობაში, რომელიც ენიჭებათ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, მათ პერსონალს და სხვა პირებს, რომლებიც, დაცვით საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობენ, ეს არის მთელი დიპლომატიური სამართლის ძირითადი ელემენტი, ცენტრალური ინსტიტუტი.

თანამედროვე სახელმწიფოების დიპლომატიურ და სახელშეკრულებო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ლაპარაკია მითითებული უფლებებისა და უპირატესობების ერთობლიობაზე, განსაზღვრულ კომპლექსზე, სადაც პრივილეგიები და იმუნიტეტი ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თუმცა, თეორიისა და ისტორიის გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ „დიპლომატიური იმუნიტეტისა“ და „დიპლომატიური პრივილეგიების“ ცნებებს შორის ცნობილ განსხვავებებზე.

პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნებისთვის ეს ეხება მათი წარმოშობის ბუნებას, ასევე მათი აუცილებელი გავლენის წყაროსა და საზღვრებს. დიპლომატიური იმუნიტეტი მთლიანობაში ყოველთვის განიხილებოდა როგორც სამართლებრივი დადგენილება, რომელიც განმტკიცებას პოულობდა თავიდან ჩვეულებებში, შემდეგ კი (შედარებით გვიან პერიოდში), საერთაშორისო სამართლის სახელშეკრულებო ნორმებში. აქედან - უსიტყვო იურიდიული ვალდებულება მიენიჭებინათ უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური აგენტებისათვის იმუნიტეტი, მით უმეტეს, განსაკუთრებული უფლება ადგილობრივი იურისდიქციისგან გათავისუფლებაზე, მათ მიმართ ძალდატანების სანქციების გამოუყენებლობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი სახელმწიფოს შინაგანი სამართლის კანონებითა და წესებით.

რაც შეეხება დიპლომატიურ პრივილეგიებს, მით უმეტეს ზოგიერთ დამატებით შეღავათებსა და უპირატესობებს, რომლებიც მიმართულია დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მისი პერსონალის სამუშაოს შესამსუბუქებლად, თავდაპირველად არ ჰქონდა სამართლებრივი ხასიათი, შესაბამისად, სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულო არ იყო. მათი

მინიჭება დაფუძნებული იყო, როგორც წესი, მხოლოდ ე.წ. საერთაშორისო თავაზიანობის ნორმებზე და ატარებდა ფაკულტატურ, არა სტაბილურ ხასიათს. მაგრამ ბოლო ხანებში მითითებული განსხვავებები მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგანაც 1961 წელს ვენის კონვენციის მიღებასთან ერთად, რომელიც დიპლომატიურ ურთიერთობებს ეხება, ბევრმა რამემ, რაც უწინ საერთაშორისო თავაზიანობის მოსაზრებებით იხსნებოდა (მაგ. დიპლომატების საგადასახადო და საბაჟო პრივილეგიები), მიიღო სამართლის ნორმის ძალა და გახდა იურიდიულად სავალდებულო.

და მაინც, ზოგიერთი ავტორი იმუნიტეტს და პრივილეგიებს შორის განსხვავებას პოულობს იმაში, რომ პირველი წარმოადგენს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათი პერსონალის საქმიანობისათვის სამართლებრივი გარანტიების მხარეს, მაშინ, როცა პრივილეგიების გაჩენა დაკავშირებულია აკრედიტებული სახელმწიფოს პრესტიჟის დაცვის საკითხთან ცერემონიალური, პროტოკოლური ხასიათის საკითხებში, რომელთა რეგულირება, უმეტეს შემთხვევებში, არა სამართლებრივი იურიდიულად სავალდებულო ნორმების დახმარებით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული ჩვეულებითი წესებით ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი მიენიჭებათ შესაბამის ოფიციალურ წარმომადგენლობებს ავტომატურად, ასეთი წარმომადგენლობის დაფუძნების მომენტიდან, ან თვითონ დიპლომატიური აგენტების ჩასვლისთანავე, იმისგან დამოუკიდებლად, არსებობს თუ არა ამ საკითხზე სახელმწიფო დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი კონტრაგენტებს შორის სპეციალური შეთანხმება. სპეციალური შეთანხმებებით კი რეგულირდება ის, რაც მიღებული საჯარო საერთაშორისო სამართლის ფარგლებს სცილდება.

საერთაშორისო სამართლის მეცნიერების შემდგომი განვითარებით, უმეტესად დამკვიდრდა დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის საფუძვლების შესახებ სამი ძირითადი თეორია. მათ შორის პირველია ექსტერიტორიულობის თეორია. ეს თეორია ჩამოაყალიბა ჰუგო გროციუსმა, რომელიც თვლიდა, რომ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირი არის მისი იურისდიქციის ქვეშ, გამონაკლისები იყვნენ ელჩები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ წარმომგზავნებს, იმ დროს - აბსოლუტურ მონარქებს. იურიდიულად ისინი განიხილებოდნენ როგორც თავიანთი სუვერენის ტერიტორიაზე მყოფი, და შესაბამისად, თითქოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ მყოფი (*extra territorium*), სადაც ისინი სინამდვილეში თავიანთ ფუნქციებს ასრულებდნენ.

მეორე არის საერთაშორისო სამართლის ამ ნაწილის ცნობილი დოქტრინა - წარმომადგენლობითი ხასიათის თეორია. ის, არსებითად, ასევე გამომდინარეობს ჰუგო გროციუსის სწავლებიდან საელჩოს ხელშეუხებლობის შესახებ. მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობების პრაქტიკაში აზრი ელჩებზე, რომლებიც წარმომადგენდნენ მათი წარმომგზავნი მონარქის პიროვნების ანარეკლს, მის ალტერ ეგო-ს, გროციუსამდე მნიშვნელოვნად ადრე ჩამოყალიბდა.

მესამე თეორია, დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის საფუძვლებზე, არის ფუნქციონალური აუცილებლობის თეორია, რომელიც თავდაპირველად საფრანგეთის რევოლუციის იდეოლოგების მიერ (მონტესკიე, რუსო, ვატელემი) იყო შემუშავებული, რომელმაც ახლანდელ პერიოდში თითქმის საერთო სახალხო აღიარება ჰპოვა. ეს თეორია, როგორც ეს სათაურიდან ჩანს, გამომდინარეობს იქედან, რომ დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის საფუძველი და მოცულობა განისაზღვრება იმ ფუნქციებით, რომლებიც დიპლომატიურ წარმომადგენლობას აქვს დაკისრებული.

## §16. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების არსი; მათი ისტორიული განვითარება

დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის განსაზღვრების არსი, რომელიც დიპლომატიურ და საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში არსებობს, მდგომარეობს განსაკუთრებული შეღავათების, უფლებებისა და უპირატესობების ერთობლიობაში, რომელიც ენიჭებათ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, მათ პერსონალს და სხვა პირებს, რომლებიც, დაცვით საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობენ, ეს არის მთელი დიპლომატიური სამართლის ძირითადი ელემენტი, ცენტრალური ინსტიტუტი.

თანამედროვე სახელმწიფოების დიპლომატიურ და სახელშეკრულებო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ლაპარაკია მითითებული უფლებებისა და უპირატესობების ერთობლიობაზე, განსაზღვრულ კომპლექსზე, სადაც პრივილეგიები და იმუნიტეტი ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თუმცა, თეორიისა და ისტორიის გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ „დიპლომატიური იმუნიტეტისა“ და „დიპლომატიური პრივილეგიების“ ცნებებს შორის ცნობილ განსხვავებებზე.

პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნებისთვის ეს ეხება მათი წარმოშობის ბუნებას, ასევე მათი აუცილებელი გავლენის წყაროსა და საზღვრებს. დიპლომატიური იმუნიტეტი მთლიანობაში ყოველთვის განიხილებოდა როგორც სამართლებრივი დადგენილება, რომელიც განმტკიცებას პოულობდა თავიდან ჩვეულებებში, შემდეგ კი (შედარებით გვიან პერიოდში), საერთაშორისო სამართლის სახელშეკრულებო ნორმებში. აქედან - უსიტყვო იურიდიული ვალდებულება მიენიჭებინათ უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური აგენტებისათვის იმუნიტეტი, მით უმეტეს, განსაკუთრებული უფლება ადგილობრივი იურისდიქციისგან გათავისუფლებაზე, მათ მიმართ ძალდატანების სანქციების გამოუყენებლობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი სახელმწიფოს შინაგანი სამართლის კანონებითა და წესებით.

რაც შეეხება დიპლომატიურ პრივილეგიებს, მით უმეტეს ზოგიერთ დამატებით შეღავათებსა და უპირატესობებს, რომლებიც მიმართულია დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მისი პერსონალის სამუშაოს შესამსუბუქებლად, თავდაპირველად არ ჰქონდა სამართლებრივი ხასიათი, შესაბამისად, სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულო არ იყო. მათი მინიჭება დაფუძნებული იყო, როგორც წესი, მხოლოდ ე.წ. საერთაშორისო თავაზიანობის ნორმებზე და ატარებდა ფაკულტატურ, არა სტაბილურ ხასიათს. მაგრამ ბოლო ხანებში მითითებული განსხვავებები მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგანაც 1961 წელს ვენის კონვენციის მიღებასთან ერთად, რომელიც დიპლომატიურ ურთიერთობებს ეხება, ბევრმა რამემ, რაც უწინ საერთაშორისო

თავაზიანობის მოსაზრებებით იხსნებოდა (მაგ. დიპლომატიების საგადასახადო და საბაჟო პრივილეგიები), მიიღო სამართლის ნორმის ძალა და გახდა იურიდიულად სავალდებულო.

და მაინც, ზოგიერთი ავტორი იმუნიტეტს და პრივილეგიებს შორის განსხვავებას პოულობს იმაში, რომ პირველი წარმოადგენს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათი პერსონალის საქმიანობისათვის სამართლებრივი გარანტიების მხარეს, მაშინ, როცა პრივილეგიების გაჩენა დაკავშირებულია აკრედიტებული სახელმწიფოს პრესტიჟის დაცვის საკითხთან ცერემონიალური, პროტოკოლური ხასიათის საკითხებში, რომელთა რეგულირება, უმეტეს შემთხვევებში, არა სამართლებრივი იურიდიულად სავალდებულო ნორმების დახმარებით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული ჩვეულებითი წესებით ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი მიენიჭებათ შესაბამის ოფიციალურ წარმომადგენლობებს ავტომატურად, ასეთი წარმომადგენლობის დაფუძნების მომენტიდან, ან თვითონ დიპლომატიური აგენტების ჩასვლისთანავე, იმისგან დამოუკიდებლად, არსებობს თუ არა ამ საკითხზე სახელმწიფო დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი კონტრაგენტებს შორის სპეციალური შეთანხმება. სპეციალური შეთანხმებებით კი რეგულირდება ის, რაც მიღებული საჯარო საერთაშორისო სამართლის ფარგლებს სცილდება.

პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს პირველად ვხვდებით სახელმწიფოთა კომუნიკაციის ადრეულ ეტაპზე, როგორც კონფლიქტის არაძალისმიერი გზით მოგვარების მცდელობას. დიპლომატიის წარმოშობა ყოველთვის ასოცირდებოდა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭებასთან.

იმუნიტეტებისა და პრივილეგიების ინსტიტუტი პირველად გვხვდება როგორც ავსტრალიელ აბორიგენებში, ისე მანუს კანონებშიც. მანუს კანონები უძველესი ინდური კოდიფიკაციებია, რომლებიც ქრ. შ.-მდე 1500 წლით თარიღდება. იგი განსაზღვრავდა სახელმწიფოში ჩამოსული სტუმრის უფლებებს.

პირველი წერილობითი წყაროები, რომლებიც იმუნიტეტებისა და პრივილეგიების თემაზე ანტიკურ ახლო აღმოსავლეთში გვხვდება, არის მიმოწერა ხათუსილი III-სა და რამზეს III-ს შორის.

ძველ ინდოეთში არ არსებობდა მუდმივი საელჩოები. მათ ნაცვლად გვხვდება შეტყობინების გადამტანთა და მოლაპარაკების მწარმოებელთა სავალდებულო შემწევა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ანტიკურ საბერძნეთში საერთაშორისო ურთიერთობების უძველესი ფორმა ეფუძნებოდა პროქსენისა და სტუმართმოყვარეობის პრინციპს. იგი უფრო მუდმივი საკონსულო და საინფორმაციო წარმომადგენლობის სახე იყო, ვიდრე დიპლომატიური. პროქსენი წარმოადგენდა სხვა ქალაქ-სახელმწიფოს, გვარს, ტომს ან სახელმწიფოს თავისაში. პროქსენები სარგებლობდნენ ვაჭრობასთან, გადასახადებთან და სამართალთან დაკავშირებული უფლებებითა და პრივილეგიებით, ისევე, როგორც სხვა საპატიო სარგებლებით. პროქსენებს იმ

ქალაქის მიმართ, რომელშიც პრივილეგიებით სარგებლობდა, ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულებებიც. იგი თავის ქალაქში წარმოადგენდა იმ ქალაქის მხარდამჭერს, რომლის სტუმართმოყვარეობითაც სარგებლობდა. დიპლომატები ჯერ პროქსენებთან ამყარებდნენ კონტაქტს და შემდეგ მათი დახმარებით იწყებდნენ მოლაპარაკებას. პროქსენის ინსტიტუტი იქცა შემდგომი საერთაშორისო ურთერთობების საფუძვლად ანტიკურ მსოფლიოში.

მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დიპლომატია ქრ. შ.-მდე IV-III საუკუნეებში, როდესაც რომი იბრძოდა იტალიაში ჰეგემონიისათვის, და ქრ. შ.-მდე III-II საუკუნეებში, პუნიკური ომების დროს. ანტიკური მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად არც რომი ფლობდა მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. დიპლომატიურ ცხოვრებაში უდიდეს როლს ლეგატები თამაშობდნენ, რომლებიც სპეციალური პრივილეგიებით სარგებლობდნენ. წარმომადგენლის მკვლელობა ან შეურაცხყოფა აღიქმებოდა, როგორც ომის მოტივი. რომში ჩამოყალიბებული ჩვეულების თანახმად, წარმომადგენლობას უსიტყვოდ იღებდნენ. იმპერიის ხანაში (ქრ. შ.-მდე 27 წ. - ქრ. შ.-დან 476 წ.) იმპერატორი თავად ნიშნავდა წარმომადგენლებს.

აღორძინების ხანაში დიპლომატიური სისტემა ყალიბდებოდა იტალიური ქალაქების შორის. სწორედ ამ პერიოდში გვხვდება პირველი ორგანიზებული მუდმივი წარმომადგენლობები, მათი არქივები და დოკუმენტები და თანამედროვე დიპლომატიისათვის დამახასიათებელი სხვა ელემენტები. ამ სისტემის ძირითადი ელემენტი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ინსტიტუტი იყო. დიპლომატებს სჭირდებოდა დაცვა, რადგან ისინი ასრულებდნენ სპეციფიკურ სამუშაოს. მას შემდეგ, რაც ისინი აღიქმებოდნენ, როგორც ჯაშუშები, ადგილობრივ მკვიდრთ აღარ ჰქონდათ უფლება, ესაუბრათ შიდა სახელმწიფოებრივ საქმეებზე უცხოელ დიპლომატებთან. დიპლომატები არ ფლობდნენ არანაირ საკუთრებას მასპინძელ სახელმწიფოში. დიპლომატს ასევე ეკრძალებოდა თავისი მეუღლის წაყვანა ადგლსამყოფელ ქვეყანაში.

აღორძინების ხანი შემდგომ პერიოდში მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების ინსტიტუტი სწრაფად ვითარდება. პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი დაინიშნა საფრანგეთში 1626 წელს. სახელმწიფოები უფრო რეგულარულ და კარგად ორგანიზებულ ურთერთობებს ამყარებდნენ ერთმანეთთან დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით. საკმაოდ ვრცელი დიპლომატიური პრაქტიკა უძღოდა წინ ვენის 1815 წლის კონგრესს, რომელზეც შეიქმნა თანამედროვე დიპლომატიის ინსტიტუციონალური ჩარჩები, რომლებიც არსებითად არც კი შეცვლილა დღემდე. ვენის კონგრესზე განისაზღვრა დიპლომატიური წარმომადგენლობის კლასები. ასევე განისაზღვრა დიპლომატიური უფროს-უმცროსობა, წოდებები, რომლებიც ენიჭებოდათ დიპლომატებს კლასების მიხედვით და თარიღი, როდესაც წარმომადგენლობის წევრს უნდა წარედგინა ნდობის სიგელი. მთლიანობაში კონგრესზე მოხდა ჩვეულებითი დიპლომატიური სამართლის კოდიფიცირება. არაერთი ინსტიტუტი ვენის კონგრესიდან იქნა გათვალისწინებული ვენის 1961 წლის კონვენციით დიპლომატიური ურთერთობების შესახებ, რომელიც თანამედროვე დიპლომატიური სამართლის ძირითად წყაროს

წარმოადგენს.

სულ რამდენიმე მცდელობა იყო დიპლომატიური სამართლის პრინციპების კოდიფიცირებისა. პირველი მცდელობები თარიღდება 1815 (ვენის კონგრესი) და 1920 (ერთა ლიგის შეკრება) წლებით. ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც წინ უსწრებენ ვენის 1961 წლის კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, არის ჰავანას 1928 წლის კონვენცია დიპლომატიური თანამდებობის პირების შესახებ და ჰარვარდის 1932 წლის კვლევითი ვერსია კონვენციისა დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ.

## §17. დიპლომატიური წარმომადგენლობის იმუნიტეტები და პრივილეგიები

იმპერატიულ ხასიათს ატარებს საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპები და ნორმები, რომლებიც შეეხება შენობა-ნაგებობების ხელშეუხებლობას, იურისდიქციისაგან იმუნიტეტს, დიპლომატის პირად ხელშეუხებლობას, ხოლო ყველა დანარჩენი - დისპოზიციურ ხასიათს.

პირველ რიგში კონვენცია აძლიერებს ნორმას, რომლის ძალით, იმუნიტეტისგან შეიძლება უარი თქვას არა თვით დიპლომატიურმა აგენტებმა, არამედ მთავრადიტივებელმა სახელმწიფომ. (32-ე მუხლი, პ. 1.) ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ იმუნიტეტი მიენიჭება მთავრადიტივებელ სახელმწიფოს მთლიანობაში და არა საელჩოს თანამშრომლებს.

ამგვარად, დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი იყოფა ორ ჯგუფად:

1. მთლიანად წარმომადგენლობის, როგორც სახელმწიფო ორგანოს პრივილეგიები და იმუნიტეტი;
2. წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის პრივილეგიები და იმუნიტეტი.

კონვენციის 22-ე მუხლი ითვალისწინებს არა მარტო წარმომადგენლობების შენობის ხელშეუხებლობას, არამედ, ასევე მათი ავეჯის, ნივთების, წარმომადგენლობის გადაადგილების საშუალებებისა და სხვა ქონების ხელშეუხებლობას.

ვენის კონვენციამ მიიღო ფორმულა, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლებას „წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობის გარეშე“ არ შეუძლია დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში შევიდეს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ შენობების ხელშეუხებლობა არ შეიძლება წარმომადგენლობის ისეთი მოქმედების გასამართლებლად იქნას გამოყენებული, რომელმაც შეიძლება, ობიექტური მიზეზების გამო, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩარევა გამოიწვიოს.

წარმომადგენლობის პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მეორე ძირითადი სახეა მისი არქივებისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა. ისევე, როგორც დიპლომატიური შენობების ხელშეუხებლობა, ესეც აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და რაიმე გამონაკლისს არ შეიცავს.

ისევე, როგორც პირველი, დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის ეს სახეც არის საჯარო საერთაშორისო სამართლის ნაწილი.

განსხვავებული მდგომარეობა არსებობს წარმომადგენლობების პრივილეგიების ისეთი სახის მიმართ, როგორცაა საგადასახადო შეღავათები და უპირატესობები (არცთუ ისე იშვიათად დოქტრინაში ფისკალურ იმუნიტეტად წოდებული). დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, 1961 წლის ვენის

კონვენციაში მას პირველად მიეცა ფორმულირება, როგორც საჯარო საერთაშორისო სამართლის ნორმას. 23-ე მუხლში ფორმულირებულია: „მაკრედიტებელი სახელმწიფო და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდებიან ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული თუ მუნიციპალური გადასახადებისაგან, წარმომადგენლობის საკუთარი თუ დაქირავებული ნაგებობისათვის მოსაკრებლებისა თუ ბაჟისაგან, რომლებიც კონკრეტული სახეობის მომსახურების გადასახდელია“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა მსოფლიო თანამეგობრობის მასშტაბისაა, იგი მაინც არ იქცა საყოველთაოდ სავალდებულო მოთხოვნისადაც, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ადგილმდებარე სახელმწიფოს გადასახადებისგან მთლიანად გაათავისუფლებდა, არამედ იძლევა გარანტიას მხოლოდ ნაწილობრივ გათავისუფლებაზე, არსებული სამართლის მდგომარეობით. ამით აიხსნება, რომ სახელმწიფოების უმეტესობა, უცხოეთის საელჩოებისა და საკონსულოებისათვის საგადასახადო პრივილეგიების მინიჭებისას, აღნიშნულს თანაზიარობის საფუძველზე ახორციელებს.

საჯარო საერთაშორისო სამართალში არსებობს საბაჟო პრივილეგიებიც, რომლებიც მიენიჭებათ უცხოეთის საელჩოებს, მისიებსა და საკონსულოებს. 1961 წლის ვენის კონვენციის „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ძალაში შესვლამდე, უცხოეთის წარმომადგენლობები თავისუფლდებოდნენ საბაჟო გადასახადებისგან საზღვარზე იმ ნივთების შეტანა-გატანაზე, რომლებიც წარმომადგენლობის საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ეს კეთდებოდა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებით კი არა, არამედ საერთაშორისო თავაზიანობის ნორმებიდან გამომდინარე, თუმცა სახელმწიფოთა პრაქტიკა, ამ მხრივ, საკმაოდ მდგრადი იყო. ეს და სხვა შეღავათები და უფლებამოსილებები, როგორც ყოველთვის, საელჩოსა და მისიის სამოსამსახურეო საქმიანობასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული და მათი მინიჭება დამოკიდებულია როგორც წესებზე, რომლებიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მოცემულ საკითხზე მოქმედებს, ასევე - თანაზიარობის პირობების დაცვასთან.

ახლა განვიხილოთ მეორე ჯგუფი, რომელშიც შედის წარმომადგენლობების დიპლომატიური პერსონალის პრივილეგიები და იმუნიტეტები.

როგორც პირველ ჯგუფში, აქაც არსებობს რამდენიმე სახის პრივილეგიები და იმუნიტეტი, მაგრამ დიპლომატიურ სამართალის ამ ჯგუფში ფუნდამენტური პრინციპი და საფუძველი არის სახელმწიფოთა დიპლომატიური აგენტების პირადი ხელშეუხებლობა. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ დიპლომატები არ შეიძლება რაიმე ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნენ. მათ აქვთ სისხლის სამართლებრივი იურისდიქციისგან აბსოლუტური იმუნიტეტი. ამ საკითხში მდგომარეობს ძირითადი სხვაობა დიპლომატის პირად ხელშეუხებლობასა და ყველასათვის ცნობილ საკონსტიტუციო პრინციპის, პიროვნების ხელშეუხებლობას შორის, რომლის დროსაც დაკავება და დაპატიმრება შესაძლებელია კანონის მკაცრი დაცვით.

აუცილებელია ასევე აღვნიშნოთ, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო უფლებამოსილია განსაზღვრულ პირობებში გამოიყენოს თავისი ინტერესების

დაცვის ისეთი საშუალებები, როგორცაა უცხოელი დიპლომატის დროებითი დაკავება დაპატიმრების გარეშე იმისათვის, რომ აღკვეთილ ან ლიკვიდირებულ იქნას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მის მიერ მზადებადი ან უკვე ჩადენილი, კანონების ან წესების სერიოზული დარღვევები.

ამგვარად, დიპლომატის პირადი ხელშეუხებლობა, სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბსოლუტურ ხასიათს ატარებს, ზემოხსენებულ ასპექტში არ არის აბსოლუტური.

პირველი კანონი უცხოელი დიპლომატების დაცვის შესახებ გამოიცა ამერიკაში 1790 წელს, რომელიც ლონდონში, 1709 წლის 29 აპრილს, რუს ელჩთან ა.ა. მატვეევთან ინციდენტის შემდეგ დედოფალი ანნას ინგლისური აქტის მიხედვით იყო შედგენილი. 1964 წლის 27 აგვისტოს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით, სასტიკად ისჯება: სახელმწიფოს მეთაურებზე, მინისტრებზე, ელჩებზე ან სხვა ოფიციალურ პირებზე თავდასხმა, სხეულის დაზიანება, გატაცება ან სხვა ძალადობის აქტები. 1964 წლის კანონით გათვალისწინებულია შემდეგი სანქციები: ჯარიმა 5000 დოლარი ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ორივე ერთდროულად, ამ კანონით, დანაშაულის სიმძიმის პროპორციულად გათვალისწინებული იყო უფრო მძიმე სანქციები.

ბოლო წლებში მიღებული კანონები ოფიციალური პირების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე ითვალისწინებს უფრო მკაცრ ზომებს. 1972 წლის 29 ოქტომბერს ა.შ.შ.-ს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომლის თანახმად, უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელზე ნებისმიერი თავდასხმა, ა.შ.შ.-ს მიერ განიხილება, როგორც საერთო ფედერალური ხასიათის მძიმე დანაშაული. ამ კანონით დასჯის ზომა დადგენილია სიკვდილამდე პატიმრობითაც კი.

მოცემული პრობლემა განიხილება სამ ასპექტში: დიპლომატებზე თავდასხმის შეწყვეტის, დიპლომატიური აგენტების დარღვეული უფლებებისა და პრივილეგიების და იმ პირების დასჯის საკითხი, რომლებიც დამნაშავენი არიან ასეთი დანაშაულებრივი აქტების ჩადენაში.

## §18. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დროშითა და გერბით სარგებლობის უფლება

დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაზე შეიძლება გამოვიდებულ იყოს მაკრედიტებელი სახელმწიფოს დროშა და ემბლემა. დროშა და ემბლემა შეიძლება გამოვიდოს წარმომადგენლობის მეთაურის მიმოსვლის საშუალებებზეც (ვენის კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად).

მისი სახელმწიფოს დროშა და ასევე გერბი შეიძლება გამოვიდოს წარმომადგენლობის სატრანსპორტო საშუალებაზე ან დამაგრდეს შენობაზე, რომელიც უჭირავს დიპლომატიურ წარმომადგენლობას. ტრანსპორტის ცნება ფართოდ უნდა იქნას განმარტებული; მასში მოიაზრება: პირადი გემები, თვითნფრინავები, მოტოციკლები და სხვ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წეს-ჩვეულებებს.

აღნიშნული პრივილეგია XIX საუკუნემდე დამოუკიდებელი სახით არ გვხვდებოდა. ძველ პარიზში იყო ჩვეულება, რომლის თანახმადაც დროშა მხოლოდ მაშინ გამოვიდებოდა, როდესაც მაკრედიტებელი სახელმწიფოს მოქააქეებს განსაკუთრებული საშიშროება ემუქრებოდათ, როგორც ეს მოხდა 1970 წელს. იმ შემთხვევაში, როდესაც დროშა იყო გამოვიდებული ადგილობრივი ჩვეულებისა და შეთანხმების საფუძველზე, დროშის დაცვა ადგილსამყოფელი სახელმწიფოსთვის ვალდებულების ხასიათს იძენდა. დროშის სიმბოლური ხასიათი პროტესტანტების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც დროშის შეურაცხყოფისათვის მთავრობებს ბოდიში მოუხდიათ, როგორც ეს იყო ჩეხეთის მიერ ამერიკისათვის მოხდილი ბოდიში.

ვენის კონვენციის მე-20 მუხლის საფუძველს წარმოადგენს ჩეხოსლივაკიის მთავრობის შემოთავაზება. ყოფილი ჩვეულებითი სამართლით დროშის გამოფენა თავის მხრივ წარმოშობდა ადგილობრივი სახელმწიფოს კანონების დაცვის ვალდებულებას. თუმცა დროთა განმავლობაში მიენიჭა ტექნიკური ხასიათი.

## §19. არქივებისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა

„დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, „წარმომადგენლობის არქივები და დოკუმენტები ხელშეუხებელია ნებისმიერ დროს და ადგილსამყოფელის მიუხედავად“.

ტერმინ „არქივებისა და დოკუმენტები“ დეფინიცია კონვენციაში არ გვხვდება. არქივებისა და დოკუმენტების ხელშეუვალობა არ არის მათი იდენტიფიცირებისთვის გამოსადეგი პირობა. აღსანიშნავია, რომ მათი იდენტიფიცირების საკითხი არ დგება, თუ ისინი წარმომადგენლობის კარ-მიდამოს გარეთ იმყოფება (განსხვავებით დიპლომატიური ფოსტისაგან). ნათელია, რომ კონვენციის ავტორები შეთანხმდნენ, მიეცათ მკითხველისათვის ფართო ინტერპრეტაციის საშუალება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „დოკუმენტების“ ხსენება ნორმის დისპოზიციაში. „დოკუმენტებს“ შეიძლება წარმოადგენდეს მოლაპარაკების ამსახველი დოკუმენტები ან მემორანდუმები, რომლებიც ცალსახად არ განეკუთვნება არქივებს. „საკონსულო ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის 1(1)(k) მუხლის თანახმად, „საკონსულო არქივები გულისხმობს მთელ ქალაქებს, დოკუმენტებს, კორესპონდენციებს, წიგნებს, ფილმებს, მაგნიტოფონის ჩანაწერ ფირებს და საკონსულო დაწესებულების რეესტრებს შიფრებთან და კოდებთან, კარტოთეკებთან და შესაბამის საავიჯო საგნებთან ერთად, რომლებიც გათვალისწინებულია მათ შესანახად“. პრაქტიკაში აღნიშნული განმარტება ანალოგიის წესით გამოიყენება „დიპლომატიურ არქივებთან“ მიმართებითაც.

წარმომადგენლობის კარ-მიდამოში განთავსებული დიპლომატიური არქივებისა და დოკუმენტებისა ხელშეუვალობა გამომდინარეობს ისევ და ისევ კარ-მიდამოს ხელშეუვალობიდან. იგივე ითქმის იმ არქივებისა და დოკუმენტების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე, რომლებიც გადააქვთ დიპლომატიური ფოსტისა თუ კურიერის მეშვეობით. მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაისვა საკითხი სასამართლოებისა და სახელმწიფოების მიერ წარმომადგენლობის კარ-მიდამოს გარეთ არსებული დოკუმენტებისა და რთულად იდენტიფიცირებადი არქივების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. მხოლოდ კონვენციის 24-ე მუხლმა გასცა პასუხი დასმულ კითხვას.

## §20. დიპლომატიური ფოსტა და ურთერთობების თავისუფლება

დიპლომატიური ფოსტა ხელშეუხებელია და მისი დაკავება ან გასინჯვა დაუშვებელია. ამიტომ დიპლომატიური ფოსტის მქონე ყველა ყუთს ან ტომარას უნდა ჰქონდეს კარგად გასარჩევი ნიშანი. ასევე ხელშეუხებელია დიპლომატიური შიკრიკი. 1963 წლის ვენის კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით დიპლომატიური ფოსტის გახსნა ან შეყოვნება არ შეიძლება. დიპლომატიური ფოსტის ყველა დასტას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მათ ხასიათს და მათში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისათვის. დიპლომატიურ კურიერს, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტები მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას იცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფო, მისი პიროვნება ხელშეუხებელია და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება რაიმე ფორმით. შეიძლება დაინიშნოს *ad hoc* სპეციალური დიპ კურიერი რომლის იმუნიტეტი წყდება მაშინვე, როგორც კი ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ ჩააბარებს დავალებულ დიპლომატიურ ფოსტას. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება მიენდოს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს, რომელიც მიფრინავს აეროპორტში, სადაც ჩაფრენა ნებადართულია. მას უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით, მაგრამ იგი დიპლომატიურ კურიერად არ ჩაითვლება. წარმომადგენლობას შეუძლია აეროპორტში გაგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ და დაუბრკოლებლად ჩაიბარებს თვითმფრინავის მეთაურისაგან დიპლომატიურ ფოსტას.

იმისათვის რომ, დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ შეასულოს თავისი მისია, საჭიროა, რომ მას მიეცეს კომინიკაციების თავისუფლება. ქვეყნების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ კომუნიკაციის თავისუფლება - კარგად გამყარებულ ჩვეულებითი სამართალს წარმოადგენს. გამგზავნი სახელმწიფო ცდილობს დაარეგულიროს დიპლომატიურ წარმომადგენლების უფლება, თავისუფლად გაგზავნონ და მიიღონ ბარგი და თავისი სურვილის მიხედვით, დაუბრკოლებლად ისარგებლონ დიპლომატიური კურიერის მომსახურებით. დიპლომატიური წარმომადგენლობის ფოსტასა და გზავნილებს, რაიმე განსაკუთრებული ნიშანი უნდა ჰქონდეთ, რათა ადვილი იყოს მათი გარჩევა ადგლსამყოფელ სახელმწიფოში შემავალი სხვა წერილებისა და ამანათებისგან. პირველად კომუნიკაციის თავისუფებაზე ლაპარაკი იყოს ჰარვარდის 1932 წლის კონვენციის პროექტში, რომლის 14(1) მუხლი

მიუთითებდა, რომ დიპლომატიურ წარმომადგენლებს არ უნდა შეექმნათ საფრთხე და თვისუფლად ისარგებლონ კურიერის მომსახურეობით, ტელეგრაფით, რადიოთი, ტელეფონით და ა.შ. ვენის 1961 წლის კონვენციაში ეს იდეა უფრო გამყარებული და მოიცავს ყოველი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლის უფლებას, იყოლიოს დიპლომატიური შიკრიკები, ჰქონდეს სპეციალური კოდური აღნიშვნა მიმოწერასა და ამანათებზე. წარმომადგენლობის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია. ოფიციალურ კორესპონდენციად იგულისხმება მთელი ის კორესპონდენცია, რომელიც წარმომადგენლობას და მის ფუნქციებს ეხება.

## §21. დიპლომატიური კურიერის პრივილეგიები და იმუნიტეტები

„დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის თანახმად, დიპლომატიური პოსტა და მისი იმუნიტეტი როგორც ადგილსამყოფელ (27-ე მუხლი), ისე ტრანზიტორ სახელმწიფოში (მე-40 მუხლი) არ არის დამოკიდებული კურიერის იმუნიტეტებსა და პრივილეგიებზე. ის სახელმწიფოები, რომლებიც განსკაუთრებულ ყურადღებას უთმობენ დიპლომატიურ კომუნიკაციას, ქირობენ პროფესიონალ კურიერებს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთში კურიერები შეირჩევიან დედოფლის მიმოწერის სამსახურიდან. არათანმხლები ფოსტა გაცილებით უფრო უსაფრთხოა, ვიდრე საჯარო საფოსტო დაწესებულებით გაგზავნილი ოფიციალური კორესპონდენცია, რადგან უკანასკნელის დროს ხდება ფოსტის გახსნა და მისი იდენტიფიცირება. მთლიანობაში, დიპლომატიური კურიერის ფუნქციაა, უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლის განხორციელება ფოსტაზე ზედამხედველობის გზით.

კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად, დიპლომატიურ კურიერს, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტები მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას იცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფო, მისი პიროვნება ხელშეუხებელია და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება რაიმე ფორმით.

მააკრედიტებელ სახელმწიფოს ან წარმომადგენლობას შეუძლიათ *ad hoc* დანიშნონ სპეციალური დიპლომატიური კურიერი. ასეთ შემთხვევაში ასევე გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებანი, ოღონდ იმ გამონაკლისით, რომ მასში მოხსენიებული იმუნიტეტები წყდება მაშინვე, როგორც კი ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ ჩააბარებს დავალებულ დიპლომატიურ ფოსტას.

დიპლომატიური ფოსტა შეიძლება მიენდოს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაურს, რომელიც მიფრინავს აეროპორტში, სადაც ჩაფრენა ნებადართულია. მეთაურს თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით, მაგრამ იგი დიპლომატიურ კურიერად არ ჩაითვლება. წარმომადგენლობას შეუძლია აეროპორტში გაგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ და დაუბრკოლებლად ჩაიბარებს თვითმფრინავის მეთაურისაგან დიპლომატიურ ფოსტას.

## §22. იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან

დიპლომატიურ აგენტს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი, აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა 1) აღძრულია სანივთო სარჩელი, რომელიც შეეხება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას, თუ პირი მთავრედიტირებელი სახელმწიფოს სახელით არ ფლობს მას წარმომადგენლობის მიზნებისთვის, 2) სარჩელი შეეხება მემკვიდრეობას, რომლის მიმართაც აგენტი გვევლინება ანდერძის აღმსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების მზრუნველად ან საანდერძო დანაკისრის მიმღებად, როგორც კერძო პირი, 3) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება ყოველგვარ კომერციულ და პროფესიულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი ეწევა თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. იგი (ასევე მისი ოჯახის წევრები) ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ (პრაქტიკაში მაინც ხდება სამართლიანობის დაცვისთვის). მის მიმართ არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი სააღმსრულებლო ღონისძიებანი, გარდა ზემოთაღნიშნული გამონაკლისებისა, და მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ დაარღვევს მის პიროვნების ან რეზიდენციის ხელშეუხებლობას. დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მთავრედიტირებელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან. ამ იურისდიქციის, მიმართ იმუნიტეტზე შეუძლია უარი თქვას მთავრედიტირებელმა სახელმწიფომ, რომელიც ყოველთვის გარკვეულად უნდა იყოს გამოხატული. დიპლომატიური აგენტი თავისუფალია ყველა პირადი და ქონებრივი, სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისგან, მოსაკრებელისა და ბაჟისგან, გარდა არაპირდაპირი გადასახადებისა, რომლებიც შედის საქონლის ან მომსახურების ფასში, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებულ კერძო უძრავი ქონების მოსაკრებლებისა და გადასახადებისგან, რომელსაც იგი არ ფლობს წარმომადგენლობის მიზნებისთვის, სამემკვიდრეო გადასახადისა და ბაჟისგან, სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟისგან. ასევე გათავისუფლებულნი არიან შრომითი და სახელმწიფო ბეგარისგან, მაგრამ ვალდებულნი არიან გადაიხადონ შენახვის, გადაზიდვის და ამგვარი მომსახურების მოსაკრებლები. მისი პირადი ბარგი თავისუფლდება შემოწმებისგან. მაგრამ, თუ არსებობს ეჭვი, რომ იგი შეიცავს საგნებს, რომლებზეც არ ვრცელდება შეუვალობა, ან საგნებს, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია კანონით შემოწმება უნდა განხორციელდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

## §23. მოწმის ჩვენების მიცემისაგან გათავისუფლება

„დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, „დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ“. მოწმის ჩვენებისაგან გათავისუფლება დიპლომატიური აგენტის ერთ-ერთი იმუნიტეტია. იმ შემთხვევაშიც თუ დიპლომატიური აგენტი დანაშაულის თვითმხილველი იყო არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია წამოჭრას მისი პასუხისმგებლობის საკითხი მოწმის ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო. მართალია დიპლომატი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება, მაგრამ მას შეუძლია მოწმედ გამოსვლა თუ თვითონ მოისურვებს ამას, ე.ი. საქმე გვაქვს თავისუფალ ნებასთან და არა იძულებასთან.

## §24. იურისდიქციისაგან იმუნიტეტზე უარის თქმა (დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნა)

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მაკრედიტირებელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან. იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტების და მისი ოჯახის წევრების იმუნიტეტზე შეუძლია უარი თქვას მაკრედიტირებელმა სახელმწიფომ. უარი ყოველთვის გარვეულად უნდა იყოს გამოხატული, თუ დიპლომატიური აგენტი მისი ოჯახის წევრი საქმეს აღძრავს, მას უფლება აღარ აქვს დაიმოწმოს იურისდიქციის იმუნიტეტი შემხვედრო სარჩელის მიმართ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითად სარჩელთან. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმის მიმართ იურისდიქციის იმუნიტეტზე უარის თქმა არ ნიშნავს გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ უარის თქმას, რომლისთვისაც საგანგებო უარია საჭირო.

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად, საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მოსამსახურისა და მისი ოჯახის წევრებისთვის დიპლომატიური იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

იურისდიქციისაგან იმუნიტეტზე უარის თქმის მაგალითს ვხვდებით საქართველოსთან მიმართებითაც. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილემ აშშ-ში, გიორგი მახარაძემ, რომელიც 1997 წლის 3 იანვარს გვიან ღამით გადაადგილდებოდა ავტომანქანით ვაშინგტონის შტატში, მახარაძეს შეემთხვა უბედური შემთხვევა, რომლითაც დაზიანდა ოთხი ადამიანი, ხოლო დაიღუპა თექვსმეტი წლის გოგონა. მახარაძეს სისხლში ალკოჰოლის დიდი ოდენობა დაუდგინდა, თუმცა მასზე, როგორც დიპლომატზე, ვრცელდებოდა სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან იმუნიტეტი. აშშ-ის მთავრობამ საქართველოს სთხოვა მახარაძისათვის იმუნიტეტი მოეხსნა, რაზეც თანხმობა მიიღო. გიორგი მახარაძე გაასამართლა აშშ-ის სასამართლომ. მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან ოცდამდე წლამდე. მან პირველი სამი წელი სასჯელი მოიხადა ჩრდილოეთ კაროლინის ციხეში, ხოლო 2000 წელს ექსტრადირებულ იქნა სამშობლოში, სადაც 2002 წლამდე იხდიდა სასჯელს.

## §25. დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრების სამართლებრივი სტატუსი

ვენის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ არ იძლევა „დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის“ ლეგალურ დეფინიციას და არც ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც შეიძლება მოიაზრებოდნენ ამ ცნების ქვეშ. როგორც წესი, დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის სტატუსს თავად მაკრედიტებული სახელმწიფო ანიჭებს სათანადო პირს.

საქართველოს კანონით „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“, დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის სტატუსი აქვს დიპლომატიური აგენტის მეუღლეს, არასრულწლოვან შვილს, არასრულწლოვან გერს, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირსა და მხარდაჭერის მიმღებს.

კონვენციის თანახმად, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომელთანაც არსებობს მორიგება, უნდა ემცნოს დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის ჩამოსვლა ან სამუდამო წასვლა და სათანადო შემთხვევაში ისიც, რომ ესა თუ ის პირი დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი ხდება ან აღარ არის მისი ოჯახის წევრი.

თუ დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე არ არის მასზე გავრცელდება იგივე იმუნიტეტები და პრივილეგიები, რაც დიპლომატიურ აგენტზე ვრცელდება.

დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ჯეროვანი პატივისცემით ექცეოდეს მას და ყველაფერს ღონობდეს იმისათვის, რომ თავიდან ააცილოს მისი პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა.

დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი. მას აქვს აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის იმუნიტეტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ა) აღძრულია სანივთო სარჩელი, რომელიც შეეხება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას, თუ იგი მაკრედიტებული სახელმწიფოს სახელით არ ფლობს ამ ქონებას წარმომადგენლობის მიზნებისათვის; ბ) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება მემკვიდრეობას, რომლის მიმართაც დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი გვევლინება ანდერძის აღმსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების მზრუნველად ან საანდერძო დანაკისრის მიმღებად, როგორც კერძო პირი, და არა მაკრედიტებული სახელმწიფოს სახელით; გ) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება ყოველგვარ პროფესიულ და კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ ეწევა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება

როგორც მოწმემ.

დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის მიმართ არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი საადმსრულებლო ღონისძიებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ექვემდებარება ზემოთ განხილულ "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებს, და მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი არ დაარღვევს მისი პიროვნების ან მისი რეზიდენციის ხელშეუხებლობას.

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მაკრედიტებელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან.

იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის მიმართ, შეუძლია უარი თქვას მაკრედიტებელმა სახელმწიფომ. უარი ყოველთვის გარკვეულად უნდა იყოს გამოხატული. თუ დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი საქმეს აღძრავს, - მას უფლება აღარა აქვს დაიმოწმოს იურისდიქციის იმუნიტეტი შემხვედრი სარჩელის მიმართ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითად სარჩელთან. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მიმართ იურისდიქციის იმუნიტეტზე უარის თქმა არ ნიშნავს გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ უარის თქმას, რისთვისაც საჭიროა საგანგებო უარი.

დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი თავისუფალია ყველა პირადი და ქონებრივი, სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, გარდა: ა) არაპირდაპირი გადასახადებისა, რომლებიც შედის საქონლის ან მომსახურების ფასში; ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კერძო უძრავი ქონების მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, თუ იგი მას არ ფლობს მაკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის; გ) სამემკვიდრეო გადასახადებისა და ბაჟისა; დ) იმ კერძო შემოსავლის მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, რომლის წყარო ადგილსამყოფელ სახელმწიფოშია, აგრეთვე ადგილსამყოფელ სახელმწიფოს კომერციულ საწარმოებში ჩადებულ კაპიტალდაბანდებაზე გადასახადებისა; ე) მოსაკრებლებისა, რომლებსაც ახდევინებენ კონკრეტული სახეობის მომსახურებისათვის; ვ) სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟისა, იპოთეკური მოსაკრებლებისა და საგერბო მოსაკრებლისა, გათვალისწინებული შეუვალობით.

ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა დიპლომატიური აგენტები გაათავისუფლოს ყოველგვარი შრომითი და სახელმწიფო ბეგარისაგან, მათი ხასიათის მიუხედავად, აგრეთვე სამხედრო ბეგარისაგან, როგორც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და ბინის ჯარის სადგომად გადაცემა.

თუ დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი მგზავრობს მესამე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუ ასეთი რამ საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე და მიემგზავრება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ეს მესამე სახელმწიფო მას ანიჭებს ხელშეუხებლობას და ისეთ სხვა იმუნიტეტებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი მგზავრობის ან უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, ხელი უნდა შეუწყოს დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის, მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება მალე გამგზავრებას მან, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მისცეს სატრანსპორტო საშუალებანი გასამგზავრებლად და ქონების გადასატანად.

**§26. დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მომსახურე პერსონალის, დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელთა ოჯახის წევრების პრივილეგიები და იმუნიტეტები**

დიპლომატიურ აგენტთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, თუ ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან, იგივე პრივილეგიები და იმუნიტეტები აქვთ, რაც დიპლომატიურ აგენტს.

წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს, თუ ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან და მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, იგივე პრივილეგიები და იმუნიტეტები აქვთ, რაც დიპლომატიურ აგენტს, იმ გამონაკლისით, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტი არ ვრცელდება მოქმედებაზე, რომელიც მათი მოვალეობის შესრულების დროს არ არის ჩადენილი. ადგილსამყოფელი სახელმწიფო იქ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, ნებას იძლევა შემოზიდონ და ათავისუფლებს ყოველგვარი ბაჟისაგან, გადასახადებისაგან და ამასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურების მოსაკრებლებისა საგნები, რომლებიც პირადი გამოყენებისათვის სჭირდება დიპლომატიურ აგენტს ან მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, მათ შორის საყოფაცხოვრებო საგნები.

წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრებს, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან და მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, იმუნიტეტი აქვთ ისეთი მოქმედების მიმართ, რომელსაც ჩაიდენენ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს, და თავისუფლდებიან სამსახურში მიღებული შემოსავლის გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან, მათზე აგრეთვე არ ვრცელდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დადგენილებები სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე.

წარმომადგენლობის თანამშრომელთა შინამუშაკები, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, თავისუფლდებიან სამსახურში მიღებული შემოსავლის გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟისაგან. სხვა მხრივ მათ შეუძლიათ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით ისარგებლონ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დასაშვებად მიაჩნია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს. მაგრამ ადგილსამყოფელი სახელმწიფო ამ პირთა

მიმართ თავის იურისდიქციას უნდა ახორციელებდეს ისე, რომ უწესოდ არ ერეოდეს წარმომადგენლობის ფუნქციების შესრულებაში.

## §27. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების დასაწყისი და დასასრული

პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე ყოველი პირი სარგებლობს ამ უფლებით ამ პოსტის დასაკავებლად ადილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლის მომენტიდან, ან თუ იგი უკვე იმყოფება ამ ტერიტორიაზე იმ მომენტიდან, როცა მისი დანიშვნის თაობაზე აცნობებენ საგარეო საქმეთა ან სხვა სამინისტროს, რომელთანაც მორიგებაა დადებული.

თუ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მოსარგებლე პირის ფუნქციები მთავრდება ეს პრივილეგიები და იმუნიტეტები ნორმალურად წყდება იმ მომენტიდან, როცა დიპლომატიური წარმომადგენელი ტოვებს ადილსამყოფელ ქვეყანას ან ქვეყნის დასატოვებლად საჭირო გონივრული ვადის გასვლის შემდეგ. შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობა ავტომატურად არ წყვეტს დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მოქმედებას. დიპლომატიური აგენტის გარდაცვლის შემთხვევაში არ წყდება მისი ოჯახის წევრების იმუნიტეტები და პრივილეგიები სანამ არ არის გასული ქვეყნის დასატოვებლად საჭირო გონივრული ვადა.

## §28. იმუნიტეტები და პრივილეგიები მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე

„დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციის მე-40 მხულის თანახმად, თუ დიპლომატიური აგენტი მგზავრობს მესამე სახელმწიფოს გავლით, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუ ასეთი რამ საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე და მიემგზავრება თავისი პოსტის დასაკავებლად ან ბრუნდება ამ პოსტზე ან თავის ქვეყანაში, ეს მესამე სახელმწიფო მას ანიჭებს ხელშეუხებლობას და ისეთ სხვა იმუნიტეტებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი მგზავრობის ან უკან დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ეს ეხება აგრეთვე მისი ოჯახის ყველა წევრს, ვინც პრივილეგიებით ან იმუნიტეტებით სარგებლობს და თან ახლავს დიპლომატიურ აგენტს ან ცალკე მგზავრობს, რათა შეუერთდეს მას ან დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

თუ დიპლომატიური აგენტი მგზავრობს მესამე სახელმწიფოს გავლით, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუ ასეთი რამ საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე და მიემგზავრება თავისი პოსტის დასაკავებლად ან ბრუნდება ამ პოსტზე ან თავის ქვეყანაში, მესამე სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ მათ ტერიტორიაზე წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური ან მომსახურე პერსონალის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა გავლას.

მესამე სახელმწიფოებმა ტრანზიტად გამავალ ოფიციალურ კორესპონდენციებს და სხვა ოფიციალურ ცნობებს, მათ შორის კოდირებულ და დაშიფრულ დეპეშებს უნდა მიანიჭონ იგივე თავისუფლება და დაცვა, როგორსაც ანიჭებს ადგილსამყოფელი სახელმწიფო. მათ უნდა მიანიჭონ დიპლომატიურ კურიერებს, რომლებსაც მიეცათ ვიზა, თუ ასეთი რამ საჭიროა, და ტრანზიტად გამავალ დიპლომატიურ ფოსტას ისეთივე ხელშეუხებლობა და დაცვა, როგორსაც ვალდებულია ანიჭებდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფო.

ზემოთ აღნიშნული მესამე სახელმწიფოთა ვალდებულებანი ეხება აგრეთვე დიპლომატიურ აგენტსა და მისი ოჯახის წევრებს, ადმინისტრაციულ-ტექნიკური ან მომსახურე პერსონალის წევრებსა და მათი ოჯახის წევრებს და ოფიციალურ ცნობებსა და დიპლომატიურ ფოსტას, რომელთა არსებობა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოწვეულია გარდაუვალი გარემოებებით.

## §29. დიპლომატიური აგენტის ვადაზე ადრე გამოწვევის მიზეზები

ვენის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ არ განსაზღვრავს მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობის გამოწვევის მიზეზებს. საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული ჩვეულებითი სამართლის ნორმების თანახმად, დიპლომატიური აგენტის ვადაზე ადრე გამოწვევა შეიძლება მოხდეს, შემდეგ შემთხვევებში:

ა) მისი ავადმყოფობის ან პენსიაზე გასვლის, პირადი თხოვნის, დაკისრებული ამოცანის შესრულების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და ა.შ. გამო. ამ შემთხვევაში, ახალ ელჩს თავის რწმუნების სიგელთან ერთად მიაქვს ყოფილი ელჩის გამოწვევის სიგელი, რომელსაც ყოფილი წარმომადგენელი (ან თვით ახალი ელჩი) აბარებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სათანადო ორგანოს.

ადგილსამყოფელი სახელმწიფო თვით ირჩევს რა წესი გამოიყენება უცხოელ დიპლომატთა მიმართ, მაგრამ მიღებული წესი უნდა გამოიყენებოდეს თანაბრად ყველა სახელმწიფოს მიმართ.

ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს მაკრედიტებელი მტავრობისაგან ამა თუ იმ დიპლომატიური აგენტების გამოწვევა ან წარმომადგენლობის შემადგენლობის რომელიმე თანამშრომლის თანამდებობიდან გადაყენება და სამშობლოში გამოთხოვა.

დიპლომატიური აგენტების გამოწვევაში იგულისმება პერსონა ნონ გრატად გამოცხადება და პერსონა ნონ გრატად გამოცხადების საფუძვლები.

გ) იშვიათ შემთხვევაში დიპლომატიური წარმომადგენლის მისია მთავრდება დიპლომატიური ურთიერთობათა გაწყვეტის გამო, რაც ან ომის გამოცხადებით ან სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის მკვეთრი გაუარესებით გამოიწვევა, ამ შემთხვევაში სახლში ბრუნდება დიპლომატიური წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა.

დ) მაკრედიტებელი სახელმწიფოს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის არსებობის შეწყვეტს შემთხვევაში უქმდება მისი დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც.

ე) მაკრედიტებელ სახელმწიფოში რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს, რასაც პოლიტიკური რეჟიმის ან სახელმწიფო წყობის მთლიანად შეცვლა მოყვება, ახალ მთავრობას შეუძლია გადასინჯოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შემადგენლობა და გამოიწვიოს არასასურველი პირები ან პირიქით, განაახლოს მისი უფლებამოსილება. ასევე ექცევა მაკრედიტებელი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოში თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, თუ ამ სახელმწიფოში ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს ქონდა ადგილი.

ვ) ძალზე იშვიათად მაგრამ მაინც, გვხვდება დიპლომატიური აგენტების მიერ მაკრედიტებელ სახელმწიფოსთან კავშირის გაწყვეტისა და მისი ადგილსამყოფელი ან სახვა უცხო სახელმწიფოში თავშესაფრების ფაქტები.

ამგვარად, უმრავლეს შემთხვევაში, დიპლომატიური აგენტის ფუნქციების

შეწვეტა ხდება „გამოწვევის სიგელის“ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურის (საგარეო საქმეთა მინისტრისათვის) ჩაბარებით.

ამ აქტით იურიდიულად ფორმდება დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ თავისი ფუნქციების შეწყვეტა.

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამოწვევა, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, პოლიციის/უსაფრთხოების ატაშეს, მეკავშირე ოფიცრისა და კომერიცული ატაშეს გარდა, მინისტრმა შეიძლება განახორციელოს:

ა) დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო ლიკვიდაციისას ან/და რეორგანიზაციისას;

ბ) დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას;

გ) მივლინებული პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ „პერსონა ნონ გრატად“ ან მიუღებელ პირად გამოცხადებისას;

დ) მნიშვნელოვანი საერთაშორისო გრთულებისას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირის შემდგომმა მუშაობამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;

ე) თანამდებობის პირის თანხმობით ან მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას;

ვ) თანამდებობის პირის მოთხოვნისას;

ზ) თანამდებობის პირის 1 თვეზე მეტის ვადით დროებითი შრომისუუნარობისას, თუ მისმა არყოფნამ შესაძლებელია შეაფერხოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება;

თ) თანამდებობის პირის გარდაცვალებისას;

ი) თანამდებობის პირის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის ვადაზე ადრე გამოწვევას, საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დან მისი გათავისუფლების შემთხვევაში, ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ვადაზე ადრე გამოწვევა ხდება საგარეო საქმეთა მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროს ხელმძღვანელობის, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით.

ვადაზე ადრე გამოწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს დიპლომატიური

თანამდებობის პირის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სამსახურიდან გათავისუფლება, რასაც ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) დანიშვნის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული ვადის გასვლა, თუ პირი არ დაინიშნა შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე;
- გ) როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლა, თუ პირი არ დაინიშნა შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე;
- დ) საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება;
- ე) სხვა სამსახურში გადასვლა;
- ვ) დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა;
- ზ) არაკანონიერად გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- თ) დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობა, კერძოდ: ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგები; ჯანმრთელობის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი შედეგები;
- ი) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, თუ პირის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა;
- კ) დანაშაულის ჩადენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
- ლ) თანამდებობრივი შეუთავსებლობა, თუ იგი არ აღმოიფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;
- მ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების უკანონო მოხმარება;
- ნ) სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია;
- ო) 65 წლის ასაკის მიღწევა;
- პ) გარდაცვალება;
- ჟ) მოქალაქეობის შეცვლა;
- რ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- ს) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

### §30. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ვალდებულებები შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში

„დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონციის 44-ე მუხლის თანახმად, „ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, ხელი უნდა შეუწყოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირთა, რომლებიც არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების, მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება მალე გამგზავრებას მან, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მისცეს სატრანსპორტო საშუალებანი გასამგზავრებლად და ქონების გადასატანად“.

44-ე მუხლში წარმოდგენილი წესი ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას. კონვენციით გათვალისწინებულ პირთა გამგზავრებისათვის ხელშეწყობის ვალდებულებას არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვეულებრივ ვითარებაში, ამიტომ ზოგიერთმა სახელმწიფომ ეს ვალდებულება განმარტა, როგორც გასასვლელი ვიზის მოთხოვნისაგან გათავისუფლება. წარმდგენ და ადგილსამყოფელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაუარესების, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის ანდა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, უსაფრთხოდ გამგზავრების უფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მსგავს ვითარებაში, ელჩები ხდებიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მძევლები, ხოლო თითოეული სახელმწიფოს ინტერესი, უსაფრთხოდ დააბრუნოს შინ თავისი დიპლომატები, იმდენად დიდია, რომ თანახმაა თავადაც უზრუნველოს მოწინააღმდეგე ქვეყნის დიპლომატების მშვიდობიანი გამგზავრება. უჩვეულო საქმეში „ჩინელი ინჟინრები ჰააგაში“, რომელიც უკვე განხილულ იქნა 22-ე მუხლის კონტექსტში, ნიდერლანდების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი მძევლად იქნა აყვანილი ჩინეთში 1966 წელს. ჩინეთი ელჩის მოვალეობის შემსრულებლის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვდა იმ რამდენიმე ინჟინრის გათავისუფლებას ნიდერლანდების მიერ, რომელთაც არ ჰქონდათ დიპლომატიური იმუნიტეტი, თუმცა სარგებლობდნენ ჩინეთის საელჩოში თავშესაფრით. ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ნიდერლანდებში გამოცხადდა პერსონა ნონ გრატად და მოეთხოვა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დატოვება, ხოლო ნიდერლანდების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც ასევე პერსონა ნონ გრატად იქნა გამოცხადებული, არ მიეცა უფლება დაეტოვებინა ჩინეთი.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 1980 წელს „მძევლების საქმეში“ ხაზი გაუსვა, დიპლომატიური სამართლის შესაბამისად, გამგზავრების გარანტირებულ უფლებას, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა

შესაძლო საშუალების გამოყენებით. სასამართლომ განმარტა, რომ „ხელშეუვალობის პრინციპის ფუნდამენტალური ხასიათი მკაფიოდაა გამოხატული ვენის 1961 წლის კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლებში“. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ ირანს სასწრაფოდ უნდა შეეწყვიტა დიპლომატი მძევლების უკანონო დაკავება. სასამართლომ ირანს მოსთხოვა, „დარწმუნებულიყო, ჰქონდათ თუ არა მძევლებს ყველა აუცილებელი საშუალება, მათ შორის ტრანსპორტი, ადგილსამყოფელი ქვეყნიდან გასასვლელად“.

44-ე მუხლის თანახმად, გამგზავრების უფლება ვრცელდება არა წარმომადგენლობის წევრებზე, არამედ „პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირებზე“. 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „დიპლომატიურ აგენტთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს, თუ ისინი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი არ არიან, 29-35-ე მუხლებში აღნიშნული პრივილეგიები და იმუნიტეტები აქვთ“. 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დიპლომატიური აგენტი, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა ან მუდმივად ცხოვრობს იქ, სარგებლობს მხოლოდ იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტით და იმ ოფიციალური მოქმედების მიმართ ხელშეუხებლობით, რომელსაც ჩაიდენს თავისი ფუნქციების შესრულებისას“. 44-ე მუხლის თანახმად, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ევალება ხელი შეუწყოს მხოლოდ „პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირთა, რომლებიც არ არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქენი, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების, მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება მალე გამგზავრებას“. მაშასადამე, დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრები ვერ გაემგზავრებიან დიპლომატიურ აგენტთან ერთად, თუ ეს უკანასკნელი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა. დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრებისთვის დადგენილი წესი არ მოქმედებს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრებზე, რომლებიც არასდროს სარგებლობენ იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით, თუ მისიის წევრი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა ან მუდმივად ცხოვრობს იქ.

### §31. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა

საერთაშორისო სამართალი ეფუძნება სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას და თანამშრომლობას. სახელმწიფოთა ერთმანეთთან თანამშრომლობის მოვალეობა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების განსხვავებულობისა, ითანამშრომლონ ერთმანეთთან საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად.

არ არსებობს ლეგალური ზღვარი სახელმწიფოთა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისა, მაგრამ ეს, ძირითადად, პოლიტიკური საფუძველებით არის განპირობებული.

ვენის კონვენციის 45-ე მუხლის თანახმად, ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ანდა წარმომადგენლობის საბოლოო ან დროებითი გაწვევის შემთხვევაში:

ა) ადგილსამყოფელი სახელმწიფო, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს წარმომადგენლობის კარ მიდამოს, მის ქონებას და არქივებს;

ბ) მაკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია ტავისი წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, ქონებისა და არქივების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის;

გ) მაკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია ტავისი და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსთვის.

კონვენციის მე-2 მუხლში ნახსენები სახელმწიფოთა „ორმხრივი თანხმობა“ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ძირითადი საფუძველია. შესაბამისად თუ რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან ხდება ამ მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტის უგულვებელყოფა, დიპლომატიური ურთიერთობა წყდება.

დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, ეს არის ოფიციალური პოლიტიკური ურთიერთობის გაწყვეტა სახელმწიფოებს შორის ამა თუ იმ საკითხში დაპირისპირების გამო. ეს ქმდება არ ნიშნავს ცნობაზე უარის თქმას და ავტომატურად არ იწვევს საკონსულო და სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტას.

როგორც ვიცით, დიპლომატიური ურთიერთობა მყარდება ხელშეკრულების დადებით, რაც ორმხრივ ნებას ეფუძნება. საგულისხმოა, რომ „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის თანახმად, „ორმხრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ არსებითი დარღვევა უფლებას აძლევს სხვა მონაწილეს, მიუთითოს ამ დარღვევაზე, როგორც ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველზე“ და ამავე კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესაძლებლობას ხელშეკრულების შედგომი შესრულების შეუძლებლობის

შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებლობა გამოწვეულია იმ ობიექტის სამუდამო გაქრობის ან მოსპობის შედეგად, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად.

ცნობლია, რომ ყველა პირი, ვინც დიპლომატიური იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით სარგებლოს, ვალდებულია დაიცვას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები და არ ჩაერიოს მის საშინაო საქმიანობაში, ეს დასკვნა გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის კომისიის დასკვნიდანაც. სწორედ საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა და კანონების ხშირი და უხეში დარღვევა შეიძლება გახდეს ურთიერთობის გაწყვეტის დასაფუძველი.

დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს მეორე სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განცხადებები. მაგალითად, 1981 წელს აშშ-მა სთხოვა ლიბიას, დაეხურა თავისი საელჩო ვაშინგტონში და გაეწვია წარმომადგენლობის ყველა წევრი 5 დღის განმავლობაში, იმის საპასუხოდ რომ ლობიამ მხარი დაუჭირა საერთაშორისო ტერორიზმს. ასევე ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს, ადგილბრივ ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა და ამბოხებაში მონაწილეობა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზეზი ხშირად მესამე სახელმწიფო ხდება. ამის მაგალითია ირანსა და ეგვიპტეს შორის 1979 წელს გაწყვიტილი დიპლომატიური ურთიერთობა: როდესაც არავულმა სახელმწიფოებმა ისრაელს ემბარგო საუწესეს და ნავთობს აღარ აწვდიდნენ, ირანი ერთადერთი მუსლიმანური სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც ეს წესი დაარღვია.

ხშირად სახელმწიფოები გაურბიან ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, რომლებსაც დიდ სახელმწიფოებთან აქვთ დამაბული ურთიერთობა და ამ მიზეზით უკვე დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობასაც წყვეტენ. მაგალითად, ტაივანს, იმის გამო, რომ მას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დამაბული ურთიერთობა აქვს, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო აღიარებს. ჩინეთთან ურთიერთობის აღსადგენად კოსტა რიკამ თითქმის 60 წლიანი ურთიერთობა გაწყვიტა ტაივანთან.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მძველების საქმეში დაადგინა რომ, დიპლომატის მიერ თავისი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ბოროტად გამოყენებისას, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს სანქციის სახით შეუძლია დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს მაკრედიტებელ სახელმწიფოსთან.

დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ორ სახელმწიფოს შორის არსებული დამაბული, შეიძლება ითქვას, მტრული ურთიერთობების გამომხატველი ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ფორმაა. შესაბამისად დიპლომატიური ურთიერთობების საბოლოოს გაწყვეტას და დიპლომატიური წარმომადგენლობების სამუდამოს გაწვევას სახელმწიფოები ხშირად დიპლომატიური წარმომადგენლობის დროებით გაწვევას ამჯობინებენ. ეს გაცილებით მარტივი და მოსახერხებელი ფორმაა. წარმომადგენლობების დროებითი გაწვევა გულისხმობს, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საგრძნობლად `გაცივდა~, მაგრამ, ამავე დროს, არც ერთ მხარეს არ სურს ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტა და იმედოვნებენ, რომ შექმნილ ვითარებას ექნება დროებითი ხასიათი. მაგალითად, 1987 წელს დიდ ბრიტანეთსა და

ირანს შორის დაიძაბა ურთიერთობა, რაც ირანის საკონსულო თანამშრომლის მანჩესტერში დაკავებით დაიწყო. მას ბრალად ედება მალაზიის გაქურდება. ვითარება მაშინ გამწვავდა, როდესაც დიდი ბრიტანეთის დიპლომატი თე ირანში დააკავეს, რასაც შედეგად ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის რამდენიმე წევრის გაწვევა მოჰყვა. დიდმა ბრიტანეთმა 1980 წლიდან 1988 წლამდე გაიწვია თავისი საელჩო სრული შემადგენლობით და მის ინტერესებს ირანში შვედეთის საელჩოში არსებული ბრიტანეთის ინტერესების განყოფილება იცავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთი მაინც მიიჩნევდა, რომ მას ჰქონდა სრული დიპლომატიური ურთიერთობები ირანთან, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობისა და დიალოგის შესაძლებლობას მაინც გულისხმობს.

როგორც წესი, დიპლომატიური წარმომადგენლობის გამოწვევა ხდება იმ სახელმწიფოდან, სადაც ხდება შეიარაღებული კონფლიქტი ან სამოქალაქო დაპირისპირება. აქვე შეგვიძლია ვისაუბროთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ არსებულ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე.

აღსანიშნავია ის, რომ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ან საკონსულო ურთიერთობების გაწყვეტა გავლენას არ ახდენს მათ შორის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების არსებობა ხელშეკრულების შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.

საბოლოოდ, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, პოლიტიკური ურთიერთობების გაწყვეტას ნიშნავს და, შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების მოძებნა, ანუ გადაწყვეტილება პოლიტიკური ხასიათისაა.

## §32. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შედეგები

კონვენციის მიღებისას გამოითქვა მოსაზრება, რომ 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეუვალობა წარმომადგენლობის კარ-მიდამოს მიმართ 39-ე მუხლით გათვალისწინებული პერსონალური იმუნიტეტების ანალოგიურად უნდა გაგრძელდეს მოკლე ხნით დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. ამ პერიოდის შემდეგ წარმომადგენლობა ჩვეულებრივ დაკარგავს კარ-მიდამოსთვის მინიჭებულ იმუნიტეტს. 45-ე მუხლში არ არის ნათქვამი, რომ ხელშეუვალობა განუსაზღვრელი ვადით მიენიჭება. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადგილსამყოფელი სახელმწიფო, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, მის ქონებასა და არქივებს. „პატივისცემა და დაცვა“ არ გულისხმობს, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლები ვერასდროს შევლენ წარმომადგენლობის კარ-მიდამოში დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. თუ კარ-მიდამოს დატოვებს წარმომადგენლობა, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლებას შეიძლება დასჭირდეს კარ-მიდამოს შემოწმება, რათა დაადგინოს მისი ინვენტარის შემადგენლობა. მაგალითად, მას შემდეგ რაც 1984 წელს დიდ ბრიტანეთში ლიბიის საელჩოს ტერიტორიიდან მომხდარი გასროლის შედეგად დაიღუპა პოლიციელი, ბრიტანეთმა დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა ლიბიასთან, ხოლო მის ტერიტორიაზე ხელშეუვალობა დატოვა მანამდე, სანამ მთლიანი წარმომადგენლობა დატოვებდა კარ-მიდამოს შენობას (შვიდი დღის განმავლობაში ურთიერთობის გაწყვეტიდან). თუმცა, შემდეგ შენობაში შევიდა პოლიცია, რათა აღმოეჩინა დანაშაულის მტკიცებულებები. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, სპეციალური შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, არ ეკისრება ვალდებულება, დააბრკოლოს მეპატრონე საელჩო კარ-მიდამოში შესვლისას, მაშინ, როდესაც წარმომადგენლობას კარ-მიდამო ნაქირავები ჰქონდა და დაარღვია შეთანხმება მეპატრონესთან ან არ გადაიხადა ქირა. ასე მაგალითად, ლიბიის საელჩოს კარ-მიდამოს, მისი დაცარიელების შემდეგ სამი წლის განმავლობაში იცავდა საუდის არაბეთი, ხოლო მოგვიანებით კარ-მიდამო მეპატრონემ მიაქირავა ავსტრალიურ ლუდსახარშს.

თუ წარმომადგენლობა კარ-მიდამოს ფლობდა წარმგზავნი სახელმწიფოს სახელით, კარ-მიდამო ინარჩუნებს უცხო სახელმწიფოს უძრავი ქონების ხასიათს, თუმცა იგი დაექვემდებარება ადგილობრივ კანონმდებლობას სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ. ჩვეულებრივ ვითარებაში, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს არ აქვს წარმომადგენლობისათვის კარ-მიდამოს ჩამორთმევის უფლება, თუ ამით

დაირღვევა მისი „პატივისცემისა და დაცვის“ ვალდებულება. ასე მაგალითად, 1963 წელს კუბამ გაასაჩივრა აშშ-ის განკარგულება ყოფილი კარ-მიდამოს ჩამორთმევის შესახებ, რაც რეალურად არადროს განხორციელებულა. ანალოგიურად არ შეუძლია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, წარმომადგენლობას ჩამოართვას საკუთრება ან არქივები, რომლებზეც ხელშეუვალობა ნარჩუნდება განუსაზღვრელი ვადით.

როდესაც დიპლომატიური ურთიერთობები წყდება და წარმდგენი სახელმწიფო ანდობს თავის კარ-მიდამოს, ქონებასა და არქივებს მესამე სახელმწიფოს, წარმდგენ და მესამე სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებიდან გამომდინარე, განისაზღვრება მესამე სახელმწიფოს ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც მოუწევს მას წარმგზავნი სახელმწიფოსათვის, ძალები, რომელთა გამოყენებაც მას მოუწევს წარმგზავნი სახელმწიფოს სახელით და ხარჯები, რომელთა დაფარვაც მოუწევს წარმგზავნი სახელმწიფოს ნაცვლად. მოლაპარაკების დეტალები განისაზღვრება ორი სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციებით დიპლომატიური სამსახურის შესახებ და იმ ინტერესების ბუნებით, რომელიც დაცულ უნდა იქნას. მაკრედიტებელ სახელმწიფოს ასევე შეუძლია თავისი და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის.

როდესაც დიპლომატიურ ურთიერთობებთან ერთად საკონსულო ურთიერთობებიც წყდება, საქმე გვაქვს კომპლექსურ ღონისძიებებთან. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სულაც არ გვექონდეს შეხება სპეციალურ ღონისძიებებთან, რადგან სახელმწიფოებს შორის შეიძლება შენარჩუნდეს საკონსულო ურთიერთობა, მიუხედავად მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტისა. მაგალითად, როდესაც დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის გაწყვეტილი იყო ყოველგვარი ურთიერთობა ფოლკლენდის კუნძულებზე შეჭრის გამო, ორ სახელმწიფოს შორის ჯერ საკონსულო ურთიერთობა აღდგა, ხოლო ერთი წლის შემდეგ - დიპლომატიური.